გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru

№310 (369) 31 მარტი – 7 აპრილი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

**სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე**

# პარტნიორი თუ ჩასაფრებული ვერაგი მტერი

*ვაი თუ, წინ, წარსულისაკენ?!*

ავადსახსენებელი "ვარდების რევოლუციის" მოხდენის დღიდან დაახლოებით წლინახევრის შემდეგ, როცა საეჭვო ვითარებაში დაიღუპა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, ყველასათვის ნათელი გახდა, რომ საქართველოს ხელისუფლებას სათავეში ედგნენ პირწავარდნილი სისხლის სამართლის დამნაშავე, ეთნიკურად არაქართველი დაშნაკი მიხეილ სააკიანცი და მისი დანაშაულებრივი ბანდის წევრები, რომლებიც აგრძელებდნენ საქართველოს გასანადგურებლად საერთაშორისო თაღლითისა და პოლიტიკური ავანტიურისტის ედუარდ შევარდნაძის მიერ აღებულ პოლიტიკურ (სინამდვილეში კი ანტიქართულ და ანტიპოლიტიკურ) კურსს.

ახლა კი, განმეორებითი გამოძიების მასალათა ნაწილობრივი გასაჯაროების შემდეგ ნათელი ხდება, რომ ზურაბ ჟვანია შეეწირა მიხეილ სააკიანცის ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის მხილების საფრთხეს და მისმა მკვლელობამ სათავე დაუდო უამრავი სხვა უდანაშაულო ადამიანის მკვლელობებს, რომელთა ორგანიზატორებიც იყვნენ სააკიანცი და მისი დამქაში ბოკერიები, დარჩიაშვილები, თარგამაძეები, კაბდელაკები და სხვა პირწავარდნილი დაშნაკები. დიახ, ულმობელი სიკვდილი დათარეშობდა საქართველოს ყველა კუთხეში, ზეიმი ედგათ სატანურ ძალებს, გაჩუმდა საქვეყნოდ გამოცხადებული ტერორისაგან უზომოდ დაშინებული ინტელიგენცია, წინა პლანზე გამოვიდნენ მეძავები, მკვლელები, პოლიტიკური ავანტიურისტები, ხაზინის ქურდები...

ამ პოლიტიკური ვაქხანალიის დასაწყისი გახლდათ ცნობილი მკვლელისა და არაკაცის, ამჟამად პარლამენტარ გიორგი ბარამიძის მიერ სვანეთში მოწყობილი სისხლიანი ეკზეკუციის წახალისება, რამაც აფრასიძეების ოჯახის უდანაშაულო წევრების სიცოცხლე შეიწირა. შემდეგ კი არავის გაკვირვებია ასევე ცნობილი მკვლელი-მხედრიონელის ნიკა რურუას დანიშვნა საქართველოს კულტურის მინისტრად, რადგან საქართველოს უკვე შევარდნაძის პერიოდიდან მეტასტაზებად ჰქონდა მოდებული მკვლელ პოლიტიკანთა ქსელი.

ეს იმის სიგნალი გახლდათ, რომ ნაცთა მიერ დამონებულ ქვეყანაში გადამწყვეტ ფაზაში შევიდა ხელისუფლების მიერ დეკლარირებული ძალმომრეობა და ტერორი!

ამის აშკარა დასტური გახლდათ თუნდაც ის, რომ მაღალ თანამდებობაზე (შიდა ქართლის გუბერნატორად) აღზევებულმა ერთ-ერთმა უგვანომ ირაკლი ოქრუაშვილმა აიკიდა მხარზე ავტომატი და მალულად ესხმოდა თავს სასტუმროებსა თუ სხვა ობიექტებს, დამნაშავე პირების გამოსავლენად. და ეს ყველაფერი კეთდებოდა თვითნებურად, საკუთარი სურვილის მიხედვით, ყოველგვარი სანქციისა და იურიდიული ლეგიტიმაციის გარეშე!

სამწუხაროდ, საზოგადოება ამას თანდათან ივიწყებს, არადა, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფო მასშტაბის ტერორი სწორედ ამგვარი "მცირე გადაცდომებით" იწყება და სწორედ საზოგადოების წაყრუების შედეგად იძენს მასშტაბებს.

განა ასე "დემოკრატიულად" არ იწყებდნენ მოღვაწეობას მე-18 საუკუნის ცნობილი ფრანგული "ტრიუმვირატი", ჰიტლერი, მუსოლინი, მობუტუ, კასავუბუ, მუგაბე, პოლ პოტი, ჩაუშესკუ...

ამერიკელი "მამების" მხარდაჭერით გათავხედებულ ნაციონალთა მომძლავრების შემდეგ საქართველოში განუკითხაობის ცოდვა დატრიალდა... ყველაფერი წინასწარ, სიზუსტით იყო გათვლილი – შევარდნაძის მიერ აღზრდილ-დავაჟკაცებულმა, მოქკავშირის საშოში დაბადებულმა ნაცებმა და მათმა დორბლიანმა ბელადმა კარგად იცოდნენ, რომ ყველაზე იოლად სამართავი დაშინებული საზოგადოებაა, და ამიტომაც, საკუთარი მოღვაწეობა ქართველი ხალხის დაშინებითა და დათრგუნვით დაიწყეს!

სააკიანცმა გამოაცხადა ნულოვანი ტოლერანტობა, რასაც მისმა მოურავმა მერაბიშვილმა დააყოლა: "ხელი არ აგიკანკალდეთ, ისე დახვრიტეთ ადამიანებიო"!

საქართველოს ძველი თუ ახლადაშენებული ციხეები წამის უმალ აივსო დამნაშავე თუ უდანაშაულო ხალხით – სულ ნაცების ჟამიანობის პერიოდში საქართველოში გასამართლდა 330.000 ადამიანი, რაც ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 35 პროცენტს შეადგენს. იაფფასიანი მობილური ტელეფონის ქურდობისათვის მოზარდს 20-წლიან ციხეს უსჯიდნენ, ხოლო ვისაც ციხეში ჩაჯდომა და იქაური ჯოჯოხეთის გაზიარება არ სურდა, თავისუფლება ძალზე ძვირად უნდა ეყიდა, თუნდაც თანხის შესაქუჩებლად საკუთარი სახლი გაეყიდა და თავად ქუჩაში აღმოჩენილიყო. ციხეებში გამეფებული ჯოჯოხეთისაგან დაშინებული ადამიანები ასეც იქცეოდნენ, ერთადერთ საცხოვრებელ სახლს იპოთეკით ტვირთავდნენ, ფული ძალოვანთა მიერ მითითებულ გასაიდუმლოებულ ანგარიშზე შეჰქონდათ, თავად კი, ოჯახის წევრებიანად, ღია ცისქვეშეთის ხიზნები ხდებოდნენ!

შემდეგ იყო მშვიდობიანი დემონსტრაციების მხეცური დარბევები, სანდრო გირგვლიანის სადისტური მკვლელობა, ქუჩებში დაუნდობლად ჩახოცილი უდანაშაულო ახალგაზრდები, ტელეარხ "იმედის" ბანდიტურად დატერორება და კანონიერი მეპატრონისათვის წართმევა, სახელისუფლებო წრეებში აფუებული კორუფცია და ჩინოვნიკთა განუკითხაობა, ავადსახსენებელი "ნაცების" მიერ თავხედურად გაყალბებული საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნები, სომეხი დაშნაკი სააკიანცისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვის მიერ 2008 წლის აგვისტოში რუსების წინააღმდეგ წამოწყებული პროვოკაციული ომი, რამაც ლამის გაანახევრა საქართველო, ბიზნესის დაწიოკება, ხურჩის ტერაქტი, ლაფანყურის ოპერაცია, საპატიმროებში და პოლიციის უწყებებში ადამიანების წამება...

და ყველა ეს კანონდარღვევა, რომელიც უშუალოდ ნაციონალებისა და მიხეილ სააკიანცის ამფსონების მონაწილეობით თუ დაკვეთით ხდებოდა, გახლდათ საერთაშორისო დანაშაული, რომელიც მეტად მკაცრ სასჯელს იმსახურებს! ნებისმიერი დამნაშავე მის მიერ ჩადენილ ამგვარ მხეცობებს ერთი სიტყვით მაინც მოინანიებდა, მაგრამ ნაცები და სააკიანცი იმდენად უზნეოები და სულგამომპალები არიან, რომ კიდევ აქეთ გვასწავლიან ჭკუას, ცოფიანი ძაღლებივით იღრინებიან და აქეთ გვემუქრებიან: ქვეყნის ხელისუფლებაში რომ დავბრუნდებით, ყველას მკაცრად გაგებინებთ პასუხს თქვენს უსამართლობაზეო!

ყველაზე ცინიკური კი ის გახლავთ, რომ ყველასაგან მოძულებული ნაცები დღეს ურცხვად უყიჟინებენ ხელისუფლებას, რომ ჩვენს მიერ აშენებულ ქვეყანას ანგრევთო. თუ რა "აგვიშენეს" ნაცებმა, ცხრა წელი საკუთარ ტყავზე ვცდიდით და არც იმას გამოვრიცხავთ, რომ შეცდომები დღევანდელ ხელისუფლებასაც ჰქონდეს, მაგრამ ეს გახლავთ ადამიანებისათვის დამახასიათებელი შეცდომა და არა წინასწარგანზრახული სიბოროტე, რითაც წლების განმავლობაში ურყევდნენ ჩვენს ქვეყანას სახელმწიფოებრიობის ბურჯს, მორალს, ზნეობასა და რელიგიურობას!

ყოველივე ამის შემდეგ მყარად ვრწმუნდებით, რომ ავადსახსენებელი "ნაციონალები" არ შეიძლება იყვნენ ეთნიკური ქართველები, რადგან ჩვენს ჯიშსა და ჯილაგს არ ახასიათებს იმგვარი სიფლიდე, უტიფრობა და უზნეობა, რითაც ასე გამოირჩევიან სააკიანცი და მისი თანამზრახველები! ყველა ეს სიმახინჯე დამახასიათებელია შუასაუკუნეობრივი აზიური ბნელეთისათვის, რისგანაც ვერა და ვერ დაუღწევიათ თავი სააკაშვილებს, დარჩიაშვილებს, ვაშაძეებს, თაქთაქიშვილებს, კანდელაკებს, კუბლაშვილებს, მინაშვილებს, ბარამიძეებს, მაჭავარიანებს, საყვარელიძეებს, ჯაფარიძეებს, თევზაძეებს, პაიჭაძეებს, ბოკუჩავებს და მათ იმ ევროამერიკელ ამფსონებს, რომლებიც ფულს დახარბებულები მიდიან ყოველნაირ სიყალბეზე, გზას უბნევენ ჭეშმარიტებაში გარკვევის მსურველ შეუბღალავ საზოგადოებას და სინდისის ქენჯნის გარეშე ასაღებენ თეთრს შავად და – პირიქით! დიახ, ეს ის ჰომოსექსუალი, ბისექსუალი, ლესბოსელი თუ ურჯულო ევროამერიკელები არიან, რომლებიც უარს არ იტყვიან, რომ დიდი ფულის სანაცვლოდ საკუთარი მეუღლეც კი ჩაგიგორონ ლოგინში.

ამ ადამიანებისათვის რომ წმინდა არაფერი გახლავთ, ეს არაერთგზის დადასტურდა!

ამიტომაც მიაჩნია ქართული საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილს, რომ ნაციონალები არიან არა წესიერი ოპოზიციონერები, არამედ რევანშისტები, რომელთაც მათდა მოულოდნელად დაჰკარგეს ძალაუფლება და ახლა მოსალოდნელი სასჯელის შიშით ატანილები კადრულობენ უკადრისს.

ახლა ისიც გაიხსენეთ, თუ როგორი სიჯიუტით გადაჰქონდა პარლამენტი და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურები სააკაშვილის თბილისიდან ქუთაისში, რათა ქვეყნის დედაქალაქი დასავლეთ საქართველოში გადაეტანა და აღმოსავლეთ საქართველო სომხებისა და სხვა არაქართველებისათვის დაეთმო. ეს გახლდათ მრავალწლიანი სომხურ-დაშნაკური პროგრამა, რომლის რეალიზებას ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში გეგმავდნენ სტეფანე შაუმიანი და აღასი ხანჯიანი, მაგრამ ჩანაფიქრის განხორციელების შანსი მხოლოდ საქართველოს სათავეში პირწავარდნილი დაშნაკის მიშა სააკიანცის მოყვანის შემდეგ გაუჩნდათ. და როცა დედაქალაქი ქუთაისში გადაინაცვლებდა, თბილისის რეზიდენცია ფუნქციას დაჰკარგავდა და სააკაშვილიც, მისი მასწავლებლის ედუარდ შევარდნაძის დარად, თბილისის რეზიდენციის პრივატიზებას მოახდენდა, გახსნიდა იქ სასტუმროს ან ბიზნესცენტრს და უფასო შენობაც გარანტირებული ექნებოდა!

ჩვენ ხშირად შევახსენებთ ნაცთა ამ მზაკვრობას იმ ტვინგაყინულ თუ ტვინგამორეცხილ ქართველებს, ვიდრე არ შეიგნებენ, რომ სააკაშვილზე და ნაცებზე ვერაგი მტერი ქართველებს არ ჰყოლიათ, მთელი თავისი არსებობის განმავლობაში!

მე სულაც არა ვარ იმის მომხრე, რომ ნაციონალებს ქვებით ვსდიოთ ქუჩებში და თავები დავუხეთქოთ (მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამას ნამდვილად იმსახურებენ), როგორც ამას თავად აკეთებდნენ. შეგახსენებთ მხოლოდ ხევისბერი გოჩას წყევლას, რომელიც ბევრად უფრო ესადაგება ნაციონალთა და მათი დორბლიანი ბელადის უბადრუკ მოღალატეობრივ ყოფას, ვიდრე სრულიად უდანაშაულო გუგუას: საქართველოს სამტროდ შემოკედლებულმა ყველა უცხოტომელმა თუ გულით გადამთიელმა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ ავკაცობა არ შერჩება და ხალხის წინაშე მოუწევს პასუხისგება!

მართალია ნაციონალური მოძრაობა თანდათან ჰკარგავს ძალას და მის შხამსა და ბალღამს ძველებური ჭრა აღარა აქვს, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ახერხებენ ზიანი მიაყენონ და დაამუხრუჭონ ქვეყანაში მიმდინარე აღმშენებლობითი პროცესები, საჩივარს საჩივარზე აგზავნიან მათსავით სულწაწყმედილ ევროპელ ჩინოვნიკებთან, რომ თითქოს მათზე პოლიტიკური დევნა ხორციელდება, სისხლის სამართლის პირწავარდნილი დამნაშავეები მერაბიშვილი, ახალაია, კეზერაშვილი, უგულავა თუ სხვა არაკაცები ლამის წმინდანებად წარმოგვიდგინონ, კორუფციას დემოკრატიად ასაღებენ, სიძვას – სახელმწიფო პოლიტიკის ქმედით ნაწილად, ძალმომრეობას – აღმშენებლობით პროცესად, უსამართლობას – რეფორმად...

ედუარდ შევარდნაძის ხელდასხმულებისა და ყალბ დასავლურ ფასეულობებზე აღზრდილებისაგან სხვა არაფერ სიკეთეს უნდა ველოდოთ!

ბოროტება შობს მხოლოდ ბოროტებას!

ამიტომ, როგორც ამბობენ, დამპალი ვაშლი დროზე უნდა მოაშორო ყუთიდან საღ ვაშლებს, რათა ისინიც არ დაჭიანდნენ. ამიტომ არის აუცილებელი სულიან-ხორციანად ჩამპალ და გათახსირებულ ნაციონალთა სასწრაფოდ იზოლირება საზოგადოების ჯანსაღი ნაწილისაგან, რათა ჩვენც არ გადაგვედოს ქვეყნის დამანგრეველი დაშნაკური ბაცილა!

რაც შეეხება ამერიკელებს, მათი ჩვენდამი "პარტნიორული" დამოკიდებულების თვალნათელი საზომი გახლავთ სენატორების ამასწინანდელი განცხადება ინტერპოლის ცენტრალური ოფისისადმი, რომ სისხლის სამართლის დამნაშავედ არ გამოაცხადონ საერთაშორისო დამნაშავე მიხეილ სააკიანცი. ეს თავისთავად მიანიშნებს, რომ ამერიკელებს ფეხებზე ჰკიდიათ ის ტანჯვა და ვაება, რაც დორბლიანმა დაშნაკმა სააკიანცმა და მისმა ნაცბანდამ დაატეხეს თავს ქართველ ხალხს.

მართლაც რომ მიგვიფურთხებია ამგვარი პარტნიორისათვის!

ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა და უნდა გვესმოდეს, რომ ვართ გაგლეჯილი ორი ზესახელმწიფოს ჭიდილში. ჩვენთვის, ქართველებისათვის მისაღები არის მხოლოდ გამორჩევითი პოზიცია, რომ აქედანაც და იქედანაც ჩვენ უნდა ავიღოთ მხოლოდ ის, რაც ჩვენი ქვეყნისათვის არის მისაღები, გავხდეთ ნეიტრალური მხარე და, არავითარ შემთხვევაში, სხვა ქვეყნის მონად არ ვაქციოთ ჩვენი სამშობლო.

**როლანდ ჯალაღანია,**
**"აია"-ს და "ფაზისი"-ს აკადემიების წევრი**

ილორი

# სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

ცხომი//ცხუმი//სოხუმი. უძველესი ქალაქის სახელწოდების წარმომავლობით გასული საუკუნის 50-იან წლებში დაინტერესდა პ. ინგოროყვა. ამჟამად არსებული ფორმა ქალაქის სახელწოდებისა – სოხუმი//სუხუმი, მისი აზრით, მომდინარეობს ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში VIII ს-იდან (ჯუანშერის მატიანე) დადასტურებული პირველადი ფორმიდან: ცხომი//ცხუმი. მეცნიერი სახელწოდებაში გამოყოფდა ომ-ი ბოლოკიდურ ფორმანტს, ადარებდა მას ასეთივე დაბოლოების მქონე ქართულ გეოგრაფიულ სახელებს (წრომი, ბორჯომი, ბათომი, დილომი, თორთომი...) და ფიქრობდა, რომ ცხომი//ცხუმი თავისი გრამატიკული გაფორმებით ქართული წარმოშობისა უნდა ყოფილიყო. პ. ინგოროყვა დამატებით იმოწმებს მსგავს გეოგრაფიულ სახელწოდებებს: ცხუმარი//ცხმარი – თემი სვანეთში, ცხმორი – სოფელი რაჭაში, ცხმორისი – სოფელი აჭარაში, ცხომარეთი – სოფელი იმერეთში, საჩხერის რაიონში, საცხომარიო – ხობის ერთ-ერთი უბანი, ცხ მარისგა – სოფელი გალის მუნიციპალიტეტის ლეკუხონის თემში. ასევე ვარაუდობს, რომ ცხომი//ცხუმი უნდა უკავშირდებოდეს მხარის სახელწოდებას – ჩხუმს (ინგოროყვა 1954: 147).

ასეთია ქართველი მეცნიერის მსჯელობა ცხომ//ცხუმის მნიშვნელობის შესახებ, თუმცა თვით ტოპონიმის ეტიმოლოგიაზე პ. ინგოროყვას საკუთარი მოსაზრება არ გამოუთქვამს.

ქ. ლომთათიძის დაკვირვებით, ტოპონიმ „ცხუმის" ქართულობას ადასტურებს მასში ცხ კომპლექსის არსებობა, რაც აფხაზურს არ ახასიათებს (ლომთათიძე 12, 1956).

„სუხუმის" თურქული წარმომავლობის ტოპონიმად მიჩნევას მხარს უჭერდა ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი დიმიტრი გულია. თურქებს ამ ქალაქისათვის სუგუმი (და არა სუხუმ) უნდა ეწოდებინათ, რაც მდ. გუმისთას სახელის მიხედვით „გუმის წყალს" უნდა ნიშნავდეს, – ფიქრობდა დ. გულია და თავისი მოსაზრების „გამყარებას" იმ ფაქტით ცდილობდა, რომ გუმისთა ჯიქთა მიერ იწოდებოდა, როგორც „გუმფსი" (1925: 148).

აფხაზი ისტორიკოსები ვ. ფაჩულია, ო. ბღაჟბა და ს. ლაკობა მხარს უჭერენ ტოპონიმ „სოხუმის" ძალიან საეჭვო ეტიმოლოგიას, რომ, თითქოს, ეს სახელწოდება შედგება სამი კომპონენტისაგან: „თურქებს თავისებურად ესმოდათ ეს სახელწოდება, როგორც „სუ" – წყალი, „ხუმ" – ქვიშა, „კალა" – ციხე-სიმაგრე, ქალაქი" (Мачавариани 1913: 224; Бгажба, Лакоба 2006: 175; Шамба 2005: 94).

მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ სუხუმი ქართველური ცხუმის თურქიზებულ ფორმას წარმოადგენს, ვინაიდან თურქულს არა აქვს ც აფრიკატი; ამასთანავე, ვინაიდან სიტყვის დასაწყისში ორი თანხმოვნის თავმოყრას თურქული ენა ვერ ჰგუობს, ამიტომ „ცხუმ" ფორმის ნაცვლად თურქულში მკვიდრდება სახენაცვალი ფორმა სუხუმუ და სუხუმ. სწორედ ამ ვარიანტებით გვხვდება სახელწოდება „ცხუმი" თურქულ და არაბულ წყაროებში (გვანცელაძე 10, 2000: 88; ჯანაშია III, 1959: 117).

ფიქრობენ, რომ ცხუმი შესაძლებელია თურქულად წარმოითქვას როგორც „სუხუმ", ასევე როგორც – „სოხუმ". იმის გათვალისწინებით, რომ 1923 წლამდე თურქული დამწერლობა კონსონანტური ტიპისაა და, ძირითადად, თანხმოვანი ასონიშნების შემცველ არაბულ ანბანს ეფუძნებოდა, კ. კვაშილავა (პროფ. გ. ანჩაბაძის მიერ გაწეული კონსულტაციის საფუძველზე) ფიქრობს, რომ „ცხუმის" თურქულ-არაბული დამწერლობით გადმოსაცემად გამოიყენებოდა, აგრეთვე არაბული ასო-ნიშანი, რომელსაც რამდენიმენაირი წაკითხვა გააჩნია, "(კვაშილავა 2011: 144). მკვლევარი საილუსტრაციოდ მოიხმობს XVIII-XIX სს. ზოგიერთ წყაროში დადასტურებულ ფორმებს –„Сокум-Кала", „Согум-кала" (იქვე: 144, და იქვე მითითებული ლიტ-რა: Географический Словарь I, 1788; Броневски I, 1823: 294).

მკვლევართა გარკვეული ჯგუფი მიიჩნევს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე დადასტურებული სახელწოდება ცხუმის//ცხომის ამოსავალი უნდა იყოს სვანური ცხუმ//ცხვიმ//ცხ?მ, რაც რცხილას, ცხემლას ნიშნავს. ცხუმიშ რცხილნარია, ცხუმრა – რცხილის ხე (დონდუა 2001: 359). ეს მოსაზრება პირველად მ. ქალდანმა გამოთქვა, რაც შემდეგ გაიზიარეს გ. მელიქიშვილმა, თ. მიბჩუანმა, გ. გასვიანმა, თ. გვანცელაძემ, ვ. ზუხბაიამ, კ. ოკუჯავამ და სხვებმა (მიბჩუანი 1989: 264-265; გასვიანი 1991: 206; გვანცელაძე 1998: 52; ოკუჯავა 2002: 86).

„ცხუმისა" და „სოხუმის" ეტიმოლოგიის გარშემო სხვადასხვა დროს გამოთქმული მოსაზრებები (კ. ჰანი, მ. ქალდანი, გ. მელიქიშვილი, ს. ჯანაშია, ქ. ლომთათიძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. გასვიანი, თ. მიბჩუანი, შ. ინალ-იფა...) მიმოიხილა ს. ბახია-ოქრუაშვილმა და ა. ჭკადუას ნაშრომზე მითითებით შემდეგი დასკვნა გამოიტანა: „ცხომ//ცხუმში სემანტიკური, ეტიოლოგიური და ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, სახელდების პრინციპები საერთო ქართველურია. მოტივაციის საფუძველია ამ ადგილებში „რცხილის" არსებობა. მაგ.: ქართული ცხემლოვანი, ცხინვალი, ცხმორისი, მეგრ. ცხემურონი, ცხიმურონი, ცხემურეში, ჭან. ცხემურეფუნა, სვან. ცხუმელირ, ცხუმალდ, ცხმაარ, ლეცხუმერ. სემანტიკურ და ეტიმოლოგიურ საფუძველს, როგორც ახალი, ისე ძველი ფორმებისათვის წარმოადგენს ძველქართული გეობოტანიკური ტერმინი ქრცხემლ- ან ქრცხილ-. ტოპონიმიკურ დონეზე საერთო სვანურისათვის ამოსავალი იქნება ცხუმ-" (ბახია-ოქრუაშვილი 2010: 220-221, და იქვე მითითებული ლიტ-რა: ჭკადუა I, 1987: 199, 201).

მ. თავდიშვილის მოსაზრებით წყლის ხმაურის აღმნიშვნელი ხუ ელემენტი უნდა გამოიყოს ტოპონიმ „სუხუმში": „აშკარაა, რომ სუ წყლის აღმნიშვნელი ტერმინია (ვსუამ, სუამ, სუამს). ხუ ხმაურის, კერძოდ, წყლის ხმიანობის აღმნიშვნელი უნდა იყოს. სუ-ხუმი რომ წყალს აღნიშნავს, ამას ამტკიცებს ამ ქალაქის აფხაზური სახელწოდება აქუა. აქუა ნიშნავს წყალს. აქუა შესაძლოა იყოს აყუა სიტყვის ფონეტიკური ვარიანტი. აყუა ისევ წყალს ნიშნავს" (თავდიშვილი 11, 1973). მნიშვნელობითა და შედგენილობით „სუხუმის" ადეკვატური აგებულების სახელწოდებებად მიიჩნევს მკვლევარი ხევსურეთსა და შუხუთს (იქვე). ჩვენი აზრით, მ. თავდიშვილის მსჯელობა დამაჯერებლობას მოკლებულია.

ა. დიაჩკოვ-ტარასოვი ტოპონიმ ცხუმს უკავშირებდა „ცხელი" სიტყვის მეგრულ შესატყვისს – ჩხე (დიაჩკოვ-ტარასოვი 2003: 65). ზ. პაპასქირის ვარაუდით, ცხუმი შესაძლებელია უკავშირდებოდეს ხის ჯიშების მეგრულ სახელებს – თხუმუს ან ცხიმურს (პაპასქირი 2004: 27).

გიორგი ფიფიას მოსაზრებით, „ცხუმის" ამოსავალია რცხილის ერთ-ერთი სახეობის ზანური სახელწოდება, რაც იწერება ერთი თანხმოვნითა და ირაციონალური ხმოვნით. ესაა ც ,რამაც სხვა ზანურ-მეგრულ სიტყვასთან („ხუმ") შეთანხმებით მოგვცა ტოპონიმი ც?ხუმ ანუ „მშრალი რცხილა". მკვლევარი იმოწმებს აფხაზეთში ჩაწერილ, ხმელი ხის სახელწოდებისაგან წარმოქმნილ ტოპონიმს. ესაა გალის რაიონის სოფ. ხუმუშქურის სახელწოდება, რაც „ვაშლის ხმელ ხეს" ნიშნავს (ფიფია 10, 1990: 13). ტოპონიმთა ამ რიგს შეიძლება დაემატოს ყუმურხუმლა „გამხმარი ტყემალი" – ფერდობი სოფ. რეჩხში; ჭყონხუმლა „გამხმარი მუხა" – სოფელი ჭუბურხინჯის თემში. ატრიბუტული მსაზღვრელის პოსტპოზიციურობა ზემოთ ჩამოთვლილ ტოპონიმთა სიძველის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს (ცხადაია 2004: 110).

ტოპონიმ „ცხუმის" გ. ფიფიასეული განმარტება დაზუსტებას საჭიროებს. თუკი ჩავთვლით, რომ „ცხუმის" ერთ-ერთი კომპონენტია ხუმ- სიტყვა, მაშინ იგი უნდა ითარგმნოს არა როგორც მშრალი, არამედ – ხმელი. ამასთანავე, კავკასიური რცხილის მეგრული შესატყვისია ცხემური//ცხიმური, ხოლო ც? იგივეა, რაც თელა და თელადუმა (მაყაშვილი 1991: 152).

ამდენად, ცხ?მი//ც?ხომი უნდა გავიაზროთ როგორც „ხმელი თელა".

## ძირითადი დასკვნები

ვახუშტის ცნობით, ოდიში ეწოდება ცხენისწყალსა და ანაკოფიას შორის მდებარე ვრცელ ტერიტორიას. ამ შემთხვევაში მეცნიერი მიზნად ისახავს ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგდროინდელი ოდიშის პოლიტიკური რეალობის აღდგენას. მაშასადამე, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით განსაზღვრული ოდიშის სამთავროს აღმოსავლეთი საზღვარი ცხენისწყალი და ლეჩხუმ-ოდიშის გამყოფი მთა იყო; სამხრეთი საზღვარი ძირითადად რიონზე გადიოდა და გურიისგან გამოყოფდა; ჩრდილოეთი საზღვარი სვანეთ-ოდიშის გამყოფ ეგრისის ქედს გასდევდა; დასავლეთით კი შავ ზღვამდე ვრცელდებოდა.

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის სახელწოდებას – მეგრელი, მეგრელები, ვახუშტი იმოწმებს მეეგრელნის ფორმით, მაგრამ მათი განსახლების არეალის აღმნიშვნელი ქორონიმი სამეგრელო მას ნაშრომში არც ერთხელ არ გამოუყენებია.

სხვა წერილობით წყაროებთან „აღწერის" მონაცემების შეჯერებით შეიძლება დავასკვნათ, რომ XV ს-ის 80-90-იანი წლებიდან XVI ს-ის 20-30-იანი წლების ჩათვლით, აფხაზეთსა და ოდიშს შორის სასაზღვრო მიჯნად ანაკოფიის დასავლეთით, ფსირცხას მარჯვენა ნაპირის მომიჯნავე ქედი რჩებოდა. ოდიშის სამთავროს სამხრეთი საზღვარი ძირითადად რიონის მარცხენა ნაპირზე გადიოდა და გურიისაგან გამოყოფდა; ჩრდილოეთი საზღვარი სვანეთ-ოდიშის გამყოფ ეგრისის ქედს გასდევდა; დასავლეთით შავ ზღვამდე ვრცელდებოდა; აღმოსავლეთი საზღვარი ძირითადად ცხენისწყალი და ლეჩხუმ-ოდიშის გამყოფი მთა იყო; XVI ს-ის 30-50-იან წლებში აღმოსავლეთი საზღვარი ცხენისწყლის მარცხენა მხარეზეც გადადიოდა და მათხოჯ-ჯიქთუბანსაც მოიცავდა.

ფოთის მდებარეობის აღწერა სახელოვან მეცნიერს მოცემული აქვს ნაშრომის იმ თავში, რაც გურიის აღწერისადმია მიძღვნილი. გვიან შუა საუკუნეებში შესაძლოა სამხედრო წარმატებების წყალობით და გარკვეული დროით ფოთს გურიის მთავარი დაპატრონებოდა, მაგრამ ეს დროებითი აქტი შეუძლებელია ფოთის გურიისადმი მიკუთვნების დასტურად მივიჩნიოთ.

საქართველოს სამეფოს დაცემის შემდეგ ლეჩხუმი იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა, ხოლო შემდეგ XVII ს-ის 70-90-იანი წლებიდან, ოდიშის მთავართა მფლობელობაში გადავიდა. ოდიშის დაქვემდებარებაში ლეჩხუმის გადასვლამ განაპირობა ქვემო სვანეთის, ე. წ. სადადიანო სვანეთის XVIII ს-დან ნაწილობრივ ოდიშის გავლენის ქვეშ მოქცევა. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ვახუშტის მიერ მოცემული საჭილაოს საზღვრები თავსდება აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მთლიანად, და სენაკის მუნიციპალიტეტისაზე – ნაწილობრივ. არსებული წერილობითი წყაროების გაანალიზებით შესაძლებელია საჭილაოს ფეოდალური ერთეულის საზღვრების მნიშვნელოვნად გაფართოება დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით.

ვახუშტი ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიას განიხილავდა, როგორც საქართველოს, ქართული სამყაროს განუყოფელ, ორგანულ ნაწილს. მას ეგრისი, აფხაზეთი და იმერეთი ერთი და იმავე ტერიტორიული სივრცის სინონიმურ სახელებად ესახებოდა. მიუხედავად ეთნიკური პროცესების ცვლილებებისა და „გააფხაზების" უკუქცევადი პროცესისა, აფხაზი თავად-აზნაურები მეტწილად მაინც ინარჩუნებდნენ ქართულ ენასა და ქართულ თვითშეგნებას. ვახუშტის ცნობა, რომ მისი დროის აფხაზებს „ენა საკუთარი თუისი" ჰქონდათ, მაგრამ წარჩინებულებმა იმავდროულად ქართულიც იცოდნენ, სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას.

თუკი ვახუშტის ცნობებს ოდიშ-აფხაზეთის ეპარქიათა ტერიტორიების შესახებ მისივე გეოგრაფიული აღწერის პრინციპით (ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ) მივუდგებით, ოდიშის-აფხაზეთის ტერიტორიაზე XVIII საუკუნის დასაწყისის საეკლესიო გეოგრაფიის თვალსაზრისით ამგვარ სურათს მივიღებთ:

ჭყონდიდის ეპარქია მოიცავდა ტერიტორიას ცხენისწყლიდან უნაგირას მთამდე; ცაიშის ეპარქია – უნაგირას მთიდან (აღმ.) შავ ზღვამდე (დას.), მდ. ჭანისწყლის სამხრეთით რიონამდე; წალენჯიხის ეპარქია მოქცეული იყო ჭანისწყალსა და დადისწყალს შუა; ბედიის ეპარქია ვრცელდებოდა დადისწყლიდან მოქვისწყლამდე; მას ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრებოდა მოქვის ეპარქია, რაც მდ. კოდორამდე ვრცელდებოდა; კოდორიდან ანაკოფიამდე ტერიტორია დრანდის ეპარქიაში შედიოდა.

ვახუშტი ადგილთა ბუნებრივი თანმიმდევრობის გათვალისწინებით საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ცხენისწყლის ხეობის საისტორიო გეოგრაფიის საკითხებზე. მდინარის დინების მიმართულებას მეცნიერი სწორად მიუთითებს, მაგრამ შეცდომაა, როცა მდინარის სათავედ იგი ლეჩხუმსა და სვანეთს შორის მდებარე „კავკასს" მიიჩნევს: ცხენისწყალი სათავეს იღებს არა ლეჩხუმ-სვანეთის, არამედ სვანეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ფასისმთის დასავლეთით. სახელწოდება „ცხენისწყლის" ვახუშტისეულ ეტიმოლოგიას საფუძვლად უდევს „ქართლის ცხოვრების" ცნობები. აქვე უნდა ითქვას, რომ მეცნიერი თავის დროზე იზიარებდა საქართველოში არაერთი მდინარის საკუთარი სახელის წარმომავლობას მათთვის დამახასიათებელი ბუნებრივი თავისებურებების მიხედვით. ესენია, მაგალითად, წყლის დინების განსაკუთრებული შეფერილობა, მდინარის კალაპოტის სიღრმე და დახრამულობა. დინების თვალშისაცემი სისწრაფის გათვალისწინებით, ძალაუნებურად იმ ვარაუდამდე მივდივართ, რომ სახელწოდება „ცხენისწყალი" მდინარის განსაკუთრებული სისწრაფისა და ხმიანობის აღმნიშვნელი სახელწოდებაა და უნდა გავიაზროთ, როგორც „ბობოქარი, სწრაფი, გიჟმაჟი, მჩქეფარე, დაუდგრომელი ნაკადი".

ცხენისწყლის ხეობის ზოგიერთ პუნქტს ვახუშტი აღნიშნავს 1745 წლის რუკაზე, მაგრამ მათ შესახებ არაფერს ამბობს აღწერილობაში. ხუნწის ჩრდილოეთით, რუკაზე დატანილი კურჩე ტოპონიმ „სუხჩას" დამახინჯებული ფორმაა. ნაგვაზაუ ამჟამინდელი ნაგვაზავოა. ცხენის წყლის მარჯვენა ნაპირას, ბანძასა და ნაგვაზუს შუა, რუკაზე აღნიშნული პუნქტი ლეხაინა ფორმითაც და რუკაზე მოცემული ადგილმდებარეობითაც დღევანდელ ლეხა-ინდრეს//ლეხაინდრავოს შეესაბამება, ხოლო ლეჯახია დღევანდელი მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაჯახუ(უ)ს//ნაჯახავოს, უწინდელი ვარიანტი უნდა იყოს. ონტოფოს შემდეგ, ცხენისწყლის მარცხენა მხარეს, ივანდიდის მახლობლად, რუკაზე დატანილი ორი პუნქტი – ბენარი და ბენუღეთი, სავარაუდოდ, ამჟამინდელი მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლების – ნაგებერუ(უ)სა და ონოღიის დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს.

ვახუშტის რუკაზე ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაცია შედარებით ზუსტადაა მოცემული, მაგრამ თვით ტოპონიმის დაწერილობის ფორმა არასწორია. მაგალითად, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირას, ვაკეიმერეთის ტერიტორიაზე, ეკლესიის პირობითი ნიშნით მითითებულია პუნქტი ონფის ფორმით, რაც ახლანდელი აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელი ონტოფო უნდა იყოს.

1745 წლის რუკაზე, ცხენისწყლის მარცხენა მხარეს აღნიშნულია გულუხეთი, საჭილაო და ქოლობანი. სინამდვილეში სამივე პუნქტი ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს მდებარეობს.

ბანძის ციხისა და ჭყონდიდის ადგილმდებარეობის ვახუშტისეული აღწერილობა, რომ ეს პუნქტები ცხენისწყლის დასავლეთით მდებარეობს, სინამდვილეს შეეფერება, მაგრამ შეცდომაა, როცა ამ პუნქტებს არა აბაშის, არამედ ცხენისწყლის ხეობის აღწერისას ასახელებს, რასაც, ჩვენი ფიქრით, ცხენისწყლის ხეობის ბანძა-ჭყონდიდთან სიახლოვე განაპირობებდა.

**იგორ კეკელია,**

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

# 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის დიდი ისტორიული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მისია და თავსმოხვეული ალტერნატიული ისტორია

**31 მარტი იყო და იქნება უდიდესი მოვლენა საქართველოს ისტორიაში, რომელმაც ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის იურიდიული გარანტია შექმნა.**

**თავისუფალი საქართველოს მეციხოვნენი,**

**„კაცობრიობის პოლარიზაცია იგივეა, რასაც იოანე აღწერს თავის აპოკალიფსში? ესაა კაცობრიობის დაყოფა ორ ნაწილად, რომელთაგანაც ერთი მხეცის ნიშანს ატარებს შუბლზე, მეორე კი არ ატარებს ამ ნიშანს და ქრისტეს მიმდევარია. ეს დაყოფა უკვე დაიწყო, დიდი მხეცი არის ანტიქრისტე. ბესტიალიზაცია სულ უფრო და უფრო ვრცელდება და მოიცავს კაციობრიობის დიდ ნაწილს; ჩვენ ვიცით, რომ მეორე ნაწილი უფრო მცირეა რიცხობრივად. იოანეს აპოკალიპსში წერია, რომ ჩვენ ძალიან ძლიერნი უნდა ვიყოთ, რომ არ მივიღოთ მხეცის ნიშანი შუბლზე....“**

**ზვიად გამსახურდია,**

**„და მართლაც, რას უნდა გამოელოდეს ამ ერისაგან, რომელსაც მონური სილაჩრე შეჰპარვია“**

**მიხაკო წერეთელი**

31 მარტი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი თარიღია. 1991 წლის, ამ დღეს ქართველმა ერმა, პირველმა, პოსტსაბჭოთა ისტორიაში, და პირველად საყოველთაო რეფერენდუმზე, საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული დაცვით, საქართველოს რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე, გამოხატა თავისი ურყევი ნება მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროს ხალხთა შორის, ყოფილიყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოქალაქე, აღნიშნული რეფერენდუმი სახელმწიფოს არსებობის მტკიცე იურიდიული საძირკველია ერთიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობისათვის, რეფერენდუმის ამ დღემ (კენჭისყრის კითხვა ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: «თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?») საერთაშორისო არენაზე, საბოლოოდ დააკანონა საქართველოს სახელმწიფოს სტატუსი, და 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, ზვიად გამსახურდიას მეთაურობით 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა (მისი სამფეროვანი დროშა, ჰიმნი).

საგულისხმოა ისიც, რომ სამშობლოსათვის თავდადებული პრეზიდენტი სწორედ ამ დღეს დაიბადა. მისი ოცდათხუტმეტწლიანი ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის გამარჯვებით დასრულდა. მან თავისი გმირი წინაპრების, მირონცხებული მეფეებისა და თავდადებული სასულიერო პირთა დარად თავგანწირულად იბრძოლა და 90-იანი წლების საქართველოსა და მსოფლიოს უკანონობასთან და ბოროტებასთან ბრძოლის განუმეორებელი მაგალითი უჩვენა, მან საკუთარი თავი სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანა, რის ფასადაც ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებლობა არ დააკარგვინა და ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო მტერს არ ჩაუგდო ხელში. ეს ის გმირია, რომლის შესახებაც აკაკი წერეთლმა წარმოსთქვა: „მოევლინა ქვეყანას მაცხოვარი სწორედ ასე მოევლინება საქართველოს მისი შესაფერი გმირი, რომლისაც ღირსი არა ვარ ხამლი გავხადო ფერხთა და თუ მე მცირე მახარობელს, უბრალო მოკვდავს, ასე აღტაცებით მეგებებით, მაშინ რაღა იქნება, როდესაც ნამდვილი გმირი მოგევლინებათ? მაშინ მეტი გახარებული იქნებით და უფრო მომზადებული შეხვდებით იმ გმირთაგმირს. მე მხოლოდ ისღა დამრჩენია: გულში ჩავიკრა თქვენი მოლოდინი, სიყვარული, პატივისცემა და უკანასკნელად სვიმონ მოხუცივით წარმოვსთქვა: „აწ განმიტევეთ მე მონა თქვენი“.

მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი ერის უბოროტესი მტრების დიდი მეცადინეობით, დე-ფაქტო დამოუკიდებლობის აღდგენის აღსრულება, ქართველი ერის საკეთილდღეოდ, ვერ განხორციელდა; ეროვნულ ცნობიერებადანგრეულმა ქართველმა კოლაბორაციონისტებმა, მსოფლიოს პოლიტიკის მესვეურთა (შავი ოკულტიზმის წრეთა) დაკვეთა პირნათლად შეასრულეს. მათ, უცხო ქვეყნიდან შემოზიდული დიდი თანხებით და სამხედრო ძალის საშუალებით, რუსეთის სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ, (უცხო ქვეყნის მიერ უფლებააყრილმა ელცინის რუსეთმა), დაამხეს საქართველოს ეროვნული ხელისუფლება, და მასთან ერთად ფიზიკურად გაანადგურეს ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის ავტორი და შემოქმედი ზვიად გამსახურდია და 1992 წლიდან დღემდე, ქვეყანას დასავლეთის შავი ოკულტური წრეების და ძალების რეკომენდაციებით, აღნიშნული, ეროვნეული ცნობიერებისაგან დაცლილი, ქრისტიანობის მტრები, ქართველი კოლაბორაციონისტები მართავენ, რომელნიც „ბილწთ შეკვრიან ზავითა“.

საგულისხმოა, თუ როგორ აფასებდა ზვიად გამსახურდია დასავლეთის როლს საქართველოში 1991–92 წლებში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების შესახებ:

ზვიად გამსახურდიამ ჯერ კიდევ 1992 წელს „ნაროდნაია პრავდას“-თვის მიცემულ ინტერვიუში, ამხილა კაცობრიობისა და განსაკუთრებით საქართველოს მტრები, რომელიც ზვიად გამსახურდიას სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა გაზეთ „აღდგომაში“ 20, 6 დეკემბერი, 1992 წელი.

– კაცობრიობის მტრები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: ისინი მიზნად ისახავენ ყველა სხვა ხალხის გენოციდს; პლანეტის მთელი მოსახლეობის ერთი განსაზღვრული ჯგუფის გამოკლებით. ეს ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან და მთელი ძალით მიილტვის მსოფლიო ბატონობისაკენ. ზოგადად, მე მას ევროამერიკულ იმპერიალიზმს ვუწოდებდი. მთავარ დამკვრელ ძალას მასში წარმოადგენს აშშ. შეიძლება ითქვას, სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმიდან. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის პირადი მონაწილეობით და ბუშის ლოცვა-კურთხევით.

ბეიკერმა პირდაპირ მოუწოდა პუტჩისადმი საქართველოს ბანდიტურ-ოპოზიციურ დაჯგუფებებს (ამერიკაში ჩინებულად იცოდნენ, რომ ოპოზიცია საქართველოში კრიმინალური მაფიისა და ყოფილი პარტოკრატებისაგან შედგებოდა). ბეიკერმა მკაფიოდ მიანიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ უჭერდა მხარს საქართველოში არსებულ რეჟიმს და არაფრით დაეხმარებოდა მას. სცენარი გადატრიალებისა, რომელიც აშშ-მ მოაწყო საქართველოში, ადრე არაერთგზის გამოუყენებია ამ ქვეყანას პლანეტის სხვა რეგიონებში.

– ჩვენ მივესწრაფვოდით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, არ დავემორჩილეთ დასავლური სახელმწიფოების დიქტატს, არ ვიქეცით მათი ინტერესების მსახურად, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ არ დავუშვით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო.

დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას. ეს იქცა ერთ-ერთ მიზეზად სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცრუ) აგენტისა და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის ე. შევარდნაძის მოსვლისა.

**(„ეროვნება არა აქვს ცხოველს“, ზვიად გამსახურდია, 1992წ. ოქტომბერი, „ნაროდნაია პრავდა“, 41,)**

დიახ, დასავლეთმა საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად არ ითამაშა პროგრესული როლი, პირიქით, მათმა ჩარევამ ემისარ ე.შევარდნაძის მეთურობით, სახელმწიფოს სათავეში ბნელი პოლიტიკური ძალები მოიყვანა.

ჩრდილო-დასავლურმა, დემონურმა ტაიფუნმა, ახალგაზრდა, დამოუკიდებელ საქართველოს მძიმე დაღი დააჩნია და ის, რაც იწინასწარმეტყველა ზვიად გამსახურდიამ, ყველაფერი რეალობად იქცა.

დიდ გერმანელს გოეთეს უთქვამს – „გერმანია, ეს მე ვარ და თუ მას დაღუპვა უწერია, მაშინ ის ჩემში იცხოვრებს“ – როგორ მიესადაგება დიდი მოაზროვნის ეს სიტყვები, საქართველოს თავისუფლების სიმბოლოს ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობას.

„ზვიადის მტერი ღვთისა და ერის მტერია, შვილო“ – ამბობდა წმიდა მამა გაბრიელი.

1992 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, საქართველოს „განვითარება“, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ყალბი და კატასტროფული აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენ ამ დროიდან მოყოლებული „შემოგვთავაზეს“ ცრუ, ალტერნატიული ისტორია, რითაც შეუსრულებელი დარჩა 31 მარტის რეფერენდუმის დიადი ისტორიული მიზანი. თუ რა საშინელი ძალები დაუპირისპირდა თავისუფლების ეკლიან გზაზე მიმავალ საქართველოს, ამას მოწმობს ზვიად გამსახურდიას სიტყვები წარმოთქმული 1990 წლის 26 მაისს “ქარიშხალას“ სტადიონზე შეკრებილი სამწყსოს წინაშე, რათა ერი წასულიყო არა ბარაბას, არამედ ევლო ქრისტეს გზით.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის გაფრთხილება-შეგონება ქართული საზოგადოებისათვის და კერძოდ კი რევანშისტულ-კომუნისტური აქტიური კონფორმისტული ნაწილისათვის კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა; დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს საზიანოდ და ყველასათვის საუბედუროდ მათ ავაზაკ ბარაბას გზით წაიყვანეს ჩვენი ქვეყნის მომავალი. ამავდროულად დასავლეთის შავ-ბნელ ლოჟებში და აგრესიული, ათეისტური ბოლშევიზმის უცილობელი კერპის საბრძანებელში, ჩვენი სამშობლოს ბედი კარგა ხნით ადრე განისაზღვრა – საქართველოს ტერიტორიას ე.წ. აბრეშუმის გზის სახელის ქვეშ ენერგომატარებლების, საეჭვო ტვირთების, იარაღისა და სატრანზიტო დერეფნის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. ამრიგად, ქართველთათვის „მსოფლიო მოქალაქის სტანდარტულობით დაშტამპული ცნობიერებისა და შერყვნილი პატრიოტიზმის მატარებელი უსახო დამცრობილი ერის რასად აღზრდის ახალი ეტაპი იწყებოდა.

აგრესიული გლობალიზმი ტრაგიკული აღმოჩნდა ჩვენი ერისათვის. ამ ვერაგული გეგმის განსახორციელებლად საჭირო იყო მხოლოდ „დინების საწინააღმდეგო მოცურავე“ პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას ფიზიკური განადგურება, (საზოგადოების ეს ნაწილი ზვიად გამსახურდიასადმი ბიოლოგიური ზიზღით იყო გამსჭვალული) ხოლო საქართველოს ხელისუფლებაში, მის სანაცვლოდ, შავი ოკულტური საძმოების მიერ შერჩეული მარიონეტი უნდა დაესვათ. აღნიშნული გეგმა გადატრიალების ორგანიზატორების – ქართველ კოლაბორაციონისტთა კოჰორტამ სსრკ კომპარტიის პოლიტბიუროს მარადიული წევრის, მამათელი ბოლშევიკის, ქვეყნის მაოხრებლის – ედ. შევარდნაძის მეთაურობით „პირნათლად“ შეასრულა.

საქართველოს სახელმწიფოს ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია აღიზარდოს ქრისტეს იმპულსით გამსჭვალული მომავალი თაობა. ზვიად გამსახურდიამ კარგად იცოდა იმპერიისა და დასავლეთის (ხელისუფლებებში) ბოროტი ოკულტური ძალების მიზანი: ქართველებს საკუთარი წარსული დაავიწყონ, ქვეყნის ერთიანი სახელმწიფოებრიობა მოშალონ და აქციონ უსახურ მონურ მასად. კოლაბორაციონისტთა ეს ხროვა საქართველოს ფაშისტური მეთოდებით დაუპირისპირდა. ჩვენი ქვეყნის მტრებს ახასიათებთ მატერიალიზმისაკენ ღრმა სწრაფვა და მათი მიზანია ქართველი ადამიანი ქრისტიანულ გაგებას ან მცნებებს ჩამოაშორონ, რაც ტოტალური გლობალიზაციის მიზანია.

საქართველოს საპატრიარქოში მოკალათებული სპეცაგენტების მიერ დანაშნული „ქრისტიანები“ – თითქმის ყველანი კომუნისტური ნომენკლატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები, კომკავშირლები, საბჭოთა სუკისა და მილიციის თანამშმრომლები, I განყოფილებაში გამოზრდილი ჟურნალისტები და „პოლიტოლოგები“, „წითელი ინტელიგენცია“, პროფესორები, ე.წ. ხელოვნების მუშაკები, საბჭოთა ესტრადის „ვარსკვლავები“, „პაგონიანი“ ძველი ბიჭები და კრიმინალური მათი ერთობა და უბრალოდ მოტყუებული მცირერიცხოვან ადამიანთა ჯგუფები – აი სრული ჩამონათვალი დღეს, საქართველოს სათავეში მყოფი ადამიანებისა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტი მთელი პასუხისმგებლობით ღვთისა და ერის წინაშე აცხადებს, რომ თუ საქართველო ლეგიტიმაციის ანუ სამართლებრივ სივრცეში არ მოექცევა, და თუ არ აღსდგა ქვეყანაში კონსტიტუციური სამართალმემკვიდრეობა, რომელიც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავარ პოლიტიკური ანდერძია, ჩვენი სახელმწიფო სრული განადგურების წინაშე აღმოჩნდება. ამიტომაც ეროვნული კომიტეტი მოუწოდებს ყველა ქართველს და ყველა კეთილი ნების ადამიანს, საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი დღე – 31 მარტი გამოვაცხადოთ საქართველოს კონსტიტუციური ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნის დღეთაც, რათა ბოლომდე მიყვანილ იქნას 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების რეალიზება – საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი ტერიტორიული სახელმწიფოს აღდგენა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის სახელით:

**გიორგი კავკასიელი (კერვალიშვილი),**
**ეროვნული კომიტეტის მთავარი კოორდინატორი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი;**
**ბესო(ბესარიონ) მიქავა,**
**იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე;**
**მამა ილარიონი, (ჯანელიძე)**
**ნანა კახიანი,**
**იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრეს-მდივანი;**
**ზურაბ ქობალია,**
**ჟურნალისტი;**
**მანანა ჯიჯეიშვილი,**
**იბერიულ-კავკასიური მოძრაობის წევრი;**
**ნუგზარ კობახიძე,**
**ადამინის უფლებადამცველი;**
**გოგი სოიტაშვილი,**
**პოლიტდევნილი;**
**მზია ბაქრაძე,**
**დევნილი ჟურნალისტი;**
**თბილისი, 2016 წლის 25 მარტი, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუბრები რელიგიაზე

სიყვარული ისხამს დათმობას, დათმობა – კარგ ურთიერთობას, კარგი ურთიერთობა სიმშვიდესა და უპრობლემო ცხოვრებას, ამ გაჯახირებულ წუთისოფელში.

თამადის მოადგილეები ფეხზე ამდგარნი უსმენენ თამადას, ამიტომ, როგორც კი თამადა დაასრულებს თავის სალოცავ სიტყვას, მის ამინს ისინი ამინით შეეწევიან და ორ ჭიქას (სასმისი) ნელა და გულმოდგინედ გადახუხავენ (გებახვეს), სუფრის წევრებიც ფეხზე წამომდგარნი ამინს დააგუგუნებენ და ვისაც რამდენი შეუძლია იმდენს მიირთმევს. როდესაც დედამიწაზე დარსდა მეცნიერულ-მართლმადიდებლური რელიგია (სწავლება), ანუ არიელ-ქურუმთა ინსტიტუტი, რომელმაც ღვთის ნებით შექმნა მოძღვრებები სასწავლო პროგრამები, მსოფლიოს ხალხებმა ამ პროგრამიდან (ღვინოდან) დალია იმდენი, რამდენიც შეეძლო მისი სულის ჭურჭელს, შესაბამისად, თანამედროვე მსოფლიოში არსებობს მართლმადიდებლური, კათოლიკური, გრიგორიანული ეკლესიები, თორას მიმდევარი იუდეველები, მაჰმადიანური და ბუდისტური სკოლები, მათგან გამოსული სექტები და ათეისტური გაგების მიმდევრები. ამიტომ **„მარჯვნივ ან მარცხნივ დაჯდომა ჩემზე არ არის, არამედ მათზე ვისთვისაც გამზადებულია“-ო** და კიდევ: **„არ იცით რას ითხოვთ. განა შეგიძლიათ ეს სასმისი შესვათ, რომელსაც მე ვსვამ და ის ნათელი მიიღოთ, რომლითაც მე ვინათლები?“** ამიტომ მცირეაზიელმა ურია-იუდეველებმა, ევროპელებმა და დანარჩენმა მსოფლიომ უნდა იცოდეს, რომ მათი სულიერების დონეს განსაზღვრავს მათი ეროვნული სასმელი – ეკლესია და არა შეიარაღება, ჯარი და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსები, მით უმეტეს ფული და ბანკი არაფერს არ ნიშნავს სულიერი საზომის საწყაოზე.

როდესაც სადღეგრძელო ჩათავდა, თამადამ შესძახა მომღერალთა გუნდს, სიმღერა უნდა სულს და, შესაბამისად, შვიდკაცამ დააგუგუნა სვანურ-მეგრულ-იბერიული სიმღერა. სიტყვა სიმ-ღერა ნიშნავს სასუფევლის სხეულის მიღებას ორმოცდაათი ქართული კოდის გასაღებით, განვმარტავ: ადამიანის მოაზროვნე სული ისეა მოწყობილი, რომ მას ყოველთვის ეშინია მის მიერ ჩადენილი ცოდვების, იგი აღიარებს თუ არ აღიარებს ამ ცოდვებს. თავის გულში კიცხავს მას, შესაბამისად პროგრესიკენ მიდის ადამიანის (კაცობრიობის) დადებითი აზროვნება, რომელიც დაკავშირებულია დიდ დროის მონაკვეთთან. ქართული ქორწილი და ქრისტიანული ეკლესია წარმოადგენს მაღალი დატვირთვისა და დადებითი ემოციების მქონე თეთრი აურის შემოქმედ პროცესს. ხოლო რაც შეეხება ცირკის არენას, თეატრს, კინოს, ტელევიზიას, რადიოს, გაზეთს, ჟურნალს და ა.შ. მასიური ინფორმაციის საშუალებებს, ისინი ჯადოსნურად მოქმედებენ კაცობრიობის შემეცნებაზე ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილ საინფორმაციო სამსასახურებს მთავრობები იყენებენ კაცობრიობის გონების გასაშავებლად, მოსაკვდინებლად და არა გამაცოცხლებლად. როცა დედამიწაზე მაცხოვარი იესო მეორედ მოვა, დაიწყება კაცობრიობის აზროვნების გამოცოცხლება და განთავისუფლება მემკვიდრეობითი შავი ინფორმაციისაგან.

საბჭოთა კავშირის, ევროპის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ყველა სახელმწიფოს საინფორმაციო სამსახურები და საგანმანათლებლო სისტემები ემსახურებოდა და ემსახურება სიმართლის დამალვას და შენიღბული სიცრუით, ბალღურად მოაზროვნე კაცობრიობის გონების მოკვდინებას. სამგლოვიარო ისაა, როდესაც ათეისტებმა ღვთისმოძულე კომუნისტებმა (ურიებმა) ლენინის მავზოლეუმი და კრემლის კედლებში სასაფლაო შექმნეს ქრისტეს მეორედ მოსვლის დღისათვის, თითქოს ქრისტე პირველად მათ აღადგენდა საფლავებიდან, შემდეგ მათ მიერ მოკლულ მილიონებს. ესაა აბსურდული ალოგიკა, რომელიც დიამეტრულად ეწინააღმდეგება ღმერთის მიერ დადგენილ ადამიანის ცხოვრების სისტემას. ძალიან მცირე დრო დარჩა ქრისტეს მეორედ მოსვლამდე, შესაბამისად ბოროტი კაცობრიობის გასამართლების დღემდე. თუ ქრისტე, მოციქულები და წმიდა მამები მსოფლიოს ხალხთა ბოროტ ხელისუფლებებს სამოთხეში აღადგენდნენ, მაშინ ჯოჯოხეთის ციხე-კოლონიები პატიოსან ადამიანებს გამოამწყვდევენ? ასე მხოლოდ შლეგები მსჯელობენ. ამიტომ გვასწავლის ღვთაებრივი პავლე მოციქული: **„ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ, არამედ მთავრობათა წინააღმდეგ, ხელმწიფეთა წინააღმდეგ, ამ წუთისოფლის სიბნელის მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ“.** (ეფეს. 6,12).

თამადა მერვე სასმისით (ორი ასგრამიანი ჭიქით) ადღეგრძელებს სიძეპატარძლის წინაპრებს, სისხლითა და ხორცით ნათესავებს, ანუ გენეტიკურ-ინფორმაციულ ჯიშსა და ჯილაგს. ჯიში ნიშნავს მამის გვარს (გენეტიკურ ბადეს), ხოლო ჯილაგი კი – დედის გვარს (გენეტიკურ ბადეს), პიროვნების გენეტიკური ბადის ბოლო ნასკვია: ბაბუა და ბებია მამის მხრიდან – ორი (2), ბაბუა და ბებია დედის მხრიდან ორი (2), დედმამა – ორი (2) და პიროვნება. მივიღეთ: 2+2+2+1=7 ანუ ადამიანი, პიროვნება ექვსი პიროვნების გენეტიკური ბადის ინფორმაციული ერთობლიობაა, რომლის დასაბამისეული (დედამიწიერი) წინაპარია კვერცხუჯრედი, თევზის ლიფსიტა და ა.შ. ექვსი (6) მილიარდწლიანი უფლის ინფორმაციული პროგრამა. ამიტომ თითოეული პიროვნება დედამიწაზე იბადება, იზრდება და გარდაიცვლება ღვთის სიცოცხლის წიგნის პროგრამით და არა შემთხვევით.

თამადის მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოებს მოადგილეები მიიღებენ ფეხზე დგომით, შესაბამისად სუფრის წევრებიც თითქმის ერთხმად დააგუგუნებენ ამინს და ყველა დალევს იმდენს რამდენიც მას შეუძლია, მისი სურვილიდან გამომდინარე. როგორც კი სადღეგრძელოს მიღების პროცედურა ჩაათავდება, შვიდკაციანი გუნდი სვანურ-მეგრულ-იბერიულ სიმღერას გადაბმულად იმღერებს. გუნდთან ერთად იმღერებს ყველა, ვისაც კი სიმღერა შეუძლია.

ჩემთან საუბრის დროს, წიგნიერი ადამიანები დაობენ, რომ თითქოსდა თავადები და მეფეები გლეხებისა და დაბალი ფენის ადამიანებს ჩაგრავდნენო. ადამიანს, პიროვნებას, ჩაგრავს საკუთარი უმეცრება, რომელიც მას აიძულებს იყოს მასზე მაღლა მდგომი წიგნიერი კაცის (ეშმაკის) თაყვანისმცემელი – მონა. როდესაც ადამიანი (კაცობრიობა) გახდება შემოქმედი ღმერთის თაყვანისმცემელი – მონა, ის ხდება სიმართლის მონა, თავისუფლების მონა, ასეთი ადამიანი არც სხვას დაჩაგრავს და მას ვერავინ ვერ გაუბედავს დაჩაგვრას (მოტყუებას). ადამიანების მიერ ერთმანეთის დაჩაგვრა არის იგივე, ერთმანეთის მოტყუება ანგარების გამო, ვერცხლის მოყვარეობის გამო, ამიტომ ადამიანს ყოველთვის ატყუებს საკუთარი ანგარება, ფულისა და ქონების უზომო სიყვარული უნგრევს ადამიანს (კაცობრიობას) ცხოვრებას და უქმნის მას გადაულახავ პრობლემებს. ქართული ქრისტიანული სუფრა უვიც ადამიანს ასწავლის სუფრიდან (ცხოვრებიდან) აიღოს იმდენი, რამდენის შესმის და შეჭმის უნარი აქვს მას. ქართულ სუფრასთან (დიარ-ა-სთან) არავინ არაა შეზღუდული ბევრი დალიოს (შეჭამოს) თუ ცოტა, მაგრამ თამადას (ღმერთს) და მოადგილეს (ქრისტეს) უნდა მიბაძოს, ინფორმაციის გაცემისა და მიღების (ჭამის) კულტურაში. ამიტომ სუფრის წევრი ვალდებულია თამადის მიერ შემოთავაზებული სასმისი (დოზა) იკმაროს, რომელიც არის კანონიკური დოგმა. თუ თამადის მიერ დადგენილი სასმისი (ასი გრამი, ფიალა, ყანწი) მას არ მოსწონს და მოინდომებს დიდი სასმისით დალევას, მის ირგვლივ მყოფი სუფრის წევრები ეტყვიან: შენ რა ჩვენი ჯიშის კაცი არა ხარ, ჩვენი ღმერთისა არ გწამს, შენ ურჯულო კაცივით იქცევიო და ა.შ. მას მაშინვე ამოდებენ ღვთიური წესის ლაგამს. თუ არ დაუჯერებს და არ დაემორჩილებსა ქრისტიანულ წესდებას, მას სუფრიდან გააძევებენ. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ ვიტყვი. თანამედროვე კაცობრიობის წინამძღოლმა ბოროტმა ელიტამ დაადგინა ყალბი ფასეულობათა ეტალონი (საწყაო), ქონებრივი (ფულის, ვერცხლის) ცენზი, ამიტომ ადამიანები (კაცობრიობა) ამ ყალბი საზომიდან გამომდინარე თვლიან, რომ ვინც ეკონომიკურად ღარიბია, იგი დაჩაგრულია, ხოლო ფულიანი, ქონებიანი კაცი კი მდიდარია და ბედნიერი, რაც არის ეშმაკი სასულიერო და სახელმწიო ხელისუფალთა ჯადოსნური საჭე, რომლითაც ისინი მართავენ ბალღურად მოაზროვნე კაცობრიობას. აქვე განვმარტავ, მექრთამეობა, კორუფცია და სხვა მსგავსი სიმახინჯე არის ბოროტი აზროვნებით კაცობრიობის მართვის მახინჯი სისტემა. კაცობრიობის წინამძღოლი სასულიერო და პოლიტიკური ელიტის მახინჯი (ქურდული, ბარაბას) აზროვნების სისტემა წარმოშობს კაცობრიობის მართვის კორუფციულ და ომებით ერთმანეთის დახოცვის სიტემას, რომელსაც ეწოდება ანტიქრისტე. ე.ი. ანტიქრისტე არის აზროვნების ბოროტი სისტემა, რომელიც ეფუძნება სამყაროს არსებობის ყალბ მსოფლმხედველობას. უფრო ზუსტად ესაა მდაბიური აზროვნება, რომელმაც იცის, რომ ბოროტებას სჩადის, მაგრამ არ იცის, როგორ და რანაირად გამოვიდეს ბოროტების (ეშმაკის) ბორკილებიდან.

როგორც კი ჩათავდა მერვე სადღეგძელოსადმი მიძღვნილი სიმღერის, შაირობის და ცეკვისადმი დათმობილი დრო, ანუ სუფრის წევრების გახალისებისა და განტვირთვის ინფორმაციული მონაკვეთი, უფალი თამადა ფეხზე წამოდგა და სუფრის წევრები (მრევლი) გააფრთხილა, ყურადღებით ესმინათ მისთვის: თქვენთვის ცნობილია რომ სისხლით ნათესაობა უფლისგანაა დადგენილი, მაგრამ სისხლით ნათესაობა არ წყვეტს მსოფლმხედველობრივ შეხედულებას, ამიტომ სისხლით ნათესავები ხშირად ერთმანეთის მოსისხლე (იდეოლოგიურ რელიგიური) მტრებიც ყოფილან და მომავალშიც იქნებიან. ერთმანეთის მიმართ თანხმობა, მშვიდობა და სიყვარული მოაქვს სულიერ მდგომარეობას. ამიტომ უწოდა მაცხოვარმა იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს – მოციქულებს მეგობრები, რაც მიშნავს ერთი გობიდან, ერთი სასმისიდან, ერთი ღმერთის სჯულის მოძღვრებიდან, მართალი ინფორმაციით მთვრალ, დალეულ ადამიანებს, მართლმადიდებელ ქრისტიანებს.

თამადას მერიქიფეებმა ღვინით აუვსეს ორასგრამიანი თასი (ფიალა), ანალოგიურად მიართვეს მის მოადგილეებს ღვინით სავსე თასი (ფიალა). თამადამ თქვა: ესა გრაალის თასი, ქრისტეს სისხლი – სახარება, ვინც სახარებიდან დალევს და შეჭამს ის ქრისტეს ჭეშმარიტი მეგობარია. ამიტომ დიდება ქრისტეს მეგობრებს, დიდება ჩვენს მეგობრებს, დიდება ქართულ მეგობრობას და დიდება მთელი კაცობრიობის მეგობრობას ქრისტეს სახელით. ამინ!

**მირიან ქართველი,**

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

# სასწრაფოდ გასავრცელებლად – სურსათის ეროვნული სააგენტო მოსახლეობას აფრთხილებს

საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტო აფრთხილებს მოსახლეობას, არ მიირთვას შპს “რაჭას”, შპს “გიოს”, შპს “პროგრესი ალვანისა” და შპს “პინოს” მიერ წარმოებული გაყინული ხინკალი და პელმენი. როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, ჩამოთვლილ პროდუქციაში აღმოჩენილია პათოგენური მიკროორგანიზმი “ლისტერია მონოციტოგენეზი”, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის, განსაკუთრებით კი ბავშვებისა და ორსული ქალების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ინტერნეტსაიტი ამბები.გე უცვლელად გთავაზობთ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ მიმართვას:

“სასწრაფოდ გასავრცელებლად

სურსათის ეროვნული სააგენტო აფრთხილებს მოსახლეობას, არ მიირთვას შპს “რაჭას”, შპს “გიოს”, შპს “პროგრესი ალვანისა” და შპს “პინოს” მიერ წარმოებული გაყინული ხინკალი და პელმენი, რადგან მათში აღმოჩენილია პათოგენური მიკროორგანიზმი “ლისტერია მონოციტოგენეზი”, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის, განსაკუთრებით კი ბავშვებისა და ორსული ქალების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

შპს “პინოს” მიერ წარმოებულ პელმენში აღმოჩენილია ასევე სალმონელა, რომელიც საკვებისმიერი ინფექციური დაავადების – სალმონელოზის გამომწვევია და ადამიანს სურსათითა და წყლით გადაეცემა; ხასიათდება მრავალფეროვანი კლინიკური გამოვლინებებით. სალმონელოზი მიმდინარეობს უპირატესად საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაზიანებით; ახასიათებს გულისრევა, ღებინება, საერთო სისუსტე, ტკივილი მუცლის არეში, შემცივნება, ტემპერატურის მომატება.

შპს “რაჭას”, შპს “გიოს”, შპს “პროგრესი ალვანსა” და შპს “პინოს” არაგეგმური ინსპექტირების შედეგად საწარმოო პროცესი შეუჩერდათ და ბიზნესოპერატორები 1000-1000 ლარით დაჯარიმდნენ. კანონმდებლობის შესაბამისად, მათ დაევალათ, უმოკლეს ვადაში გამოითხოვონ ბაზრიდან ყველა დასახელებისა და პარტიის სურსათი.

სურსათის ბაზრიდან გამოთხოვასა და განადგურებაზე ზედამხედველობას განახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო”, – ნათქვამია განცხადებაში.

მოკლედ პრობლემა პრობლემაზე ემატებათ უბრალო მოკვდავთ. გარდა იმისა, რომ მსოფლიოს მარკეტები გაჯერებულია გენმოდიფიცირებული პროდუქციით, რომლებიც ავთვისებიან დაავადებათა ძირითადი მაპროვოცირებლები არიან, სათანადო სამაცივრო დანადგარებისა და ჰიგიენური პირობების არქონის გამო თავს იჩენს ჩხიროვან დაავადებათა ფართოდ გავრცელების საფრთხე, რაც ჩვენი ისედაც გართულებული ყოფისათვის ნამდვილ თავსატეხს წარმოადგენს.

ფაქტია, რომ ნახევარფაბრიკატების დამამზადებელი საამქროები საკუთარი მოგების გასაზრდელად უამრავ ბოროტ ეშმაკობებზე მიდიან და ხშირად კაპიკებად ყიდულობენ ავტომანქანების მიერ გატანილ ან დაავადებისაგან დაცემულ პირუტყვს. უფრო მეტიც, ამას წინათ თბილისში, გლდანის ერთ-ერთ სუპერმარკეტში ნაყიდ ხინკალში თაგვის თათი იქნა აღმოჩენილი.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დანაშაულზე რეაგირების თაობაზე საზოგადოებას არაფერი შეუტყვია, რაც იმის “მყარი გარანტია” გახლავთ, რომ ანალოგიური სახის დანაშაული კვლავაც განმეორდება. ამიტომ, მეტი სიფრთხილე მართებთ მოქალაქეებს, როცა ნახევარფაბრიკატების შეძენით ცდილობენ თავიდან აირიდონ საოჯახო საზრუნავი და არაფერს ფიქრობენ მოსალოდნელ საფრთხეებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# “ორმა მინისტრმა ქვეყნის ინტერესებზე მაღლა ალასანიასთან მეგობრული ურთიერთობა და მოყვრობა დააყენა. არადა, მათ სახელმწიფოს ბედ-იღბალი ებარათ.”

*უშიშროების გენერალ-მაიორ ანზორ მაისურაძესთან ინტერვიუ, რომელიც გაზეთმა „საქართველო და მსოფლიო“ გამოაქვეყნა, 7 ნოემბერს ჩაიწერა, მაშინ, როცა მოვლენები კალეიდოსკოპურად იცვლებოდა: დეპუტატები ფრაქციიდან ფრაქციაში გადადიოდნენ ან არ გადადიოდნენ, მინისტრები თანამდებობებს ტოვებდნენ ან არ ტოვებდნენ, პარტიების ლიდერები ერთმანეთს რადიკალურად უპირისპირდებოდნენ, შემდეგ ხვდებოდნენ და მეგობრობას ეფიცებოდნენ, ამერიკის ელჩი ნორლანდი თავდაცვის ყოფილ მინისტრს უწყებიდან აცილებდა და ახალი მინისტრის მიწვევაზე უარს არ ამბობდა, იმასთანაც მიდიოდა.*

*„თავისუფალი დემოკრატები“ ყველა მსურველს თავიანთ ყრილობაზე იწვევდნენ, „ნაცები“ სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტდნენ და 15 ნოემბრისთვის დაანონსებული აქციით ხელისუფლებას მუშტს უღერებდნენ.*

*ირაკლი მინუს ირაკლი გაუგებარ ფორმულად ყალიბდებოდა.*

*ერთი სიტყვით, იყო რაღაც, პოლიტიკური კრიზისის მსგავსი და დესტაბილიზაციის აჩრდილი ისე ამოიწვერა დასავლეთიდან, როგორც თავის დროზე ამოვიდა „მზე ჩრდილოეთიდან “.*

ასეთი ვითარება ჩამოყალიბდა იმ დღისთვის და რესპონდენტიც და ამ სტრიქონების ავტორიც დარწმუნებულები იყვნენ, რომ მასალის პუბლიკაციის დროისთვის, ანუ 12 ნოემბრისთვის, ბევრი რამ შეიცვლებოდა, დალაგდებოდა. სხვა თუ არაფერი, გაგვიმხელდნენ იმ სიურპრიზებს, რომლებზეც პრემიერ-მინისტრმა მიგვანიშნა.

და, რაც მთავარია, შაბათ საღამოს პირველ არხზე გამოჩნდებოდა ბიძინა ივანიშვილი...

**– ბატონო ანზორ, როგორ შეაფასებთ შექმნილ ვითარებას?**

– სიტუაცია ფრიად დაძაბული მეჩვენება. სანამ დღეს შექმნილ ვითარებაზე სიტყვას გავაგრძელებ, მოდით, ცოტა უკან გავიხედოთ.

ერთმა ხელისუფლებამ წინა, მოძალადე ხელისუფლება მშვიდობიანი არჩევნებით გადააყენა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ გაესამართლებინა, განაცხადა: ჩვენი მოვალეობაა, გადავარჩინოთ „ნაციონალური მოძრაობა“.

შემდეგ გვითხრეს, რომ კოაბიტაცია ხალხის მოთხოვნა იყო.

ვთქვათ, ასეა.

მაშინ აგვიხსნან, როგორ შეიძლება, რომ ორი წლის განმავლობაში ერთმანეთის გინებაში იყვნენ და პრაქტიკულად არაფერი გააკეთონ?!

ამიხსენით ეს, გეთაყვა; ***ან ეს რა კოაბიტაციაა, ან რისთვის მოვიდა ახალი ხელისუფლება? ასეთი ვითარება ქვეყანას არ წაადგება: არც პოლიტიკურად, არც ეკონომიკურად, არც სოციალური ვითარების გასაუმჯობესებლად, არც კულტურის განსავითარებლად და ა. შ.***

ე. ი. ქვეყანაში ვითარება საერთოდ მძიმე იყო, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, ხოლო ის, რაც ამ დღეებში ხდება, ერთი მწვავე გამოვლენაა, რომლისკენაც ლოგიკურად მივდიოდით.

***იმ სახელმწიფოში, რომელშიც არ არის მკვეთრად გამოხატული ერთიანი პოლიტიკა, არ არის დისციპლინა, კონსპირაცია, ხელისუფლების ყველა დონეზე არ არიან პროფესიონალები და ყბედობა სიტყვის თავისუფლებადაა მიჩნეული, წინსვლა გამორიცხულია.***

ქვეყანას სჭირდება გონიერი მმართველობა და მაგარი ხელი. მაგარ ხელში დიქტატურას კი არ ვგულისხმობ და ხალხის დამთრგუნავი მექანიზმების გაძლიერებას, არამედ – მტკიცე ორგანიზატორობას. თორემ, რა გამოდის: ერთი ალთასაა, მეორე – ბალთას. პრემიერ-მინისტრი ერთს ამბობდეს, თავდაცვის მინისტრი კი, რომელსაც უთხრეს, პარიზში შეთანხმებას ხელი არ მოაწეროო, მაინც თავისას აკეთებდეს, ეს საქმეა?

**– ვარაუდობენ, საქმე შეეხებოდა საჰაერო თავდაცვის იარაღის შეძენაზე გარიგებას...**

– თავდაცვის მინისტრი მთავრობის მითითებას რომ არ ასრულებს, ეს სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევა და თავნებობაა.

აქეთ – ეს ფაქტი, იქით – გაფლანგული მილიონები. ოუ რადა, სივარადა!

**– ამ ვითარებას კიევის მაიდნამდე ხომ არ მივყავართ? კიევში ევროატლანტიკური მიმართულების არქონის ბრალდებით მოაწყვეს მაიდნის აქცია, რომელსაც სახელმწიფო გადატრიალება მოჰყვა. აქაც ხელისუფლებას იმავეს აბრალებენ. მას დაუპირისპირდა ამ მიმართულების „ერთგული“ „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ხვალ-ზეგ, კერძოდ, 15 ნოემბერს, რუსთაველის პროსპექტზე გამართავს აქციას და დაიწყება თბილისური მაიდანი.**

– ჩემი აზრით, ეს არის ყურით მოთრეული ვარაუდი. ასეთი განწყობა საქართველოში არ არის. ხელისუფლებას არ გადაუდგამს არც ერთი ნაბიჯი არჩეული კურსის საწინააღმდეგოდ.

**– მაშ, რას ნიშნავს 15 ნოემბრისთვის დაანონსებული „გრანდიოზული“ აქცია, რომლითაც წინასწარ თავს იწონებენ და გამარჯვებად მიიჩნევენ „ნაცები“?**

– ნიშნავს იმას, რისი საშუალებაც „ქართული ოცნების“ კოალიციამ მისცა: გადაარჩინა, პოლიტიკურ არენაზე დააბრუნა, ხელისუფლების აღვირახსნილი კრიტიკის უფლება მისცა და თავიანთი დანაშაულებრივი ქმედების დასავიწყებელი გზა გაუხსნა.

აქცია, რომელიც ახსენეთ, ამ ყველაფრის შედეგია.

მაგრამ ხალხი ამათ დემაგოგიას რომ აჰყვეს, გამორიცხულია.

**– ხომ არ ჩანს აქ გარე ძალების ხელი?**

– შეიძლება. შეიძლება იყოს სურვილი, უფრო დამყოლი მთავრობა დასვან ქვეყნის სათავეში, მაგრამ ეს ღია კარის მტვრევას დაემსგავსება. ამერიკელები პრაგმატულები არიან, მათი სპეცსამსახურები არც ძალისხმევას, არც სახსრებს ამაოდ არ დახარჯავენ. ამაში დარწმუნებული ვარ.

მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ალასანიას გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან რაღაც ფორმით ვაშინგტონთან იყო შეთანხმებული.

**– თვითონ ალასანიას გამოწვევა?**

– ალასანიას განცხადებები იყო მცდარი.

**– მაგრამ ხომ უჭერს მხარს სახელმწიფო დეპარტამენტი, შეერთებული შტატები?**

– შეერთებული შტატები – არა, ელჩი ნორლანდი უჭერ მხარს.

**– რით ახსნით ირაკლი ალასანიას იმ ქმედებას, რომელმაც ქართულ პოლიტიკურ სპექტრში გართულება გამოიწვია?**

– მის ოჯახს კარგად ვიცნობ. მამამისი ჩემი თანამშრომელი იყო. ძალიან ახლო და თბილი ურთიერთობა გვქონდა. 1973 წელს ირაკლის დაბადება ბათუმში, „ინტურისტის“ რესტორანში ერთად აღვნიშნეთ, საზღვარგარეთიდან შვებულებით ვიყავი ჩამოსული.

ირაკლის ქორწილშიც გახლდით მე და ჩემი მეუღლე, ვიწრო წრეში აღნიშნეს მაშინ შვილის გაბედნიერების დღე.

გასაგებია, მგონი, რა ურთიერთობაც გვქონდა.

**– დიახ.**

– მაგრამ, ***როცა მინისტრი გახდა, ორჯერ დავურეკე, არც ერთხელ არ მიპასუხა.***

**– იქნებ, არ ეცალა?**

– შეიძლება, მაგრამ არც მაშინ დამირეკა, როცა გააგებინეს, ანზორი ბიძია გირეკავს და დაუკავშირდიო.

არ დამკავშირებია.

ესე იგი, **ამბიციური გახდა. გადიდკაცდა**. გამიგეთ?

**– გაგიგეთ.**

– ამბიცია რომ თავში აგივარდება, უეჭველად შეცდომებს დაუშვებ კაცი. ალასანიამ ახლაც დიდი შეცდომა დაუშვა, აჩქარდა ძალიან. როგორც ჩანს, ეგონა, რომ ყველაფრის უფლება ჰქონდა. არ უნდა აგერიოს საკუთარი თავი ქვეყანაში.

**– პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯებად აფასებენ „თავისუფალი დემოკრატების პარტიის“ წევრი მინისტრების დემონსტრაციულად გადადგომას.**

– ალალად გეტყვით, უმადურობა ყველაზე ცუდი თვისებაა. ***კაცი კოალიციის სიით პარლამენტში რომ შეგიყვანს, მაშინ, როცა პერსონალურად შენ, როგორც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ზუგდიდში არჩევნებს წააგებ, თბილისის მერობასაც ვერ შეწვდები, მადლიერების გრძნობით უნდა იყო გამსჭვალული ბიძინა ივანიშვილის მიმართ. თავდაცვის მინისტრიც მისი წყალობით რომ გახდები, შე მამაცხონებულო, მადლობა მაინც უთხარი. უმრავლესობის სხდომას ბიძინა ივანიშვილის იქ ყოფნის გამო რომ არ დაესწრები – იმასთან სასაუბრო არაფერი მაქვსო, სირცხვილია, ძალიან ცუდად ახასიათებს ამ ახალგაზრდა კაცს.***

ერთხელ გენერალ ინაურს ერთ-ერთ საქმეზე რომ მოვახსენე, ეჭვი შეეპარა ჩემი არგუმენტების სისწორეში და მითხრა:

– ღმერთმა ქნას, ჩვენმა თხამ მგელი შეჭამოსო.

თხის უსაფუძვლო პრეტენზიაზეა ეს ანდაზა, თხის ამბიციურობაზე.

**– მთავარმა პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს მოხელეებზე საქმე რომ აღძრა, ეტყობა, ამან წონასწორობა დააკარგვინა თავდაცვის მინისტრს.**

– არა მგონია, პროკურატურას მილიონობით ლარის გაფლანგვის საქმე საგანგებოდ „შეეკერა“ ალასანიას წინააღმდეგ, უსაფუძვლოდ. თუ ასეა, მაშინ იმ პროკურატურაში არავინ გასაჩერებელი არ არის, თვითონ ის პროკურორებია დასაჭერი, მაგრამ ასეთ უკანონობას დღეს ვერავინ გაბედავს. ამაში, შვილებს გეფიცები, დარწმუნებული ვარ.

ვიცნობ ამგვარი საქმეების აღძვრისა და გამოძიების ტექნოლოგიას.

სადაც ჯერ არს, მიიღეს ინფორმაცია, რომ ის ექვსი მილიონი, რომელიც კაბელების გასაყვანად წაიღეს, არასწორად დაიხარჯა ან დაიხარჯა არა მთლიანად, არამედ – ნაწილი.

დაიწყეს ამ ინფორმაციის შემოწმება, შექმნეს ოპერატიული შემოწმების საქმე (ასე ჰქვია). შემოწმებამ დაადასტურა მიღებული ინფორმაცია. როცა საბოლოოდ დარწმუნდნენ ფაქტების უტყუარობაში, საქმე პროკურატურას გადასცეს. პროკურატურა, როგორც თქვეს, ორი თვის განმავლობაში იძიებდა ამ საქმეს და საგამოძიებო დასკვნა სასამართლოს წარუდგინა.

სასამართლომ ბრალწაყენებულებს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

**– ამ ყველაფერს ევროატლანტიკურ კურსთან რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს?**

– არავითარი! ფული თუ მოიპარე, დანაშაული ჩაიდინე, ეს ხომ ელემენტარულია. როცა დასავლეთ ევროპაში დარწმუნდებიან, რომ ფული მითვისებულია, გაფლანგულია, სახეში შეგაფურთხებენ.

რა დროს ამბიციურობაა და ისეთი განცხადებებია, რომლებიც ქვეყნის ინტერესებს აზიანებს?!

სხვათა შორის, მე არც ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება მომეწონა, რომელიც მან ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ გააკეთა – ავანტიურისტიაო და ა. შ. ასეთი რამ პრემიერ-მინისტრმა არ უნდა თქვას. ასეთი შეფასება სხვისი პრეროგატივა უფროა – პოლიტიკოსის, პოლიტოლოგის, ექსპერტის, საზოგადო მოღვაწის და ა. შ.

პრემიერი თავდაცვის მინისტრს ასე რომ დაახასიათებს, ეს მისი შეურაცხყოფაც არის, რადგან ეს მინისტრი შენი თანამებრძოლი იყო და დანაშაული (ვთქვათ, სავარაუდო დანაშაული) მაშინ მოხდა, როცა შენ ხელმძღვანელობდი მთავრობას, შენი მინუსიცაა.

**– დავაბრალოთ ეს ახალგაზრდა კაცის ემოციურობას.**

– მაგრამ სიტყვა ხომ ჩიტივითაა, გაფრინდება და ვერ დაიჭერ. ასე არ არის?

**– რა თქმა უნდა, ასეა. რით დამთავრდება, თქვენი აზრით, ეს კრიზისი, კრიზისული მოვლენა თუ კრიზისის ნიშნების მქონე ვითარება? დაასწრო ღარიბაშვილმა ალასანიას, როცა მთავრობიდან მოიცილა?**

– მაინც წავიდოდა... ხოლო ვითარება, რომელიც დღეს ასე გამწვავებულია, თანდათან დამშვიდდება.

აი, ყველა ისე რომ მოქცეულიყო, როგორც იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი (თუ ის მართლა იმ პოზიციაზე დგას, რომელიც ბრიფინგზე წაიკითხა), მაშინ ყველაფერი მშვიდობიანად გადაწყდებოდა. მაგრამ ***ორმა მინისტრმა ქვეყნის ინტერესებზე მაღლა ალასანიასთან მეგობრული ურთიერთობა და მოყვრობა დააყენა. არადა, მათ სახელმწიფოს ბედ-იღბალი ებარათ.***

კარგია, რომ წავიდნენ.

**– ბოლო შეკითხვა, ბატონო ანზორ: ამ პოლიტიკური დესტაბილიზაციის მცდელობის უკან უცხოეთის სპეცსამსახურები ხომ არ დგას?**

– (პაუზა) არა მგონია.

ესაუბრა არმაზ სანებლიძე

## პოეზიის კუთხე

### ნარღიშ კარე

ხვალე გემიდგ ნარღიშ კარე,
ფირქეფც ვაუღ შურო სვანჯი.
თოლონჭაფუს ცურუმ გარე,
ნირსის დუფორ გვალაშ წვანჯი.

მუნაფა რე ფერო შორშე,
დუც გუმართუ მუკი–მუკი.
აკორთელე არძა შოშე,
არძა გა დო არძა სუკი.

მიკმურცხონანს ფაჭას დოლოს,
აყარებულ წყარი ნარას.
ჩეგვალა დო ვერჩეშ ხოლოს,
მიკმარზანს დო მიკმავალანს.

მითა მიცუნც ელმაჩამალ,
ცალ მიწყუნუ ორთაშ უღუქ.
მუკომინჯანს ორკეს ჩანარ,
ნარღიშ კარეს მულვოგუგუქ.

ათაშ ვორექ ამდღა გვალო,
უძირაფუს დევეხოლი.
შურ გოფაფჩუ ერქემცალო,
გუმაფართხალ მაჭირხოლი.

გაგწოპრტებუ არზი, ნარდი,
ფირქეფ ვამიჩქ ასე სო რენ.
ხოლო ქუქუბ ვარე ნარტი,
ჭოროფა დღას აკობგორენ.

### თე ჩქინ რინა

თე ჩქინ რინა ვაღირ ნარღშა,
მარა თესუ მი თქუანცუ?
ამდღა შურო ქოცინუნც-და,
ჭუმან გვალო მითუანცუ.

თე ოფუტე ართ წამი რე,
თიშ თება თოლც აწომირე,
ჩქინ წვალება ვაღირ თიშა -
გიწოჲლე ვარ აწომილე.

შურ წკონდა დო ჯგამუშელი
ბოლოს არძას მეუღ თავრე,
სქან ნახანდა, ნამუშერი,
თოლიშ მერქას მედინაფე.

ანწი ვარა ქიგებგათუ
თე ქიანაშ ერთი-მორთი
დო თაქ მითინქ ვათქუასუ,
მუ მოკოდ დო მუშა მობრთი.

სანძღოთ ირო აშათხოზუ,
ღორონთიში სინთე, ორო,
მაზაკვალეფ ქაშაქოსუ,
მეცუნცუ დო მეურც ხოლო.

დოსქიდუნ ფერ მითინ ვარე,
ცოდას არძა ხუც ეკაბუ,
წკვარამიას ხვათახვალე,
მინ გიშმურც დო მინქ ვეკაგუ.

არძა თავრე ულირეფი,
თი ქიანას მიცონუნა.
იალონშე მუმულეფი
ჯვეშობურო ციონუნა!

* * *

თუთაქ მიწუ კაკანიაქ,
შხვა დომგორით აკანია.
აქ მუნაფა აწმაფეფუ,
კურტიშა დო აფანია.

თუთაქ მიწუ კაკანიაქ,
შხვადო მოკო აკანია.

მა ტაცალეს ირფელ მორწყე
წყარ, გვალა დო ჭორილ ჭველა,
ქობძირი დო თოლეფ გონწყი,
ჩქიმო ვარე ნორჩალ, კველა.

ანწ სი ქოთქვი, თე ცაშ ოზეს,
თაშ მუზმახანს გიბკერკელა.

ზაალ ჯალაღონია

ილორი
ეროვნული ბიბლიოთეკა

# “ნუ გვაქცევთ საქართველოს ატომური რაკეტების სამიზნედ!” – მიმართვა საქართველოს ხელისუფლებას



*სააგენტო “ივერიონი” და “საერთო გაზეთი” ავრცელებენ საინიციატივო ჯგუფის მიმართვას ხელისუფლებისადმი, ე. წ. “ნატოს სასწავლო ცენტრის” საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებასთან დაკავშირებით და მოუწოდებენ ყველა მოქალაქეს, გამოხატონ საკუთარი აზრი.*

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ **გიორგი მარგველაშვილს**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ **დავით უსუფაშვილს**

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ **ირაკლი ღარიბაშვილს**

ბატონებო!

მოგმართავთ ე.წ. „ნატოს საწვრთნელ ცენტრთან” დაკავშირებით, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე თქვენი მთავრობის სანქციით უკვე მალე უნდა გაიხსნას. საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი გრძნობს და აცნობიერებს, რომ ამგვარი ცენტრის გახსნა ჩვენი ქვეყნისათვის უფრო მეტ საფრთხეს შეიცავს, ვიდრე სარგებელს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჩინოვნიკები, საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად, ცდილობენ, დაარწმუნონ ქართული საზოგადოება, ისევე როგორც რუსეთის ხელისუფლება, რომ „საწვრთნელი ცენტრი” არ იქნება რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული და მისი მოქმედება რეგიონში მშვიდობის გამყარებას ისახავს მიზნად.

აშკარაა, რომ მსგავსი განცხადებები მხოლოდ განსაკუთრებულად მიამიტ ადამიანებს თუ დააჯერებს. **ნატო**-ს ეგიდით საწვრთნელი ბაზის გახსნა საქართველოს ტერიტორიაზე, კავკასიის გულში, არის გეოსტრატეგიული მოვლენა, რომელიც ავტომატურად უპირისპირდება რუსეთის ინტერესებს და მის გამოწვევას ნიშნავს, რაც არ უნდა „დამამშვიდებელი” განცხადებები მოჰყვეს მას. საქართველოს შეიარაღებულ ძალებს და ქვეყანას მთლიანობაში, „ნატოს საწვრთნელი ცენტრი” არაფერს მოუტანს, რაც რუსეთის ნეგატიურ რეაქციას გადასწონის. ამ ნაბიჯით საქართველოს უსაფრთხოებას კი არ გავაძლიერებთ, არამედ პირიქით, შევასუსტებთ, ვინაიდან საქართველოს ტერიტორია, საიდანაც პოტენციურად რუსეთისთვის საფრთხე იქნება მოსალოდნელი, მეზობელი სახელმწიფოს სამიზნედ გადაიქცევა. ეს მით უფრო სახიფათოა, რომ დღესდღეობით უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, რუსეთსა და დასავლეთს (**ნატო**-ს) შორის პირდაპირი შეჯახება აღარ არის გამორიცხული და ტაქტიკური ატომური იარაღის გამოყენების ალბათობა იმაზე მეტია, ვიდრე მე-20 საუკუნის „ცივი ომის” დროს იყო. ამაზე ღიად საუბრობენ დასავლურ პრესაში, ავტორიტეტული სამხედრო-პოლიტიკური ექსპერტები. დასავლური პრესა იმასაც წერს, რომ **ნატო**-სა და რუსეთს შორის ნდობა ფაქტობრივად მთლიანად არის გამქრალი (იხილეთ წამყვანი გერმანული ჟურნალი **„der Spigel”**– 08.02.15).

ყოველივე ეს ცხადჰყოფს, რომ თუნდაც კეთილი ზრახვებით ჩაფიქრებულ **„ნატო**-ს საწვრთნელ ცენტრს” საქართველოს რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირების ასპარეზად გადაქცევა შეუძლია.

რამდენად სურს ქართველ ხალხს **„ნატო**-ს საწვრთნელი ცენტრის” გამო ჩვენი ქვეყნის გადაქცევა რუსეთის სამხედრო მანქანის სამიზნედ? რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებული დაძაბულობა რომ გამძაფრდეს და ამ დაპირისპირებაში საქართველოც იქნას ჩათრეული, როგორც **„ნატო**-ს საწვრთნელი ცენტრის” მასპინძელი, პასუხს ვინ აგებს და ვინ დაგვიცავს?

საქართველოს ისედაც დიდი წვლილი შეაქვს საერთაშორისო სამხედრო ოპერაციებში – ავღანეთიდან დაწყებული, ცენტრალური აფრიკით დამთავრებული. ამიტომ, ჩვენს ქვეყანას ვერავინ დასდებს ბრალს, რომ საქართველო, „საწვრთნელ ცენტრზე” უარის თქმის შემთხვევაში, გაურბის პასუხისმგებლობასა და ნაკისრ ვალდებულებებს.

ბატონებო!

ვიცით, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და „საწვრთნელი ცენტრი” ხალხის ნების დაუკითხავად იხსნება, მაგრამ იცოდეთ, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი ამ ნაბიჯს უარყოფითად აფასებს. ამიტომ ჩვენ მაინც დაბეჯითებით მოგიწოდებთ, გადადგათ ერთადერთი სწორი ნაბიჯი და მიიღოთ საქართველოსათვის აუცილებელი გადაწყვეტილება – არ დაუშვათ **„ნატო**-ს საწვრთნელი ცენტრის” განთავსება საქართველოს ტერიტორიაზე! ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ თქვენი ამ ნაბიჯით კმაყოფილნი არ დარჩებიან გარკვეული პოლიტიკური წრეები ქვეყნის გარეთ და, რაღა თქმა უნდა, ქვეყნის შიგნით ისტერიულ დემარშებს მოაწყობენ სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენები, მაგრამ თქვენს მხარეს იქნება საზოგადოების, მთელი ქართველი ხალხის სიმპათია და მხარდაჭერა.

გვერწმუნეთ, ამ ფაქტორის გათვალისწინება უცხოეთშიც მოუწევთ და „ნაციონალებიც” შეეგუებიან, რადგან ეს იქნება დასტური იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია სუვერენული გადაწყვეტილებების მიღება.

**საინიციატივო ჯგუფი**

# სკანდალური კადრები: “კომედი შოუს” ბიჭებმა ე.წ. კანონიერ ქურდებთან ერთად დაბადების დღე ბერძნულ რესტორანში აღნიშნეს



ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ “კრიმინალურ ავტორიტეტებთან” კავშირი ნაციონალური მოძრაობის რამდენიმე ლიდერს, მათ შორის, გივი თარგამაძეს ჰქონდა, რომელიც უკრაინაში მიმდინარე პროცესებში აქტიურად მონაწილეობდა და ახლაც მონაწილეობს. ე.წ. კანონიერი ქურდების ამ ჩამონათვალში რამდენიმე პოპულარული პირიც ფიგურირებს, მაგალითად აფხაზი “ქურდი” ანთიმოზ ქუხილავა და ამირან ებრალიძე. მჟავანაძის ინფორმაციით, ამ ადამიანებს ნაციონალების მაღალჩინოსნებთან დღემდე აქვთ კავშირი, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად კი საქართველოს ციხეებში არეულობასა და ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარების შექმნას გეგმავენ.

ნაციონალებმა თავად მიიღეს კანონი, რომ, თუ ადამიანი “ქურდი” იყო, მაშინვე და უპირობოდ უნდა დაეკავებინათ. ამ კანონშიც ბევრი კითხვის ნიშანია. ჯერ მარტო ისაა გაუგებარი, ადამიანს “კანონიერი ქურდობა” როგორ უნდა დაუმტკიცო, მაგრამ კანონი იცნობს ამ ტერმინს. თუმცა რამდენიმე “კანონიერი ქურდი” სწორედ ნაციონალების დროს ისე შემოვიდა საქართველოში და ისე გავიდა ქვეყნიდან, ამას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ამ პირების ჩამონათვალი და საზღვარზე შემოსვლა-გასვლის კონკრეტული დოკუმენტაცია მოვიპოვეთ. ეს ადამიანები არიან: ანთიმოზ ქუხილავა, რომელიც წარმოშობით გულრიფშიდანაა. იგი თვითმფრინავით უკრაინიდან შემოვიდა, 2009 წლის 28 მაისს და ქვეყანა 29 მაისს, მეორე ღამეს, სარფის საზღვრიდან დატოვა; კახა ჯანგველაძე, რომელიც 2009 წლის თებერვალში შემოვიდა საქართველოში და უკან, სადახლოს გამშვები პუნქტიდან იმავე დღეს, რამდენიმე საათის შემდეგ გავიდა; კოსტა ბობოხიძე საქართველოში უკრაინიდან 2009 წლის 9 თებერვალს შემოვიდა, თბილისის აეროპორტით და სარფის გამშვები პუნქტიდან მეორე დღეს, 10 თებერვალს, 12 საათზე გავიდა; უკრაინიდან შემოვიდა ამირან ებრალიძეც, ასევე 2009 წლის 29 ოქტომბერს და მეორე დღეს სადახლოს გავლით დატოვა ქვეყანა.

ახლახან კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტელეკომპანია “რუსთავი-2 “-ის გადაცემა “კომედი შოუს” ბიჭებმა საბერძნეთის ერთ-ერთ რესტორანში ე.წ. კანონიერ ქურდებთან ერთად დაბადების დღე აღნიშნეს. ღონისძიების ფოტო და ვიდეომასალას უფლებადამცველი ზურაბ ქადაგიძე ავრცელებს.

უფლებადამცველის ინფორმაცით, ფოტო და ვიდეოკადრები საბერძნეთში, რესტორან “ბიზანტიოში” არის გადაღებული. როგორც ვიდეომასალაში ჩანს, “კომედი შოუს” წევრები ვასო ფხაკაძე, ნიკა არაბიძე და ვახო ბიჭიკაშვილი რესტორანში მყოფი ერთ-ერთი პირის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ.

კადრებში მოჩანან ე.წ “კანონიერი ქურდი” ოთარ დევნოზაშვილი, მეტსახელად “პაპუნა”, ე.წ. კანონიერი ქურდი ვალერიანე ხარებავა, მეტსახელად “დათო ჩერეპახა სამტრედსკი” და ე.წ კანონიერი ქურდი ლევან ცინცაძე, მეტსახელად “ლევან ტბილისკი”, ე.წ კანონიერი ქურდი აბესალომ პაპიაშილი, მეტსახელად “ბესო”, ე.წ კანონიერი ქურდი ვალერიან ჯავახაძე, მეტსახელად “ვალერი ქუთაისკი” “ყურშა”, ე.წ კანონიერი ქურდი ირაკლი ლეჟავა, მეტსახელად “ლაზარე”, ე.წ კანონიერი ქურდი გიორგი ენდელაძე, მეტსახელად “თავა”.

“რუსთავი-2”-ის თანამშრომელებისა და ე.წ კანონიერი ქურდების ერთობლივ ფოტო და ვიდეომასალებთან დაკავშირებით უფლებადამცველმა ზურაბ ქადაგიძემ პრესკონფერენცია არასამთავრობო ორგანიზაცია “სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის” პრესკლუბში გამართა.

როგორც ცნობილია, “კომედი შოუს” მსახიობები ნაციონალური მოძრაობის მენტალურ სახეს წარმოადგენენ და ამიტომაც იყვნენ ფავორში ნაცფაშისტი არამზადების ზეობის ჟამს. თავისთავად ცხადია, რომ “მეგობრობა” “კომედი შოუს” მსახიობებსა და ე.წ. კანონიერ ქურდებს შორის სწორედ მაშინ დამყარდა. ამიტომ, უეჭველია, რომ ნაცმოძრაობის ფიურერებმა კარგად იცოდნენ “კომედი შოუს” მსახიობების ბერძნული ვოიაჟის თაობაზე და შეიძლება სწორედ მათი დავალებითაც შეხვდნენ მსახიობები ქურდებს, რათა განეხილათ საქართველოში არეულობის მოწყობის კონკრეტული გეგმები.

ამის შემდეგ როგორ შეიძლება, რომ ავადსახსენებელმა ნაცებმა სხვებს დააბრალონ ქურდებთან მეგობრული და საქმიანი კონტაქტების დამყარება. როგორც იტყვიან, ენას ძვალი არა აქვს, ნაციონალებს კი – სინდისი. ამიტომ, სრულიად უადგილოა მორალსა და ზნეობაზე საუბარი იმ ნაცარამზადებთან, რომლებიც მათ მიერ მიღებულ კანონებსაც კი ფეხებზე იკიდებენ და ყოველი საძრახისი მეთოდების გამოყენებით ცდილობენ საქართველოში სიტუაციის არევას!

ამიტომ, იმედია აღნიშნული ფაქტით სამართალდამცველები დაინტერესდებიან და შესაბამის ზომებს მიიღებენ, რათა ნაცბანდიტებს საბოლოოდ გაუქრეთ სიტუაციის არევის სურვილი!



## საინტერესო პროექტი მოსწავლეთათვის „დავითის საქართველო“

„დავითობასთან“ დაკავშირებით, მარტვილის მუნიციპალიტეტში გამართული პროექტი „დავითის საქართველო“ 8 თებერვალს დაიწყო და ახლახან დასრულდა. ჭყონდიდის ეპარქიის წინამძღვრის მეუფე პეტრეს ლოცვა-კურთხევით 10 დღის განმავლობაში მუნიციპალიტეტში სხვადასხვა კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები გაიმართა.

5 თებერვალს, მე-2 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში, ტესტირება ჩატარდა საქართველოს ისტორიაში, მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის მე-11-მე-12 კლასის საჯარო სკოლის 70 მოსწავლე.

6 თებერვალს, გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის სააქტო დარბაზში, ჩატარდა მოსწავლეთა შემოქმედებითი კონფერენცია. მოსწავლეებმა წარმოადგინეს საკონფერენციო ნამუშევრები თემებზე: „დავითი და საქართველო“, „გალობანი სინანულისანი“, „დავითი და გიორგი ჭყონდიდელი“, „განათლება დავითის ეპოქაში“, „დავითი და თანამედროვეობა“, „ძლევაი საკვირველი“, „შემწყნარებლობა დავითის მოღვაწეობაში“. პროექტი მიზნად ისახავდა ეროვნული საეკლესიო დღესასწაულის აღნიშვნას, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული თვითშეგნებისა და წიგნიერების დონის ამაღლებას, პატივისცემის ჩანერგვას კულტურული მემკვიდრეობისადმი, ჭყონდიდის ისტორიული როლის გათავისებას წარსულსა და თანამედროვეობაში, 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარებას. მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა კულტურულ ღონისძიებებში, მოტივაციაა იმისა, რომ მეტი იცოდნენ საკუთარი ქვეყნის შესახებ, ამაღლდეს მათი ინტელექტუალური დონე.

მოსწავლეთა ნამუშევრები შეაფასეს კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა მურმან წოწორიამ და ამავე სამსახურის მთავარმა სპეციალისტებმა: მარინე თოფურიამ, ეკა კვესელავამ, პეტრე მანტუამ, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გივი ელიავამ, კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი ყურუამ, სალხინოს საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლემ გიორგი ხულორდავამ, რომელმაც ტესტირებაზე პირველი ადგილი დაიმსახურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ბაკური ქართული ასომთავრული დამწერლობის ფუძემდებელი

დამარცხებულმა ევგენიოსმა ტყვედ ჩავარდნის სირცხვილს სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულება არჩია. იტალიაში ჩასულ გამარჯვებულ ლაშქარსა და მის წინამძღოლებს საზეიმოდ შეეგება თვითონ წმ. ამბროსი მედიოლანელი.

395 წელს თეოდოსი I-ის გარდაცვალების შემდეგ დიდი ბაკური სამშობლოში ბრუნდება და სამეფო ტახტს იკავებს. მისი ზეობა აქ გაგრძელდა 417 წლამდე. მეფობის პერიოდში დიდი ბაკური ქრისტიანული ცხოვრების წესის განუხრელი დაცვით პირად მაგალითს აძლევდა ქვეშევრდომებს. მის მიერ გრი ორმიზდთან ერთად შექმნილი ეროვნული ანბანის პრაქტიკაში დანერგვის გზით იბერიის მოსახლეობის ფართო ფენებს საშუალება მიეცათ შეეთვისებინათ ქრისტიანული რელიგიის დოგმატები. მშობლიურ ენაზე გადმოღებული ქრისტიანული ლიტერატურის საფუძველზე შესაძლებელი გახდა კანონიკური საეკლესიო ლიტურგიის ქართულ ენაზე წარმართვა. თვითონ მეფე დიდი ბაკური და მისი მეუღლე, დედოფალი დუხტი ასკეტურ ყოფა-ცხოვრებას ეწეოდნენ; ქრისტიანულ სათნოებათა ერთგულება, გაჭირვებულთათვის დახმარება, სხვადასხვა სახის ქველმოქმედებანი მათთვის ცხოვრების ჩვეულ წესად იქცა. ამასთანავე, მიუხედავად არასახარბიელო პოლიტიკური ვითარებისა, ბაკური სამშობლოშიც არ ივიწყებდა აღმშენებლობას, – აშენებდა ღატაკთა და სნეულთა თავშესაფრებს, ეკლესია-მონასტრებს, ციხე-ქალაქებს. 416 წლის მახლობლად უკვე ჭარმაგ ასაკს მიღწეული კეთილმსახური მეფე ბაკური გარდაიცვალა. მისი ცხედარი სვეტიცხოვლის ძველ ტაძარში («ქვემო ეკლესია») ოდითგან არსებულ წინაპართა საძვალეს მიაბარეს.

მადლიერმა ქრისტიანმა ერმა ხელმწიფეს, რომელიც თავის ქვეშევრდომთათვის ჭეშმარიტად მზრუნველ მამად იქცა, «დიდი ბაკური» უწოდა და ამით გამოხატა მისი დიადი ნამოღვაწარის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება. მაგრამ ბაკურის გარდაცვალებიდან მცირე დროის გასვლის შემდეგ იბერია სასანიდური სპარსეთის მძლავრი ექსპანსიის შედეგად უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქვეყანა მოიცვა სხვადასხვა მაცდურმა სექტებმა, ადგილობრივი ეკლესიის მართვის სადავეები სპარსეთის შაჰის მოხელის (მარზპანი-პიტიახში) ხელში გადავიდა, წვრილ ერს შეერია ცეცხლთაყვანისმცემლობის ღვარძლი, მანიქევლობა, ნესტორიანობა და სხვა მსგავსი უწმინდურობანი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ბაკურის იმჟამად უკვე მხცოვანი ძმის, მეფე არჩილის ზეობისას (423-438 წწ.) ქვეყნის მღვდელმთავრის ტახტს «ნათესავად სპარსი» და «მობიდანად» (სპარსულად ნიშნავს მაზდეანთა კულტის მსახურს – ბ.ხ.) წოდებული «მოგვი უსჯულო და შემშლელი წესთა» ეპისკოპოსი დაეუფლა, რომელიც ძველი მატიანის ცნობით, თურმე «აჩვენებდა ...მართლმადიდებლობასა» და «ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა». მობიდანის მსგავსმა მართლმადიდებლობის მტრებმა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად სხვა (წინამორბედ), ჭეშმარიტ ქრისტიან მწერალთა ნაწერებშიც მრავლად შეურიეს მზაკვრულად მწვალებლობის ღვარძლი. ორთოდოქსული ეკლესიის მიმდევრები თავის მხრივ უკომპრომისოდ ებრძოდნენ მოწინააღმდეგეებს. საისტორიო ტრადიციის თანახმად, ვახტანგ გორგასლის სულიერ მოძღვარს – მიქაელ ეპისკოპოსს ცეცხლისათვის მიუცია მობიდანის საცთური წიგნები და საფიქრებელია, რომ განადგურებას ვერ გადაურჩა ის წიგნებიც, რომლებიც თავის დროზე მწვალებელთა მიერ იქნა გამიზნულად შერყვნილი. აღნიშნულ ნიადაგზე წერილობითი ძეგლების საეკლესიო რევიზიები შემდგომშიც გრძელდებოდა. ბაკურის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ყველაზე უხვი ინფორმაცია მის შვილიშვილს – პეტრე იბერს მოეპოვებოდა. მას წერილობითაც ჰქონია ის გაფორმებული. მაგრამ პეტრე იბერი მონოფიზიტობის გზაზე შედგა, გახდა პალესტინელ მონოფიზიტთა აღიარებული ლიდერი. ქართულმა ორთოდოქსულმა ეკლესიამ მისი სახელის ხსენებას VII ს-დან მოყოლებული (რა დროიდანაც ქართული ეკლესია სამუდამოდ გაემიჯნა მონოფიზიტობასთან ზენონ-აკაკიუსის ჰენოტიკონით განსაზღვრულ შემრიგებლურ პლატფორმას) ვიდრე XIII ს-მდე დუმილის «ტაბუ» დაადო. შესაბამისად, პეტრე იბერის ნაწერებიც მოსპობილი იქნა დასახელებულ პერიოდში. სხვასთან ერთად აღნიშნულიც შეიქმნა იმის მიზეზი, რომ ხსოვნა კეთილმსახურ მეფე ბაკურისა და მისი ფასდაუდებელი დამსახურებების შესახებ VII ს-დან მოყოლებული ადგილობრივ საისტორიო ტრადიციაში ჯერ ფერმკრთალდება, შემდეგ კი, XI ს-ში ლეონტი მროველის მიერ ქართული მწიგნობრობის მესაძირკვლედ ლეგენდარული მეფე ფარნავაზის გამოცხადების კვალობაზე, საერთოდაც ქრება ქართველთა მეხსიერებიდან. აღნიშნული ვითარებით სარგებლობს XIII ს-ის სომეხ მწიგნობართა ერთი საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი პედაგოგ ჰოვჰანეს ვანაკანის მეთაურობით და იმ დროისთვის ძველ სომხურ წერილობით წყაროებში ქართული და სომხური დამწერლობების შექმნის მოვლენების შესახებ აქა-იქ ჯერ კიდევ შეურყვნელად შემორჩენილი ცნობების კარგად მოფიქრებული და ტენდენციური სახით გადამუშავება-გადაკეთების შედეგად საფუძველს უყრის მესროპ-მაშტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონებაზე ყალბ ვერსიას. ასე და ამრიგად იქნა გაძევებული ქართული ასომთავრული ანბანი ქრისტიანული ეპოქიდან წარმართობის ჯურღმულში, ხოლო ბაკურისა და გრი ორმიზდის ძვირფას სახელებს მათ დიდ ნამოღვაწართან ერთად ხანგრძლივი დროის მანძილზე დავიწყების საბურველი გადაეფარა...

**დიდი ბაკურის პიროვნება, ჩვენი რწმენით, ყველაზე სკეპტიკურად განწყობილ ადამიანთა გემოვნებასაც კი დააკმაყოფილებს.**

## ბოლოთქმა

**«ყოველთათვის ჟამი არს და ჟამი ჩანს ყოვლისა საქმისა ცასა ქუეშე.»**
**ეკლესიასტე – 3,1**

**«...და მამამან შენმან, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად»**
**მათე – 6,4**

დიდი ბაკურის პიროვნება წინამდებარე მონოგრაფიამდეც ცნობილი იყო განათლებული საზოგადოებისათვის. მისი სახელი ბევრი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის შრომებში ფიგურირებს. მაგრამ სხვადასხვა ერთმანეთთან დაკავშირებულ მიზეზთა წყების გამო დღემდე პრაქტიკულად ვერ მოხერხდა ამ პიროვნების ღვაწლის სრულფასოვნად შესწავლა და გამომზეურება. ამ უნებლიე უსამართლობის აღმოფხვრისაკენ მიმართული ჩვენი ამჟამინდელი ცდა მხოლოდ დასაწყისია და მომავალში მას უეჭველად ექნება გაგრძელება სხვა, ჩვენზე უფრო დახელოვნებულ მწერალთა და სწავლულთა მხრიდან.

წინამდებარე მონოგრაფიას დიდ ბაკურზე, როგორც შესავალშივე აღინიშნა, წინ უსწრებდა ჩვენი ნაშრომის – «ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის ეპოქის, გარემოებებისა და ავტორთა ვინაობის საკითხისათვის» (2002 წ.) – დღის სინათლეზე გამოტანის ფაქტი. დიდი ერისკაცის ცხოვრება-მოღვაწეობის მონოგრაფიულად შესწავლის სურვილიც (იდეა კი, ბატონმა იოსებ კვიციანმა მოგვაწოდა) სწორედ მაშინ დაიბადა. ამის გაკეთება აუცილებელი იყო თუნდაც იმისათვის, რომ ჩვენს ფართო საზოგადოებრიობას ეხილა, – შეეძლო თუ არა რეალურად დიდ ბაკურს გრი ორმიზდთან ერთად ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნა, როგორც ამას ჩვენ ვაუწყებდით მკითხველ საზოგადოებას ზემოაღნიშნულ ნაშრომში. გულწრფელად ვითხოვთ, მოგვიტევოს მკითხველმა, თუკი მისი ცნობისწადილი სრულად ვერ დავაკმაყოფილეთ. დიდი ბაკურის პიროვნება და ღვაწლი იმდენად დიადი აღმოჩნდა, რომ მის ზედმიწევნით წარმოჩენას ერთი რიგითი მკვლევრის გარჯა და მცდელობა რას ეყოფოდა?! აკი ვთქვით კიდეც ზემოთ, ამ პიროვნების ხატება მომავლის დასაწერია-თქო?! (იქნებ, ასევე ფიქრობდა მიქელ თარხნიშვილიც, როცა წერდა: «ამ დიდ ქართველზე უფრო ვრცლად ალბათ სხვა დროს»-ო. 32:278).

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ძალზე მწირი ინფორმაცია გვაქვს ხელთ ქართული ასომთავრულის მეორე შემოქმედი პირის – გრი ორმიზდის შესახებ. მასზე, ძველი ლათინების სიბრძნეს რომ დავესესხოთ: Tantum scimus, quantum memoria tenemus – «იმდენი ვიცით, რამდენიც გვახსოვს». ცხადია, ახალი მასალების მომავალში გამოვლენის კვალობაზე მისი ცხოვრება-მოღვაწეობის მონოგრაფიული შესწავლის შესაძლებლობაც გაჩნდება. მანამდე კი, ქართული ისტორიოგრაფია ვალში რჩება ამ წმინდანად შესარაცხ პიროვნების მიმართ.

დიდი ბაკურის განცვიფრების ღირსი ღვაწლის გამოჩენის ფაქტი, პირადად ჩვენთვის, გულახდილი თუ ვიქნებით, მოულოდნელი არ ყოფილა. IV-V სს.-ის ქართლის სამეფოს ისტორიის ამსახველ ძველ ქართულ წერილობით წყაროებში აშკარად იგრძნობოდა ერთგვარი ვაკუუმი მირიანისა და ვახტანგ გორგასლის ეპოქებს შორის. დიდი ბაკური აღმოჩნდა ის მთავარი საყრდენი ბურჯი, რომელიც ხსენებულ პირთა ეპოქებს შორის გადებულ ხიდს აკლდა შუაში: «მირიანი», ქვეყანაში ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურად დამამკვიდრებელი – «დიდი ბაკური», ქვეყნის საყოველთაო ქრისტიანიზაციის შემოქმედი – «ვახტანგ გორგასალი», ქვეყნის ეკლესიის დამოუკიდებლობის მესაძირკვლე.

**დიდი ბაკურის განცვიფრების ღირსი ღვაწლის გამოჩენის ფაქტი, პირადად ჩვენთვის, გულახდილი თუ ვიქნებით, მოულოდნელი არ ყოფილა. IV-V სს.-ის ქართლის სამეფოს ისტორიის ამსახველ ძველ ქართულ წერილობით წყაროებში აშკარად იგრძნობოდა ერთგვარი ვაკუუმი მირიანისა და ვახტანგ გორგასლის ეპოქებს შორის. დიდი ბაკური აღმოჩნდა ის მთავარი საყრდენი ბურჯი, რომელიც ხსენებულ პირთა ეპოქებს შორის გადებულ ხიდს აკლდა შუაში: მირიანი, ქვეყანაში ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურად დამამკვიდრებელი — დიდი ბაკური, ქვეყნის საყოველთაო ქრისტიანიზაციის შემოქმედი — ვახტანგ გორგასალი, ქვეყნის ეკლესიის დამოუკიდებლობის მესაძირკვლე.**

წინამდებარე მონოგრაფია,– ფაქტიურად პირველი კვლევითი ხასიათის ნაშრომი ქართული ასომთავრული ანბანის ერთ-ერთ შემოქმედზე, – დაიწერა ფართო საზოგადოებრიობისათვის, განურჩევლად რჯულისა და შეხედულებებისა; ოღონდ (ვიქნებით გულახდილი), მორწმუნე ქრისტიანთათვის – გულის გასახარად, ურწმუნოთათვის კი – საგონებლად. აღნიშნულის ფონზე, ცხადია, ამ პატარა წიგნის გმირს უცილობლად ეყოლება როგორც თავისი ერთგული მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეებიც. საზოგადოება არ იქნება ერთსულოვანი არც ბაკურის ღვაწლის შეფასების თვალსაზრისით: ვისთვის უპირატესად ის იქნება თავისი დროის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ვისთვის – მეცნიერი და ბრძენი ფილოსოფოსი, ვისთვის – უბრალოდ ქართველი გენიოსი, ვისთვის კიდევ – ქართული ქრისტიანული ეკლესიის სწორუპოვარი მოამაგე და წმინდანთა შორის მოსახსენიებელი პიროვნება. პრინციპში, სიმართლე თითოეულ მათგანთან იქნება. დიდი ბაკურის პიროვნება, ჩვენი რწმენით, ყველაზე სკეპტიკურად განწყობილ ადამიანთა გემოვნებასაც კი დააკმაყოფილებს. საერთოდ კი, წინამდებარე მონოგრაფიას აქვს იმის პრეტენზია, რომ შეასრულოს იმ გონებით შეცნობადი საბუთის მოვალეობა, რომელიც ისევ ჩვენი, ანუ ამა ქვეყნის მოკვდავთა მხრიდან სხვადასხვა მიზეზ-გარემოებათა მიზეზით თუ უნებლიეთ შეცდომაში შეყვანილ ადამიანებს იმ უალტერნატივო ობიექტური ჭეშმარიტებისაკენ, – რომ ქართული «ასომთავრული» ქრისტიანული ეპოქის სწორუპოვარი ქმნილებაა, რომელსაც დიდი ბაკურისა და გრი ორმიზდის სახით ღვთიურ სიბრძნეს ნაზიარები ასკეტურად მოკრძალებული მოკვდავი შემოქმედნი ჰყავს, – ერთხელ და სამუდამოდ შემოატრიალებს. აღნიშნულის იმედი რომ არ გვქონოდა, არც წინამდებარე მონოგრაფიის მზის სინათლეზე გამოტანას ექნებოდა აზრი...

ჩვენს თვალთაგან თექვსმეტი საუკუნის მანძილზე «დაფარული» დიდი ერისკაცის სახელი და ღვაწლი, როგორც ზემოთ ითქვა, მოულოდნელად არ გამობრწყინებულა.

ჭეშმარიტად, Omnia tempus habet – «ყველაფერს თავისი დრო აქვს». თუ კარგად გავიაზრებთ ფაქტებს, დავინახავთ, რომ მარადმოწყალე ღმერთი მას ჩვენ, დიდი ბაკურის დამცრობილ შთამომავლებს, თანდათანობით გვიჩენდა. ჯერ იყო და, გასული საუკუნის შუაგულში ბეთლემის მახლობლად ტრიალ უდაბნოში ყველასაგან დავიწყებულ ქართველთა ნამონასტრალს გადახადა მტვრის სქელი საფარველი და სასწაულებრივად გადარჩენილ მოზაიკის ნაგლეჯზე ჩვენთვის სანუკვარი სახელები ამოგვაკითხვინა; შემდეგ არაგვის ხეობაში მდებარე ერთ, ასევე ყველასგან მიტოვებულ მცირე საყდრის ბურჯში საუკუნეთა მანძილზე ჩაშენებული ქვასვეტის დაფარული წახნაგი ზედ ნაკვეთი დაზიანებული, მაგრამ მაინც ძვირფასი სახეებითურთ გახადა თვალისათვის სახილველი; ერთგან ასომთავრულით დაწერილი სახელები: «ბაკურ და გრი ორმიზდ», მეორეგან მათი ქვაზე ამოკვეთილი უკვდავი სახეები შარავანდედში გახვეულ ასომთავრულთან ერთად!

აი, ჩვენი დროის ორი, თვალთათვის სახილველი დიდი სასწაული... და ბოლოს, «ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი»-ს ამეტყველებული მისტიური სიმბოლიზმი, ქართული ენის ამოხსნილი «ყოველი საიდუმლო», წვდომა სიტყვების, – «ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხრას ესე წილი ანბანისაი», – ჭეშმარიტი არსისა... და აეხადა ფარდა დაფარულს, აღსრულდა ნება ღვთისა და დაესრულა «მძინარება» «დამარხული ენისა»! დიდმა ბაკურმა გრი-ორმიზდთან ერთად წარსულის ნისლიდან აწმყოს მზიანეთში დიადი ნაბიჯებით შემოაბიჯა და ყველა ქართველის გულისკარზე მძლავრად შემოჰკრა ზარს... ხოლო, «რომელი ირეკდეს, განეღოს მას! « (მ. 7-8; ლ. 11-10).

**ბესიკ ხურცილავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არნო ხიდირბეგიშვილი: „ვაშინგტონიდან მიღებული ინფორმაციით, სექსუალური ხასიათის ფსიქიკური აშლილობის მქონე სააკაშვილი სკანდალით გამოაძევეს აშშ-დან და მალე, თავის პროტეჟეებიანად, უკრაინიდანაც გამოაძევებენ!“



არ არსებობს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების უფრო ზუსტი და ლაკონური შეფასება, ვიდრე ციტატა 1931 წელს ილფისა და პეტროვის მიერ დაწერილი წიგნიდან „ოქროს კერპი“: „ლეიტენანტ შმიდტს 18-დან 52 წლამდე ასაკის 30 ვაჟიშვილი და 4 ბრიყვი, ხნიერი და უშნო ქალიშვილი აღმოაჩნდა“.

როგორც კი „ოქროს კერპმა“ „წველა“ შეწყვიტა – ანუ ბიძინა ივანიშვილმა შეწყვიტა თავისი პოლიტიკური „პირმშოების“ გამოკვება, რომლებისგანაც ჭრელი კოალიცია და იმავე დასახელების პარტია „ქართული ოცნება“ შექმნა, ისინი ერთმანეთს დაეძგერნენ, რადგან „ბავშვები რაღაცნაირი უხეში, ხარბი, თავნება იყვნენ და ერთმანეთს ფულის შოვნაში ხელს უშლიდნენ...“. რაც მოსალოდნელიც იყო არაპოპულარული, მარგინალური, ნეპოტიზმითა და კორუფციით საკუთარი თავის მადისკრედიტებელი, შევარდნაძის ხანის „მოღვაწეებისგან“ (ენა არ მოგიტრიალდება, რომ მათ პოლიტიკოსები უწოდო), „ახალ სახეებთან“ ერთად – აშკარა დილეტანტებთან, სახელმწიფო ბიუჯეტს რომ ეცნენ და საკუთარ „მამას“ აუჯანყდნენ.

„თქვენ იცით, როგორ ააშენოთ აყვავებული საქართველო? აბა მიდით!“ – მიუშვა მაშინ „სადავეები“ ივანიშვილმა და დროებით ჩრდილში გადაინაცვლა, რათა მათთვის „შემოქმედებითი“ თავისუფლება მიეცა. შესაძლოა ივანიშვილმა ეს განგებ გააკეთა, რათა ქართველი ხალხისთვის ეჩვენებინა მათი უმაქნისობა, მაგრამ დღეს ბიძინამ სასწრაფოდ უნდა ჩართოს „დროის მანქანა“ – ანუ დაბრუნდეს 21012 წელში და ყველაფერი თავიდან დაიწყოს. რამდენად აცნობიერებს ბიძინა გრიგორის ძე საფუძვლიანი ცვლილებების უკიდურეს აუცილებლობას, თუ კოსმეტიკური რემონტით შემოფარგვლას იმედოვნებს – ამას უახლოესი დღეები გვიჩვენებს, ჯერჯერობით კი საქართველო ქუჩური ხელჩართული ჩხუბის ყოველდღიურ რეჟიმში იმყოფება 21 მარტის მოლოდინში, როცა სააკაშვილის ექსმმართველი პარტია მასობრივი საპროტესტო მიტინგით იმუქრება დედაქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე მთავრობის გადადგომის მოთხოვნით.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ უმოკლეს ვადაში – „ქართული ოცნების“ 2-წლიანი მმართველობის განმავლობაში – გაკოხტავებული „ნაციონალები“ ივანიშვილს მხოლოდ ამას როდი უნდა უმადლოდნენ: მას რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება არ დაემხო, ეკონომიკური სტაგნაცია საქართველოში მაინც დაიწყებოდა, მაგრამ დღეს პასუხისმგებელი იქნებოდა „ნაციონალური მოძრაობა“ და არა „ქართული ოცნება“! გარდა ამისა, საქართველო ოფიციალურად ჩათრეული აღმოჩნდებოდა უკრაინის კონფლიქტში, აქედან გამომდინარე ყველა უმძიმესი შედეგით...

თუმცა, „ნაციონალებისთვის“, გარდა კარგად სტრუქტურირებული პარტიის, თავისი ოფისებითა და ფინანსებით, სასამართლო და დიპლომატიური კორპუსის, შსს-ს ბირთვის, პროკურატურისა და თითქმის ნახევარი პარლამენტის, და კიდევ „დროშის“ – მიხეილ სააკაშვილის დატოვება „ჩიტის“ თავისუფლებაზე გაშვებით, უკიდურესად წინდაუხედავი ნაბიჯი იყო. სააკაშვილი, რომელიც ივანიშვილისგან მილიონებს იღებდა, ხომ ასევე „ლეიტენანტ შმიდტის ვაჟია“– ერთგვარი შურა ბალაგანოვი, ამიტომაც „ბალაგანს“ საქართველოში აუცილებლად მოაწყობს! მეტიც – ქვემოთ ჩამოვთვლი მიზეზებს, რომელთა გამოც იძულებულია ასე მოიქცეს. მაშ ასე:

როცა ჟურნალისტმა ლალი მოროშკინამ, რომელსაც ახალი ხელისუფლების პირობებში გარკვეულ ხანს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის მრჩევლის პოსტი ეკავა, სკანდალური განცხადება გააკეთა, რომ მიშა მანიაკი და გახრწნილია, რომელსაც დაქვეითებულ ლიბიდოსთან დაკავშირებით პრობლემები აწუხებს და რომ ციხეებში ანალურ წამებებს ვიდეოზე სააკაშვილის მითითებით იღებდნენ, რომელთა ნახვითაც იგი პოტენციას იწვევდა, უმრავლესობამ ეს ცნობილი შოუვუმენის მორიგ ეპატაჟად აღიქვა. არადა, ლალი ხომ კარგად იცნობდა მიშას მანამდეც, სანამ იგი პრეზიდენტი გახდებოდა...

მაშინ არავის შეუჯერებია ეს უწინ გახმაურებულ ურიცხვ სკანდალურ ფაქტთან, რომლებიც სააკაშვილის სექსუალური ხასიათის ფსიქიკურ აშლილობას (სექსუალური პერვერსიები, პარაფილია) მოწმობდა: როცა სკოლის მოსწავლე მიხეილი, დიდი ხნის განმავლობაში ენურეზით რომ იტანჯებოდა, თანაკლასელებს თავისთან სახლში იტყუებდა და მალულად იღებდა ინტიმური ხასიათის სცენებს მათი მონაწილეობით, შემდეგ კი ამ ვიდეოკასეტებს ავრცელებდა; მისი მისწრაფება ექსტრემალური სექსისადმი მასზე ბევრად ახალგაზრდა გოგონებთან – აუზში, თვითმფრინავში, რესტორნებში, ზოგჯერ – გათხოვილ ქალებთანაც, თითქმის მათი ქმრების თვალწინ, რაც მას განსაკუთრებით აღაგზნებდა... აღარაფერი რომ არ ვთქვათ სამუშაო კაბინეტებსა და სასტუმროებში გამართულ ორგიებზე, რის გამოც სანდრამ ერთხელ ბავშვებს ხელი მოკიდა და მშობლებთან, ნიდერლანდებში გაფრინდა. არ დაიმალა სადომაზოხიზმის ფაქტებიც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი სააკაშვილის სექსპარტნიორების კერტებმოჭმული ძუძუებით, სადისტურად დაზიანებული სასქესო ორგანოებით და აბორტებით... ვერ მოხერხდა ასევე იმ ინციდენტების დამალვა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ორი ოფიციალური საზღვარგარეთული ვიზიტის დროს – როცა პირველი ლედის მცველებმა პრეზიდენტ სააკაშვილს ის ხელი ამოუგდეს (მეორედ – მოტეხეს), რომელიც დაიგრძელა.

თუმცა დღესაც კი საქართველოში არავინ დაფიქრებულა, საქართველოდან აშშ-ში გაქცეული სააკაშვილი, მანამდე, სანამ „ნეზალეჟნის მაიდანს“ მოაწყობდა, რატომ არ კითხულობდა ამერიკაში ლექციებს, როგორც ამას ფართოდ არეკლამებდნენ? ტაფტსის კერძო უნივერსიტეტში, მასაჩუსეტსის შტატში, რაც ამერიკის საზომით ნებისმიერი ექსპრეზიდენტისათვის შეურაცხმყოფელად მიიჩნევა? რას აკეთებდა სააკაშვილი აშშ-ში მთელი ამ ხნის განმავლობაში, გარდა ბარებში სმისა და ნარკოტიკების მიღებისა, აფროამერიკულ კვარტლებში მთვრალი კვეხნისა და ველოსიპედით ბაზრობებზე ხეტიალისა, სადაც სექონდ-ჰენდის სათვალესა და ბოტასებს ყიდულობდა?

გასულ კვირას კომპეტენტური ამერიკული წყაროსგან ინფორმაცია მივიღე: თურმე, აშშ-ში, სადაც სააკაშვილი ტაფტსის კერძო უნივერსიტეტთან არსებული ფლეტჩერის სახელობის სამართლისა და დიპლომატიის სკოლაში ლექციების წასაკითხად გაამწესეს, იგი კვლავ დაკავდა ჩუკენობით ნორჩ მოსწავლეებთან... სწორედ ამიტომ მიხეილი იქიდან გააგდეს ისე, რომ ორ „ლექციაზე“ მეტი არ წაუკითხავს, ასევე, არ მისცეს სამუშაო ვიზა აშშ-ში ყოფნისთვის და, ამგვარად, ქვეყნიდანაც გააძევეს...

საით გასწიოს?! მას შემდეგ, რაც ბაქოელი სომხების ორმა ნაშიერმა – სააკოვმა და კასპაროვმა – აშშ-ს უკრაინისთვის იარაღი ვერ გამოსძალეს, სააკაშვილის ყოფნამ უკრაინაში პრეზიდენტთან არსებული რეფორმების საერთაშორისო საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელის პოსტზე ყოველგვარი აზრი დაკარგა. მან ხომ ვერ შეასრულა ერთადერთი დავალება – ეშოვა იარაღი, რაც პოროშენკომ საჯაროდ გაახმოვანა, როგორც მისი დანიშვნის მთავარი მიზანი. უკრაინისთვის ფულის საშოვნელად კი, რომელმაც წინა კვირას საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან 5 მლრდ დოლარის ოდენობის პირველი ტრანში მიიღო, სააკაშვილი სრულებით არ არის საჭირო – მეტიც, ხელისუფლებაში მყოფი უკრაინელი ბიზნესმენებისთვის ის, თავისი „ანტიკორუფციული რეფორმებით“, მხოლოდ ხელიშემშლელი და „ზედმეტი თვალია“! ამავე მიზეზით, ჩემი ინფორმაციით, რომელიც სანდო უკრაინული წყაროებიდან მივიღე, უკრაინის ხელისუფლების შემდგომი დაკომპლექტების პროცესი სააკაშვილის პროტეჟე ნაციონალ-ჩინოვნიკებით შეჩერებულია, როგორც კონტრპროდუქტიული, რომელმაც უკრაინელების – ხალხისა და ხელისუფლების საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია.

გარდა ამისა, სააკაშვილმა კიევშიც მოასწრო „ცელქობა“, როცა ბარში დამთვრალმა ღამის ერთად გათევა შესთავაზა მანდილოსანს, რომელიც ცნობილი მილიონერის – პოროშენკოს ყოფილი ბიზნესპარტნიორის ქალიშვილი აღმოჩნდა... პასუხად, ქალიშვილმა ალიყური აჭამა, მეორე დღეს კი სააკაშვილმა უკანასკნელი გაფრთხილება მიიღო კიევის მერის – ვიტალი კლიჩკოსგან, რომელმაც ურჩია, არ შეერცხვინა უკრაინა საზღვარგარეთ და თვალყური მიედევნებინა თავისი იმიჯისთვის კიევში, თავი დაენებებინა ბიზნესმენებისა და მათი ქალიშვილებისთვის, რომლებიც ხელისუფლებას მხარს უჭერენ! უკრაინის პრემიერ-მინისტმა არსენი იაცენიუკმა კი მთავრობის სხდომაზე სააკაშვილს მკვეთრად შთააგონა, თავი ხელში აეყვანა.

საით გაემართოს აშშ-სა და უკრაინაში თავლაფდასხმული სააკაშვილი თავისი უიღბლო მისიონერებით? მხოლოდ საქართველოსკენ, მით უფრო, რომ ნემცოვის მკვლელობაში უკრაინული კვალი, რომლის შესახებაც განვაცხადე 2 მარტის პუბლიკაციაში „სააკაშვილმა გააფრთხილა ნემცოვი, რომ მას ოფიციალური კიევის შეკვეთით მოკლავდნენ!“, სულ უფრო რეალური ხდება და რუსეთის საგამოძიებო კომიტეტს უახლოეს ხანებში შესაძლოა მასთან შეკითხვები გაუჩნდეს. უკრაინას ხომ მაინც მოუწევს საქართველოსთვის სააკაშვილის გადაცემა ინტერპოლის წითელი ცირკულარის გარეშეც, ეს ხომ დღეების საკითხია, რომელთა რაოდენობაც უკრაინა-რუსეთის დარეგულირების დინამიკაზეა დამოკიდებული, ამიტომ კიევში წინდაწინ სურთ მას წასვლა აიძულონ, ზედმეტი თავის ტკივილის ასარიდებლად და სახის შესანარჩუნებლად.

რა ძალებს ფლობს დღეს ბიძინა ივანიშვილი, რათა დაუპირისპირდეს სააკაშვილს, „ნაცმოძრაობას“ და მათთან ალიანსში შესულ ყველა დანარჩენ პოლიტიკურ სუბიექტს – პრეზიდენტ მარგველაშვილს, ალასანიას პარტიას, აჭარის ამბოხებულ ხელისუფლებას და ა.შ.? დიახ, შს მინისტრ გომელაურს (იმ პირობით, რომ იგი საფუძვლიანად გაასუფთავებს შსს-ს), იუსტიციის მინისტრ წულუკიანსა და... სულ ესაა. ჰო, კიდევ ქართველ ხალხს – ოღონდ იმ პირობით, თუ საქართველო უარს იტყვის **ნატო**-ზე, ხოლო პოლიტიკაში ნამდვილად „ახალ სახეებს“ მიიზიდავენ – რეალურ პროფესიონალებსა და ჭეშმარიტ პატრიოტებს, რაც უმოკლეს ვადებში მკვეთრად დადებითად აისახება ხალხის კეთილდღეობაზე!

ასეთი ადამიანები არსებობენ. მხოლოდ მათ შეუძლიათ აღადგინონ სამართლიანობა ქვეყანაში და, ამავდროულად, გააერთიანონ დღეს გახლეჩილი საზოგადოება, მიშისტური პროპაგანდით გაბრუებულ სხვადასხვა კატეგორიასთან კონსტრუქციული დიალოგის დაწყებით. ამიტომ, საკადრო პოლიტიკასთან ერთად, ივანიშვილმა უნდა დაიწყოს არა ახალი ტელეპროექტების შექმნით და ინსტიტუციური რეფორმებითაც კი, არამედ მედიითა და არასამთავრობო ორგანიზაციებით. სწორედ ეს ორი სექტორი, რომლებსაც ხშირად უწოდებენ „მეოთხე“ და „მეხუთე“ ხელისუფლებას, სასწრაფოდ უნდა მოექცეს კანონის ჩარჩოებში და ჩადგეს სახელმწიფო სამსახურში საქართველოს ეროვნულ ინტერესებიდან გამომდინარე! ფაქტია – ორი უდიდესი ტელეკომპანია – „რუსთავი 2“ და „იმედი“, ყველაზე გამოცდილი ტელეწამყვანები, სოროსისა და ამერიკული ინსტიტუტების – IRI-სა და NDI-ს მიერ დაფუძნებული ყველაზე დიდი არასამთავრობო ორგანიზაციები დღეს ღიად მუშაობენ „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლების რესტავრაციასა და სააკაშვილის ტრიუმფით დაბრუნებაზე, რისთვისაც მისგან ძალიან დიდ ფულს იღებენ!

თუმცა, სააკაშვილის მთავარ დასაყრდენს საქართველოში არა მარტო „ნაცმოძრაობის“ ლიდერები წარმოადგენენ, რომლებიც დღე-ღამეში 24 საათი ტელეეკრანებიდან არ ჩამოდიან, არამედ ქართველი ფაშისტებიც, რომლებიც, უკრაინელი ბანდერელებივით, ყოველთვის იყვნენ საქართველოში, უბრალოდ ჩრდილში ისხდნენ თავისი დროის მოლოდინში. მხედველობაში არ მყავს ნაცაქტივი და მიშაიუგენდი, რომლებიც დღეს თბილისის ქუჩებში დაქრიან აქცია-პროვოკაციებით, პლაკატებითა და უკრაინული დროშებით, ცემენ და შეურაცხყოფას აყენებენ ჟურნალისტებსა და სხვაგვარად მოაზროვნეებს (მით უფრო, რომ სასამართლომ შეღავათიანი ტარიფები დააწესა – საქართველოში დღეს ნებისმიერი ადამიანის ცემა, თუნდაც, ჟურნალისტის, 3000 ლარი ღირს!)

მხედველობაში მყავს უფროსი კატეგორია – 30-დან 60 წლამდე, ერთი შეხედვით – საკმაოდ კეთილსაიმედო სუბიექტები, ლამაზად „შეფუთული“ და ფულიანი: ეს შეიძლება იყვნენ ბანკირები და ბანკის კლერკები, მეღვინეები და ფერმერები, კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტები და ინტერნეტ-პროვაიდერების თანამშრომლები, ანუ სრულიად განსხვავებული კატეგორიები, რომლებიც სათითაოდ მხდალები არიან და დღეს სოცქსელებში მხოლოდ კომენტარებით შემოიფარგლებიან. თუმცა, სწორედ ისინი არიან ყველაზე საშიში, ვინაიდან ყოველდღიურად ამზადებენ საბოტაჟს და ოცნებობენ საქართველოში ისეთივე სისხლიან რევანშზე, როგორიც ბანდერელებმა უკრაინაში მოაწყვეს, რათა შური ეძიათ იატაკქვეშეთში ხანგრძლივი იძულებითი ყოფნის გამო!

ცუდია რომ ზოგიერთი ასეთი მოღალატე და ნაძირალა ბოლო დრომდე მუშაობდა (და შესაძლოა, დღესაც მუშაობდეს) შსს-ში, სუს-ში, პროკურატურაში, ხოლო როდის გამოიყოფა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ცალკე სტრუქტურად და დაკომპლექტდება ღირსეული თანამშრომლებით, უცნობია... არადა, სწორედ დღეს არის საჭირო ინფორმაციის, ინტერნეტის გაანალიზება, პირწავარდნილი ფაშისტების გამოვლენა და აღრიცხვაზე აყვანა. ხვალ, როდესაც ისინი აეროპორტში სააკაშვილის თვითმფრინავს დახვდებიან „ქართული ლეგიონის“ 200 შეიარაღებული ბოევიკით, რომლებიც „მაიდანის“ მოსაწყობად რუსთაველისკენ გაემართებიან, გვიანი იქნება...

**არნო ხიდირბეგიშვილი,**
**საქინფორმის მთავარი რედაქტორი**

# 21 მარტი დაუნის სინდრომით დაავადებულთა საერთაშორისო დღეა

გაეროს წესდება გვაფრთხილებს, რომ დაუნიზმის დაავადება გენეტიკურია და იგი გადამდები არ არის. საქართველოში ამ სინდრომით დაავადებულებს ღვთისშვილებს ეძახიან და მათ ზრუნვას, სიყვარულს და თანადგომას არ აკლებენ, რადგან ეს ადამიანები დიდწილად შრომის უნარს არიან მოკლებულები და ზუნვის გარეშე უჭირთ თავის გატანა.

ამიტომ, მხოლოდ სითბო და სიყვარული უნდა გავიღოთ მათ წილად!

მაგრამ არიან დაუნები, რომლებიც მკურნალობას არ ექვემდებარებიან და მათი ჭკუაზე მოყვანა მხოლოდ მათრახით თუ შეიძლება. ეს გახლავთ საქართველოში დაუნის სინდრომით დაავადებულთა ყველაზე დიდი ორგანიზაცია – "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", რომელსაც თავკაცობს გამორჩეული დაუნი, კურდღელივით მფრთხალი მექალთანე და ჰალსტუხიღეჭია მიხეილ სააკიანცი, რომელიც ამჟამად უკრაინის ფაშისტურ ხელისუფლებას ავარჯიშებს ჰალსტუხების ჭამაში.

ამიტომ, შემთხვევითი არ გახლავთ ის ამბავი, რომ ამ უგვანო ავადმყოფებმა თავყრილობა 21 მარტს – დაუნის სინდრომით დაავადებულთა საერთაშორისო დღეს დაამთხვიეს.

მათი მოთხოვნაც იმგვარი იყო, არცერთი დაუნი რომ არ იკადრებს – საქართველოს ხელისუფლება გადადგეს და კვლავ ჩვენ უნდა მოვიდეთ ქვეყნის სათავეში, რათა საბოლოოდ გამოვხრათ ის, რაც ჯერ კიდევ გამოუხრავი დაგვრჩაო. მართლაც იმედი აქვთ ამ შეურაცხად ავადმყოფებს, რომ როდესმე დაბრუნდებიან ხელისუფლებაში! თუმცა, რა გასაკვირია, მათ ხომ საამისოდ ყველაზე დიდი დაუნური სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებული შტატების მესვეურები აგულიანებენ!

როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, 21 მარტის აქციაზე ნაციონალებმა 5 ათას კაცზე მეტის მოხმობა ვერ მოახერხეს. "მე ვნახე "ნაციონალურ მოძრაობის" პოლიტიკური კრუნჩხვები და დარწმუნებული ვარ, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ამასაც ვერ მიიტანენ". – განაცხადა საპროტესტო აქციის შეფასებისას საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ირაკლი სესიაშვილმა.

პოლიტიკოსებმა და ანალიტიკოსებმა პირველ რიგში ალბათ უნდა დაადგინონ, თუ რა სახის აქცია ჩაატარეს, ანუ რა მიზანი ჰქონდა "ნაციონალური მოძრობას", როდესაც ამ აქციის ორგანიზებას ახდენდა. ის, რომ "ნაციონალური მოძრაობა" მთავრობის გადადგომას ვერ შეძლებს, ყველამ კარგად იცის და პირველ რიგში, თავად ძალიან კარგად იციან. "ნაციონალური მოძრაობის" დაკრულზე რომ ჩვენი ქვეყანა აღარ ივლის, ესეც რთულად გასაგები არ არის ქვეყნის მტერ-მოყვარისათვის. სპეციალისტების აზრით, მათი შეკრების მიზანი იყო იმ აქტივის შენარჩუნება, რომელიც "ნაციონალურ მოძრაობას" წინა მმართველობიდან მოყოლებული ინერციით შერჩა. დიახ, მათი მთავარი მიზანი იყო, რომ აქტივი შეენარჩუნებინათ, კიდევ ერთხელ შეეკრიბათ და ისეთი სურათი შეექმნათ, თუნდაც მოდელირებული, რომ გარკვეულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ, რათა კვლავაც შეინარჩუნონ მათი ხელშემწყობი და წამაქეზებელი დასავლური პროვოკაციული პოლიტელიტის სიმპათიები. დღეს უკვე სავსებით ნათელია, რომ "ნაციონალური მოძრაობა" დიდძალ შავ ფულს უყრიდა თავს ჰუმანიტარული დახმარებების დანაშაულებრივად მითვისებით, ნარკოტრაფიკის გაკვალვით, იარაღის ვაჭრობით, საპროცესო გარიგებებით საკუთარი მოქალაქეების ძარცვით და სხვა მაქინაციებით, რომლის დიდი ნაწილი მათი ევროამერიკელი მფარველების ჯიბეში მიემართებოდა. ახლა კი, როცა არამად ფულს ვერც ნაციონალები შოულობენ და ვერც მათი ევროამერიკელი მფარველები, მთელი ეს "რეაქციული" ძალა ცდილობს კვლავ დააბრუნოს ხელისუფლებაში სააკაშვილი და მისი მართლაც უუნარო პოლიტიკური ძალა!

ფაქტია, "ნაციონალურ მოძრაობას" აქვს პრეტენზია, რომ დღეს იგი ნომერ პირველი ოპოზიციაა...

ოპოზიციამ, რომელსაც აქვს პრეტენზია ნომერ პირველ ოპოზიციონერობაზე, რომელმაც ერთი თვით ადრე დაანონსა ეს აქცია, რეგიონებში იარა და ხალხის მობილიზაციას შეეცადა; რეკლამები გაუშვა, დიდი ფული დახარჯა და მათ მიერ კონტროლირებადი მთელი მედიასაშუალებები გამოიყენა ტემპერატურის ასაწევად, 5.000 ადამიანზე მეტი ვერ შეკრიბა. ეს ყველაფერი მარტივად რომ შევაფასოთ, მივიღებთ შემდეგ სურათს: ნაციონალების მიზანი იყო ის იყო, რომ არჩევნებამდე რაღაცა მუხტი შეენარჩუნებინათ, რადგან მმართველი პოლიტიკური ძალა, რომელიც ქვეყანას 9 წელი მართავდა, ამხელა რესურსი ჰქონდა და ამხელა რესურსის დახარჯვით, მთელი საქართველოს მასშტაბით 5.000 კაცზე მეტს ვერ შეკრებს, მე მგონი, ამან ყველაფერს ერთმნიშვნელოვანი პასუხი გასცა.

ხუთი ათასი ადამიანი სამეგრელოში უბრალო ადამიანის ტირილში მიდის მისასამძიმრებლად, ხოლო თუ სააკაშვილისა და მისი ნაციონალების ტირილი გაიმართება, უეჭველია, რომ, ამაზე ორჯერ მეტი ხალხი მივა. ისე კი, თავისი პროპაგანდისტული ფაშისტური რუპორის ტელეარხ "რუსთავი-2"-ის მეშვეობით ნაციონალებმა მოახერხეს საზოგადოებაში გარკვეული შიშის დანერგვა – ვაი თუ ეს მოძალადეები მართლაც დაბრუნდნენ ხელისუფლებაშიო, მაგრამ აქციის შინაარსობრივმა ფენომენმა, დამსწრეთა უმნიშვნელო რაოდენობამ და მათმა ხარისხობრივმა შემადგენლობამ საზოგადოება აშკარად დაამშვიდა.

ხალხის კრთომა კი სრულიადაც არ გახლათ უსაფუძვლო, რადგან საზოგადოებას წარსულის სიბნელეში დაბრუნების ეშინია – ეს არის წამება, ბიზნესის ტერორი, სასამართლო ხელისუფლების ჯიბეში ჩასმა და ა.შ. მაგრამ ის, თუ რა კატეგორიის ხალხი იყო ნაციონალების მიერ აქციაზე მოყვანილი (და არა – მოსული, როგორც ამას თაღლითი ნაციონალები აცხადებენ), ფაქტია, რომ საკუთარ თვითლიკვიდაციას "ნაციონალური მოძრაობა" თვითონ მოახერხებს და ამას გააკეთებს ისევ ჩვეული ტყუილების პოლიტიკის გაგრძელებით, თვითლუსტრაციით. მათ დიდი სურვილი ჰქონდათ, ალბათ, რომ ხელისუფლებას ისეთივე რეაქცია მოეხდინა, როგორც სააკაშვილი 7 ნოემბერსა თუ 26 მაისს უწყობდა მომიტინგეებს, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

იბოდიალეს ამ მართლაც გზააბნეულმა არარაობებმა, შემდეგ მთავრობის სახლთან მივიდნენ, ხელისუფლებას "წითელი ბარათები" უჩვენეს და მთელი მათი სამოქმედო არსენალიც ამოიწურა. მათთვის კი, ხელისუფალთაგან, არავის გაუწევია თუნდაც ოდნავი წინააღმდეგობა და ბოლოს ისევე უსახელოდ დაიშალნენ, როგორც შეიკრიბნენ.

რაც შეეხება მიტინგის მონაწილეებს, ჩვენ არ გვინდა კონკრეტულად ვინმე გავატრიზავოთ, მაგრამ ფაქტია, რომ აქციის მონაწილეთა უმეტესობამ სრულიადაც არ იცოდა, თუ რის გასაპროტესტებლად მიდიოდა აქციაზე, მაგრამ ჩანდა, რომ ფული ჰქონდათ აღებული და ამიტომაც იდგნენ და პირდაბჩენილი უსმენდნენ ყალბი პათოსით აღტკინებულ ნაცორატორებს – ვაშაძეს, ბოკერიას, მელიას, ბაქრაძეს, კანდელაკს და სხვა პოლიტნაგვებს, რომელთა ომახიანი ხმა გარემოს "აზანზარებდა".



სწორედ ამას ჰქვია "ქარიშხალი ჭიქაში"!

აღნიშნული აქციის ჭეშმარიტი სახე გახლდათ ამ სურათზე გამოსახული ქალბატონი – გორელი ეთერ ქოქაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ აქციაზე საქართველოს გასაერთიანებლად წავიდა. მისი აზრით, ამჟამინდელი ხელისუფლების გუნდის დამსახურებაა საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსვლა.

"ივანიშვილმა და მისმა გუნდმა შემოიყვანა რუსის ჯარი საქართველოში. აქციაზე იმიტომ მივდივარ, რომ საქართველოს გაერთიანებას ვუჭერ მხარს. სააკაშვილი არის ციდან მოვლენილი ანგელოზი", – განუცხადა ჟურნალისტებს ჯერ კიდევ თბილისში წამოსვლამდე ეთერ ქოქაშვილმა.

ყველას თავისი იდეალი აქვს და ვერც ქალბატონ ეთერ ქოქაშვილის თვალსაზრისს გავაპროტესტებთ, მიუხედავად იმისა, რომ მისი ეს განცხადება აშკარად სცილდება დაუნიზმის სინდრომის ფარგლებს და უფრო ფსიქიკური გადახრის კატეგორიას განეკუთვნება.

ისე კი, ვერ ვიტყვით, რომ ღონისძიება მთლად უშედეგოდ დასრულდა – აღნიშნული აქციის ჩატარება ისე არავის გახარებია, როგორც მზესუმზირისა და "პრიანიკების" გამყიდველ ქალებს გაეხარდათ, რადგან მათ იმ დღეს საკმაოდ დიდი სარფი ნახეს თავიანთი პროდუქციის რეალიზებით.

"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერების განცხადებით კი ქვეყანა არის მძიმე მდგომარეობაში და დღევანდელ ხელისუფლებას არ აქვს იმის უნარი, რომ ქვეყანა ამ მდგომარეობიდან გამოიყვანოს. მაგრამ ვინმეს ერთხელ მაინც რომ ეკითხა, თუ ვინ შეიყვანა ქვეყანა ასეთ მძიმე მდგომარეობაში, რასაკვირველია, ნაცები "ქართული ოცნებისაკენ" გაიშვერდნენ თითს, თუმცა თავადაც კარგად იციან, რომ მთელი ამ უბედურების შემოქმედები თავად არიან!

ვეტერიანარიამ იცის საშინელი ინფექციური დაავადებს – "ციმბირის წყლული", რომელიც უეჭველი სიკვდილით მთავრდება, დაავადების მსხვერპლს კი ღრმად მარხავენ მიწაში, რადგან მისი ბაცილა ას წელზე მეტი ხანი ცოცხლობს და კვლავაც დიდ საფრთხეს წარმოადგენს სიცოცხლისათვის. "დაშნაკცუტიუნის" ბაცილა უკვე ას წელზე მეტია გულგვამს უხრავს საქართველოს, მაგრამ მისი მავნე ქმედება განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2003 წლის შემდეგ, როცა ავადსახსენებელი შევარდნაძის ბოროტი ნებით საქართველოს წურბელებად მოასხდნენ კისერზე დაშნაკი სააკაშვილი და მისი ნაციონალური ბანდა. მაგრამ, უფლის ნებით, ნაცმოძრაობა უკვე სულს ღაფავს და მისი ნარჩენები ღრმად უნდა ჩავმარხოთ მიწაში, რაც იმის მყარი გარანტია იქნება, რომ ეს დაავადება ვეღარასოდეს გაიდგამს ფეხს საქართველოში.

დაუნის სინდრომით დაავადებულებს კი გვინდა მოვულოცოთ მათი საიუბილეო დღე – 21 მარტი და აღვუთქვათ, რომ ვერც მათ და ვერც სხვებს ვერასოდეს ვერ შეაწუხებს ქართველებისათვის ყველაზე უფრო მძიმე დაავადება – დაშნაკცუტიუნის სინდრომი!

**როლანდ ჯალაღანია**

# მოსაზრებები ნაციონალთა საპროტესტო აქციაზე

"წინა დღით, რომ "ქართუდან" დახმარებას გახარებული აიღებ და მეორე დღეს წადის უძახი ბიძინას": მართლაც გასაოცარი დემოკრატიააა..."

**ოთარ ჩრდილელი,**
**საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი**

"ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთი ლიდერის გასაგონად, თქვენ ხართ ჩმორები და არა მხოლოდ! თუ რატომ ამას თქვენც მიხვდებით და ვფიქრობ სხვებიც..."

**თეა თუთბერიძე,**
**ნაციონალების მიერ "გაპროფესორებული" ქალბატონი**

„მთავრობა აღარ უსმენს ხალხს და ჩვენ გვსურს, გავაგონოთ მას ხალხის ხმა".

**ნიკა მელია,**
**პირწავარდნილი ნაციონალი**

„ამ რაოდენობით პოლიციის და სპეცრაზმის მობილიზება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას ჩვენი შეეშინდა. ეს ის პოლიციაა, რომელიც ჩვენ შევქმენით. დღეს გვყავს ოპოზიცია, რომელის პოლიციასთან ერთად დგას ქუჩაში." (და ეს მაშინ, როცა ბაქრაძემ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ აქციის უსაფრთხოება მის ორგანიზატორებთან ერთად დაგეგმეს).

**დავით ბაქრაძე,**
**უზნეო ნაცი**

„ჩვენ შევქმნით ანტიკორუფციულ ჯგუფებს, რომლებიც ადგილებზე ამხელენ კორუფციაში ჩაფლულ გუბერნატორებს და გამგებლებს. არ მოვასვენებთ ადგილობრივ გათავხედებულ ჩინოვნიკებს. საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ დავიწყებთ პერმამენტულ აქციებს. პიკეტირებებს კანონის ფარგლებში, პარლამენტში საჭირო ხმების მოგროვებას იმისათვის, რომ დავიწყოთ მთავრობის გაშვების პროცედურა პარლამენტის მეშვეობით. მთავრობის გადადგომის შემდეგ საარჩევნო რეფორმაზეც ვიზრუნებთ და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას მოვითხოვთ. ეს არის გზა, რომელიც დღეს იწყება".

**გოკა გაბაშვილი,**
**ნაცი, რომელსაც ყველაზე მეტად ეშინია რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების, რადგან იცის, რომ ნაცები ხმების 5 პროცენტს ვერ მოაგროვებენ**

„სადაც არ უნდა ვიყო, ჩემთვის მზე საქართველოდან ამოდის და ჩადის. გადავლახავ ყველა დაბრკოლებას და შევძლებ, თქვენს გვერდით დავდგე საქართველოს გადასარჩენად. 2003 წელს ჩვენ ყველა ერთად დავდექით იმისათვის, რომ საქართველო უძრაობის ჭაობიდან გამოგვეყვანა. სამწუხაროდ, დღესაც იგივე მიზანი გვამოძრავებს. ისევ გადასარჩენი გვყავს ჩვენი ქვეყანა. ისევ ამოსაყვანი გვყავს იმ ჭაობიდან, რომელშიც ცოტა ხნის წინ ხელახლა აღმოვჩნდით. ისევ საჭიროა განვითარების რელსებზე დაბრუნება, რადგან ჩვენ ამ რელსებიდან ჩამოვედით."

**მიხეილ სააკაშვილი,**
**ქვეყნიდან სამარცხვინოდ გაქცეული პრეზიდენტყოფილი კრიმინალი, ჰალსტუხიღეჭია არარაობა**

"...დღეს სახელმწიფო ძლიერია და დესტაბილიზაციას ვერავინ მოახერხებს".

**ირაკლი ღარიბაშვილი,**
**პრემიერ-მინისტრი**

"...ნაციონალებს აქციის გამართვის კანონიერი უფლება აქვთ, ოღონდ არა მორალური. ავიწყდებათ, რომ 2012 წელს მათ ხელისუფლება კი არა, საზოგადოება დაუპირისპირდა. ვფიქრობ, მოსახლეობაში ეს განწყობა არ შეცვლილა და, სავარაუდოდ, არც შეიცვლება, რადგან "ნაციონალებმა" თვითდამკვიდრების თუ რებრენდინგის არასწორი სტრატეგია აირჩიეს.".

**ვახტანგ ძაბირაძე,**
**პოლიტოლოგი**

"თუ "ნაციონალების" წარმომადგენელი იტყვის, რომ დღეს ოთხშაბათია, უნდა დავიწყო იმის მტკიცება, რომ ხუთშაბათია, მხოლოდ იმის გამო, რომ მათთან თანამზრახველობა არ დამწამონ. ისე კი, შეუძლებელია, ზოგიერთ რამეში არ დაეთანხმო მათ, მაგრამ, როცა "ნაციონალური მოძრაობა" ადამიანის უფლებების დარღვევებზე, ტერორსა და მათი მომხრეების დაშინებაზე საუბრობს და პროტესტს აცხადებს, ყველაზე რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია. საზოგადოებას მეხსიერების პრობლემები არ აქვს. ეს დღევანდელი აქციიდანაც გამოჩნდა, ორგანიზატორების პათოსის მიუხედავად".

**დავით ზურაბიშვილი,**
**თავგზააბნეული პოლიტიკოსი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლას ყოველთვისა აქვს აზრი



ბატონო მთავარო რედაქტორო და სხვანო, ჩემო უმცროსო დანო და ძმანო!

სიყვარულით გილოცავთ ქართველი ჟურნალისტების დღესასწაულს და მრავალ სიკეთესთან ერთად იმასაც გისურვებთ, რომ ჭეშმარიტი ჟურნალისტიკა ისე გაძარცული და შეურაცხყოფილი არ ყოფილიყოს, როგორც დღემდეა.

შეგახსენებთ, რომ წართმეული და გაყიდულია ჩვენი ჭერი, თანაც არა მარტო კოსტავასა და ხოშარაულის ქუჩებსა და რუსთაველის გამზირზე, არამედ ყველგან – სრულიად საქართველოში. მასობრივად დანგრეულია საგაზეთო ჯიხურები, მთლიანად მოშლილია პრესის მკითხველამდე მიტანის მექანიზმი, ხელოვნურად არის გაძვირებული ქაღალდი და საბეჭდი მასალები; არგაგონილი, სრულიად დაუსაბუთებელი ფასი აძევს ელექტროენერგიას, რაც იმდენად აძვირებს გაზეთების თვითღირებულებას, რომ ჩვენს ისედაც გაღატაკებულ მოსახლეობას მისი შეძენა არ შეუძლია და მისდა უნებლიედ რჩება ნაციონალთა მიერ უხვად დაფინანსებული „ჯიბის ტელევიზიების“ მაცდუნებელი სიცრუის ტყვეობაში.

სავალალოა ჩვენს ქვეყანაში კალამგაუყიდველი ჟურნალისტების ხვედრი და ეს ჩვენი თაობის ყველა ჭეშმარიტ პროფესიონალს ეხება.

საარსებო დონეზე გაცილებით დაბალია შტატში დასაქმებულთა ხელფასები, ხოლო ჰონორარს, როგორც წესი, უკვე ვეღარავინ იღებს (შეადარეთ „ჯიბის ტელევიზიებისა“ და სხვა მათთა მსგავსთა, მათ შორის ჩვენთვის არც თუ უცნობ მოხალტურე შოუმენთა პირობებს). კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან ვეტერანები, რომლებსაც საარსებოსთან შედარებით გაცილებით დაბალი თანხა ეძლევათ პენსიად – 150 ლარი. არადა, ერთ-ერთი ვეტერანი ხომ მეც გახლავართ, რომელიც პრესაში 60 წელზე მეტია ვმოღვაწეობ? ნუთუ არც ჩემს განვლილ გზასა და არც იმ შედეგებს არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, რაც ამ გზას ქვეყნის სასიკეთოდ მოჰყვა?

ძალოვანი უწყების რიგით წარმომადგენელსაც კი პენსია 3-4-ჯერ მეტი აქვს, ვიდრე მე და ჩემს მეგობრებს, ეს მაშინ, როდესაც ჩემს და არა მარტო ჩემს, არამედ ძალზე ბევრი ჩემი კოლეგის პუბლიკაციებზე ხაზგასმით და თანაც არაერთგზის ითქვა, რომ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ გაცილებით დადებითი როლი შეასრულეს, ვიდრე ძალოვანი და სამართებლივი ორგანოების ყველაზე ხალხმრავალმა და ძვირადღირებულმა აქციებმა.

მაშ, სად არის, რატომ იგვიანებს ის სამართლიანობა, რომლის დამკვიდრებისათვის 2012 წლის პირველ ოქტომბერს ხმა მივეცით „ქართულ ოცნებას“?

შეუძლებელია ეს კითხვები არ გვაწუხებდეს დღეს, ქართული ჟურნალისტიკის დღეს, როცა თითოეულ ჩვენგანს უამრავი თავსატეხი გვაქვს და თვალნათლივ ვხედავთ, რომ „იმისთანა წმიდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა“, როგორ იმძლავრა „ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანამ“, რაც ჩვენი დიდი მასწავლებლის – ილია მართლის განმარტებით „ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია“.

ჩათვალეთ, რომ ჩემეული „სათრეველების“ ამ ბლოკს, როგორც ყველა აქამდე დაბეჭდილს, ამჯერადაც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე გიგზავნით. იგი „ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესის“ წინააღმდეგ ჩვენი ერთობლივი ბრძოლის შემდგომი გააქტიურების მიზნით შეიქმნა, რამეთუ თითოეული თქვენგანივით მეც მწამს და მჯერა, რომ ბრძოლას, მით უფრო სიმართლისა და სამართლიანობისათვის ბრძოლას, ყოველთვისა აქვს აზრი!

ულრმესი პატივისცემით თქვენი ბებერი ძმა და მეგობარი

**ალექსანდრე შენგელია**

### სათრეველები *ექოდ 21 მარტის მოვლენებისა*

### თეთრი დროშების მონატრება

კიპაჭო ცვლიდა ღვინოს და
სამართალს – მსჯავრი ქაჯური,
ვთხოვთ, გვენეტაძე ნინოსა,
აწ „მართლად სჯიდეს მსაჯული“.
საეჭვო რომ არ იყოს რა,
ყოფილთა წამოროშვებით,
დე, ბოროტებამ იკლოს და,
მომრავლდეს თეთრი დროშები!

### აურა, თანაც, აუ, რა!

თუმც 21–ში კვლავ იხმაურა
ხან წერეთელმა, ხან წიკლაურმა,
ვეღარ აგვრია ცუდმა აურამ,
ვერ გვათქმევინა: მორჩით, აუ, რა!

### აკოს კალიბრი

სურდა ჩავეგდეთ აპოკალიფსში,
მაგრამ ვერ ჩაჯდა აკო კალიბრში.

### ყალბი ოსანა

თარგამაძისგან ელის ოსანას,
ვინც „ნაცებისთვის“
იფლიდა და „წაიმგოსანა“:
ნანუკოსთანა, ელისოსთანა!

### უკანასკნელი მატარებელი

ხან მაკკეინთან ლაღობს ჩაის სმით,
ხან კიევს სტუმრობს, ხანაც ბრიუსელს,
მაგრამ ჩაისვრის, ისევ ჩაისვრის,
თუ საქართველოს ვინმეს მიუსევს;
ჩვენ მატარებელს ვუშვებთ სხვა ისრით,
ვერ შეაჩერებს, ვეღარ მიუსწრებს!

### იქნებ?

„ცოცხოსნობასთან“ დემოკრატიას
რა კავშირი აქვს?
– იქნებ ახსოვს სერგო რატიანს?!

### ფიქრები ნაჭადრალებთან

ის არც მუხა, არც ნაჭადრალია,
მაგრამ ეს განა მისი ბრალია;
თუ ვინმემ ნიჭი ნაჭთან* არია,
ნუ დავაბრალებთ მაჭავარიანს.

***ნაჭს ნიჭში ნურავინ არევს, „მაჩალკას“ ჰქვია ქართულად**

### ქარაგოზები*

კარგად ახსოვთ ქარაგოზებს,
ვინ რას იღებს და რას გასცემს,
„ქოცებმა“ რომ არ აკოცეს,
რად ეტრფიან ახლა „ნაცებს“,
მათ „დუბინკებს“ და მათ „ცოცხებს“, –
ველურობას – თავზარდამცემს!

***ქარაგოზი – ქვის ხავსი (საბა)**

### აქციისას ყურმოკრული

– აქცია რად მოინდომა?
რად იომა, რაც იომა?
– იმიტომ, რომ რაციონად
ძველებური ტაციობა
ენატრება „ნაციონალს“.

**ალექსანდრე შენგელია,**
**2015 წლის 21 მარტი**

# ბზა მცენარე–ბზობა საუფლო დღესასწაული

**“ტყე ყველა ქვეყანაში ეროვნული სიმდიდრეა, მაგრამ ისეთ მთიან ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ტყე არა მარტო სიმდიდრე, მატერიალური ღირებულება, არამედ ისეთი საუნჯეა, რომელიც ინახავს ქვეყნის მრავალნაირ სასიცოცხლო საწყისს”,** წერს დიდი ბოტანიკოსი ნიკო კეცხოველი (ნ. კეცხოველი, **“მცენარეული საფარი ერის საუნჯეა”**, გვ. 8).

საქართველოში ტყის ყადრი ძველი დროიდან იცოდნენ და იგი ასახული იყო სახელმწიფო კანონმდებლობაში.

მეფე ვახტანგ VI-ის კანონებში წერის: **“ტყე, ბალახი და წყალი სახელმწიფოსია”**. მაგრამ ყოველივე ეს ხალხის კეთილდღეობისათვის საჭირო იყო და იმავე კანონში ეწერა: **“სამი რამ არ დაეჭირება კაცსა: “ტყე, ბალახი და წყალი”**.

ამ წერილის მიზანია შეხსენება რელიქტური და ენდემური მცენარის – ბზის და საუფლო დღესასწაულის – ბზობის. დიდმა ბოტანიკოსმა ნ. კეცხოველმა პირადად დააფიქსირა ბზა გასული საუკუნის 50-იან წლებში – მდინარე ტეხურის ხეობაში და შეიტანა 1961 წელს გამოცემულ ფოტოალბომში **“მცენარეული საფარი ერის საუნჯეა”**.

ბზის კორომ **“ბზიანს”** და მდინარე ტეხურის ხეობას გასულ წლებში კიდევ ეღირსა გულშემატკივარი მეცნიერის თვალი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის კათედრის მეცნიერ-მუშაკის მარინე ჟორდანიას ხელმძღვანელობით მოეწყო 25-დღიანი ექსპედიცია ტეხურის აუზში.

გასული საუკუნის 50-იან წლებთან შედარებით სურათი არსებითად შეცვლილია. წითელ წიგნში შეტანილი ბზა უმოწყალოდ იჩეხება ან გაჩეხილია. ბზა ორლებნიანი მარადმწვანე მცენარეა, გვხვდება ბუჩქების ან დაბალი ხეების სახით. იგი შეიცავს 70-მდე სახეობას, გავრცელებულია ზომიერ, სუბტროპიკულ და ტროპიკულ ზონებში.

კავკასიაში გვხვდება ბზის ორი სახეობა: კოლხური და პირკანული (თალიში, აზერბაიჯანი).

კოლხური ბზა ფაქტიურად ბუჩქია, ან 8-10 მეტრი სიმაღლის ხეა, ცალკეული ეკზემპლარი 18 მეტრსაც აღწევს, ძირითადად იზრდება ბარისა და მთის ტენიან ხეობებში ღრმა კარბონატულ ნიადაგებზე, ქვიანსა და კლდოვან ადგილებში. მთის კალთებზე ქმნის კორომებს (ბზიანი), ფოთლოვან ტყეებში იზრდება ქვეტყედ. მთებში მისი გავრცელების არეალი 400-600 მეტრ სიმაღლემდე აღწევს ზღვის დონიდან.

საქართველოში შემორჩენილია ბზის 4 უცხოური სახეობა. მარადმწვანე ბზას ფართოდ იყენებენ დეკორატიულ მებაღეობაში, კარგად იტანს ყოველწლიურ გასხვლას და ვარჯის ფორმირებას, რგავენ ეულად, ჯგუფად ბორდიურად. ბზა ეულად დგომისას ნაყოფს 15 წლიდან იძლევა, ხოლო შეკრულ ხეთა დგომაში 40-60 წლიდან. იზრდება ნელა, მერქანი მძიმეა, კარგად პრიალდება, იყენებენ სხვადასხვა ნაკეთობისათვის. ბზის ფოთლებისა და ტოტებისაგან ამზადებენ ყავისფერ საღებავს, ქერქისა და ფოთლების ნაყენს იყენებენ მედიცინაში, განსაკუთრებით ფოთლები შეიცავს ალკალოიდ ბუქსინს, მის თესლში 37 პროცენტი ზეთია.

ვარაუდობენ, რომ უძველეს დროში მერქნის მდგრადობისა გამო საკმლის ხის, უთხოვარის ბზის მერქანი შუბის დასამზადებლად იყო გამოყენებული. ბზის მერქნის დამუშავების ტექნოლოგია დამახასიათებელია სოფელ სალხინოს მოსახლეობისათვის. ტრადიციას ახალგაზრდა თაობაც აგრძელებს. ამაზე მეტყველებს 1968 წლის ჟურნალ **“ძეგლის მეგობარი”** №16-ის 46-ე გვერდზე გამოქვეყნებული მასალა, სადაც ლაპარაკი სალხინოს საშუალო სკოლის მოსწავლეებზე: **“ჩვენი ეთნოგრაფიული სახელოსნოები”**-ს სექციის გულმოდგინე ბავშვებმა თავისი საქმიანობისა და ხელმარჯვეობის შედეგად თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. **“აქვე ჭრიალებდა ხის ჭურჭლის დამამზადებელი ჩარხი სახვეწელი, რომელიც გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალხინოს ნორჩ მხარეთმცოდნეებმა ჩამოიტანეს, ხის ხვეწას დაუფლებულნი დინჯად ჩარხავდნენ სანაყ ქვიჯას, ოსტატურად მუშაობდნენ ორნი “მხვეწელი” და “ღვედის მომწევი”**. უძველეს დროში ბზის მერქანი კოლხ კაცს სასიცოცხლო პროდუქტის შემოტანის საშუალებად ჰქონდა გამოყენებული.

ბზის მერქანი ექვივალენტური წონით იცვლებოდა მარილზე, რომლის დეფიციტი დიდად აწუხებდა სამეგრელოს და სვანეთს (ცნობილია გამოთქმა: **“უმარილოდ შვიდ წელს იყვნენ სვანები”**).

მდინარე ოჩხომურას ხობიდან (სოფელი კურზუ) ბზის მერქნის გატანის შემთხვევასთანაა დაკავშირებული ხალხური მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენლის აწგანსვენებული გაიოზ ბერულავას, როგორც სახალხო მკურნალის მოღვაწეობა (სპეციალობით ბიოლოგი-პედაგოგი, ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა – განსაკუთრებით ადამიანის ანატომიაზე). გასული საუკუნის 70-იან წლებში, კონკრეტულ აუცილებელ შეხვედრისას მიამბო: **“თურქეთიდან (ლაზისტანიდან) ჩამოსული ლაზები ოჩხამურის ხეობაში ბზის მერქანს ამზადებდნენ და გაჰქონდათ. ერთ წელს ნაადრევად დაზამთრდა და ვერ მოახერხეს სამშობლოში დაბრუნება (თუმცა, სამშობლოში არ იყვნენ?). ისინი მთელი ზამთარი ბაბუაჩემმა შეიფარა და კოლხურად უმასპინძლა. როცა მიდიოდნენ ბაბუამ გასამრჯელო არ გამოართვა, გაწეული პატივისცემის საპასუხოდ ადამიანის ძვლის მოტეხილობის განკურნებისთვის საჭირო მალამოს დამზადების საიდუმლოება ასწავლეს. განსწავლული ამ საიდუმლოებას ოჯახის ერთ მემკვიდრეს ასწავლიდა”**. როცა გაიოზმა ჯერის მიხედვით ისწავლა მალამოს დამზადება, მაშინ იგი 40 ნაერთისაგან შედგებოდა. გ. ბერულავა, როგორც განათლებული პიროვნება – ბიოლოგი – თვალყურს ადევნებდა სააფთიაქო წამლების დინამიკას და შესაბამისად ხვეწდა მალამოს დამზადების ტექნოლოგიას.

ბოლო გასული საუკუნის 60-70-იან წლებში გ. ბერულავასაგან დამზადებული მალამო 12 ნაერთისაგან შედგებოდა, აქედან 8 იყო მცენარეული, ხოლო 9 – აფთიაქში შეძენილი. ამ ოთხიდან ერთი – გველის შხამი – ვიპრაკუნი – ყოველთვის დომინირებდა. როგორც ვხედავთ, ბზის მერქნის საზღვარგარეთ გატანის ერთმა შემთხვევამ, არაპირდაპირი გზით, სრულიად სასიკეთო სამკურნალო ტრადიცია დაამკვიდრა.

თქვენს დიდ საერთო ოჯახში – დედამიწაზე მდგრადი და დინამიურად ჩამოყალიბებული მრავალფეროვნება იყო, რომელსაც ადამიანი ჩარევით არღვევდა.

დედამიწაზე არცერთი წერტილი და სულიერი არ არსებობს ზედმეტათ, მათ ყველას გარკვეული ფუნქცია აკისრიათ, როგორც ადამიანის თითოეულ ორგანოს.

არ შეიძლება შეკითხვის ამგვარად დასმა: ჭიანჭველა უფრო საჭიროა თუ სპილო. ერთს რაც შეუძლია, ის მეორისათვის მიუწვდომელია. ამიტომაა საჭირო ადამიანმა – ბუნების გვირგვინმა – გონიერება გამოიჩინოს და მცენარეული საფარის მიმართ. მცენარე მხოლოდ კომერციული თვალსაზრისით გამოსაყენებლად არ უნდა ჩაითვალოს. ყველაზე დიდ თბურ ენერგიას საკმლის ხე (ვაშლოვანის ნაკრძალი) გამოყოფს. არქეოლოგიური გათხრები ადასტურებენ, რომ მისი მერქანი რკინის გამოდნობისას გამოიყენებოდა.

ბზა, როგორც ნელა მზარდი ძლიერი მაგარი მერქნის მქონეა. იგი საკმლის ხის შემდეგ მეორე ადგილზეა, რადგან საშეშედ გამოყენებისას დიდ თბურ ენერგიას გამოყოფს, რასაც ღუმელი ერთ ზამთარსაც კი ვერ უძლებს.

სოფელ სალხინოში შევხვედრივარ ოჯახს (გვარ-სახელს შეგნებულად არ ვაკონკრეტებ), რომელსაც ბზის 6-8-მეტრიანი მორები ჰქონდა საშეშედ მოტანილი. მან განმარტა: **“ღუმელში საშეშედ გამოყენება არ შეიძლება, ერთ სეზონში ღუმელს მწყობრიდან გამოიყვანს, რის გამოც ბუხარში ვიყენებო”**.

ბზა დიდ თბურ ენერგიას რომ გამოყოფს, ვეთანხმები, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ამ პიროვნებამ არ იცის მსოფლიოში მდინარე ტეხურასა და აბაშის ანალოგი ბზიანი კორომი თითზე ჩამოსათვლელია.

ჩვენი მიზანია არსებული წყაროების მიხედვით შევეხოთ 12 საუფლისწულო დღესასწაულიდან ერთ-ერთ საუფლისწულო დღესასწაულს – ბზობას, როცა მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს უფლის უკანასკნელ მსვლელობას იერუსალიმში (2011 წელს ბზობა აღინიშნება 17 აპრილს).

ვიდრე იერუსალიმში შევიდოდა, იესომ თავის მოწაფეს უთხრა: **“წარვედით და ბარა მაგას, რომელიც არს წინაშე თქვენსა და მეყვსეულად ჰპოვოთ ვირი დაბმული და კვიცი მისთანა აღხსენით და მომგვარეთ”**. ეს ყოველივე გაკეთდა იმისათვის, რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველის მიერ თქმული: **“არქუათ ასულსა სიონისასა, აჰა ესერა მეუფე შენის მოვალს შენდა მშვიდი და ზე ზის იგი ვირს”**-ო.

სახედარზე ამხედრებულ მაცხოვარს ხალხი დიდი სიხარულით შეეგება: ზოგი თავის სამოსელს უგებდა, ზოგიც პალმის ტოტებს. თან შესძახოდნენ: **“ოსანა ძესა დავითისა, კურთხეულ არს სახელითა უფლისათა, ოსანა! რომელი ხართ მაღალთა შინა”**.

მიუხედავად ასეთი შეხვედრისა, იესო მაინც სწუხდა. მან იცოდა, რომ ეს ხალხი ქვეყნიურ მეუფესა და მბრძანებელს ხედავდა მასში, რომელიც რომაელთა ბატონობისაგან იხსნიდა-გაანთავისუფლებდა.

იესოს პირველი შესვლისას იერუსალიმში მან იხილა, რომ ეკლესიებში სასულიერო პირებს რელიგიასთან შეუსაბამო უღირსი საქმე ჰქონდათ გაჩაღებული – ვაჭრობდნენ. მან ეკლესიიდან გამოდევნა ვაჭრები და წმინდა ადგილი განწმინდა. აღნიშნულის გამო მართლმადიდებლური ეკლესია ამ დღეს აღნიშნავს როგორც საუფლისწულო დღესასწაულს – **ბზობას.**

მეგრულში არის ასეთი გამოთქმა: **“აი რე, ბაი რე, ბაიაში სწორი თანაფა რე”**, ე.ი. **“ბზობის კვირისთავი აღდგომაა”**. ფაქტიურად ეს ყოველწლიურად ასეა.

ბზობის დღესასწაულის კვირისთავი აღდგომაა და იგი კვირა დღეს ემთხვევა, რასაც მართლმადიდებლური ეკლესია 2015 წელს აღნიშნავს 5 აპრილს **“ბზობას”**, ხოლო 12 აპრილს **“აღდგომას”**.

ზემოთ აღინიშნა, რომ იესოს იერუსალიმში პირველ-შესვლისას პალმის რტოებს უფენდნენ. პალმის ყვავილი წვრილია და ყვითელი. ასეთივეა მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე – ბაიას ყვავილიც.

ბაია ლექსიკონის მიხედვით თვალის გუგას, ხოლო მეგრულში – ჩვილ ყრმას ნიშნავს. რაც შეეხება სარიტუალოდ გამოყენებულ ბზის ყვავილს, ისიც ყვითელია, წვრილი ფოთლის უბეში ზის და სურნელოვანია. სავარაუდო და სარწმუნოა, რომ პალმის რტო ბზით ამ ფერების გამო შეიცვალა.

გონიერი მიდგომა სჭირდება ბზის გამოყენებას, კოლხური ბზა ბუნების ცოცხალი მემატიანეა, იგი მოწმეა საქართველოს და მთლიანად კავკასიის ბუნებრივი ცვალებადობის. იგი ძეგლია.

**“გამოაკელით ქართულ ბუნებას ქართული ძეგლები და თქვენ ნახავთ, ეს უმდიდრესი ბუნება რა საშინლად გაღარიბდება”.**

მწერალ ლევან გოთუას ამ პატრიოტული გრძნობით აღსავსე ნათქვამს პერეფრაზირება არ სჭირდება.

მარტვილის რაიონის სოფელ ინჩხურში 2010 წელს აღმოჩენილია დინოზავრის ნაკვალევი, რომელიც უპირველესია კავკასიაში. საჭიროა მდინარე აბაშის ხეობის სოფელ ინჩხურიდან მის სათავემდე ნაკრძალად გამოცხადება, რაც ბზის კორომების დაცვისა და შენარჩუნების მყარი გარანტია იქნება.

**ვაჟა მორგოშია,**
**საქართველოს დამსახურებული აგრონომი,**
**მარტვილი**

# ვიქტორ ცაავას ჩანაწერები საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე

ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოს აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს საგარეო პოლიტიკა. მითუმეტეს საქართველოსთვის, რადგან ჩვენს გეოპოლიტიკურად რთულ რეგიონში იკვეთება რამდენიმე ძლიერი ქვეყნის ინტერესები, მაგალთად, როგორიცაა ირანი, რუსეთი, თურქეთი და რა თქმა უნდა დასავლეთი. ჩვენისთანა პატარა და ჩვენისთანა გეოპოლიტიკის მქონე სახელმწიფოსთვის, მწყობრი საგარეო პოლიტიკა გადამწყვეტია უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად. მისი როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება კრიზისების პერიოდში, ასე რომ მომრავლდა მთელი მსოფლიოს მაშტაბით.

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდგომ, როდესაც პირველად 200 წლის განმავლობაში მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, დღის წესრიგში დადგა საკუთარი საგარეო პოლიტიკის წარმოება. შევარდნაძის მთავრობა, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა სისხლიანი გადატრიალებისა და სამოქალაქო ომის შედეგად, იმდროინდელი რეალიების გათვალისწინებით საგარეო პოლიტიკის ძირითადად ორი არჩევნის წინაშე იდგა. იქიდან ერთი რუსეთთან ურთიერთობა გამყარება იყო, ხოლო მეორე – დასავლეთისკენ კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებისკენ მიემართა საგარეო კურსი. ერთი და მეორე გზა ქვეყნისთვის კატასტროფულად მძიმე შედეგების მომტანი იყო, პირველი იმიტომ, რომ იმდროინდელი რუსეთი არ წარმოადგენდა სახელმწიფოს, რომელსაც ძალუძდა საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების დაცვა. გორბაჩოვის და შემდგომ ელცინის მიერ პოტსდამის ხელშეკრულების გადახედვის პროცესმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა თვით რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. დასავლეთმა შეწყვიტა რუსეთის მიმართ მეგობრული პოლიტიკა და ულტიმატუმების ენაზე გადავიდა: მისგან ითხოვდნენ ნედლეულს, ტერიტორიულ დათმობებს. მოექცა რა სრულ ფინანსურ და სასურსათო დამოკიდებულებაში, რუსეთი ჩიხში მოექცა. ამიტომ, მის მიმართ რაიმე განსაკუთრებული პოლიტიკის წარმოება ზედმეტი იყო. არც მეორე დასავლური გზა იყო ჩვენთვის მომგებიანი, რადგან დასავლეთი თავისი „ოქროს მილიარდის „თეორიის შესრულებისას კონკრეტული ერების საცხოვრებელ არეალზე დასავლური ფსევდო-ლიბერალური, ამერიკიდან კულტივირებული პროტესტანტულ ღირებულებებზე დამყარებული ცხოვრების წესის გავრცელებისკენ ისწრაფვოდა (რაც სამწუხაროდ დღესაც მიმდინარეობს), რომელიც ჩვენი ერის განადგურებით დასრულდებოდა, რადგან არ არსებობს თანამედროვე დასავლური საზოგადოების სოციოკულტურული ფუნქციონირების ისეთი სფერო, ცხოვრების დასავლური ღირებულებები, რომლებსაც საერთო ჰქონდათ ტრადიციულ ქართულ ცხოვრების წესთან, ეროვნულ მსოფლმხედველობასთან და სოციალ-კულტურულ თვითმყოფადობასთან.

საქართველოს მაშინდელმა შევარდნაძის მთავრობამ ყველზე უფრო მიუღებელი, დასავლეთისადმი მონური მორჩილების და რუსეთისადმი ორმაგი თამაშის კატასტროფული საგარეო პოლიტიკური კურსი აირჩია, რის შედეგადაც, საბოლოო ჯამში, გაჩანაგებული ეკონომიკა დაკარგული ტერიტორიები, ათეულ ათასობით დაღუპული, ასეულ ათასობით ლტოლვილი მივიღეთ. მაშინაც კი, როდესაც რუსეთის ხელისუფლებაში პუტინის მოსვლასთან ერთად რუსეთში შეიცვალა სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა, საქართველოს შევარდნაძის ხელისუფლება ე.წ. რეფორმატორთა გუნდთან ერთად აგრძელებდა ორმაგი თამაშის პოლიტიკას და კიდევ უფრო ჩაეფლო დასავლეთის მიერ შემოთავაზებულ ანტირუსულ პოლიტიკაში.

ორიოდ სიტყვით არ შეიძლება არ შევეხოთ **ნატო**-ში და ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხს. სიმართლე გითხრათ, მე დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ ამ პროცესებს, რადგან მიმაჩნია, რომ ის, რითაც 20 წლიწადია ხალხს აბოლებენ – რომ თითქოს მივისწრაფვით **ნატო**-სკენ, ევროკავშირისკენ, ბლეფია, რადგან **ნატო**-ში და ევროკავშირში არ მიგვიღებენ მანამ, სანამ გვექნება ტერიტორიული პრობლემები და თუ მიგვიღებენ – ამ ტერიტორიების დათმობის ხარჯზე, რაც კატეგორიულად მიუღებელია.

რაც შეხება სააკაშვილის ხელისუფლებას, რომელიც შევარდნაძის „ვარდების რევოლუციით" (რა თქმა უნდა დასავლეთიდან მართული) გადაგდების შედეგად მოვიდა, არათუ შეცვალა მისი საგარეო პოლიტიკა რუსეთის მიმართ, არამედ უფრო აგრესიულ და მტრულ სივრცეში გადაიყვანა. რაც შეხება **ნატო**-ში და ევროკავშირში გაწევრიანების რიტორიკას, რეალურად ამ მიმართულებით არაფერი არ შეცვლილა, როგორც ვიყავით ჩიხში, ისევე დავრჩით. ფაქტობრივად სააკაშვილის ხელისუფლება და მათი პარტნიორები იყენებდნენ **ნატო**-ს და ევროკავშირის რიტორიკას და ლოზუნგებს იმისათვის, რომ საქართველო ექციათ რუსეთის სამხრეთ ნაწილში დესტაბილიზაციის პლაცდარმად, რასაც მოაყოლა შემდეგ 2008 წლის ავანტურა, რომლის მთავარი მიზანი იყო არა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, არამედ რუსეთის, როგორც აგრესორის გამოჩენა ამერიკაში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნების ფონისთვის. ასევე იყო რგოლი საქართველოს მარიონეტული ხელისუფლების და მისი პარტნიორების მიზანმიმართული პოლიტიკისა, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ავტონომიებისგან განთავისუფლებას, რადგან ავტონომიები და ისიც კონფლიქტური, ხელს უშლიდა საქართველოს ტერიტორიაზე **ნატო**-ს წევრი ქვეყნის სამხედრო ბაზის განთავსებას. დიახ, ეს იყო მთავარი მიზეზი, რასაც რამდენიმე ასეული ქართველის და ოსის სიცოცხლე შეეწირა.

ასეთივე, **ნატო**-სთან მიმართებაში შეცდომები გაიმეორა „ნაციონალურ მოძრაობას" ხელისუფლებაში ჩანაცვლებულმა „ქართულმა ოცნების" ივანიშვილ-ღარიბაშვილის მთავრობამ, რომელიც ისევე არ არის დამოუკიდებელი, როგორც სააკაშვილის ხელისუფლება. იმის მიუხედავად რომ, ერთის მხრივ, იძახის ურთიერთობის დათმობაზე რუსეთთან, მეორეს მხრივ, უარს ამბობს რუსეთთან დილომატიური ურთიერთობის აღდგენაზე მისი სამხედრო ბაზის გაყვანამდე სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან, იმის მაგივრად რომ გაითვალისწინონ დღეს არსებული რეალიები და ახალ საინტეგრაციო გეგმაზე დაიწყონ მუშაობა, რომელიც გაითვალისწინებს ყველა მხარის ინტერესებს. ამისთვის კი საჭიროა ეროვნულ სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ბაზაზე ჩამოყალიბდეს რეალური საგარეო პოლიტიკური კონცეფცია, საქართველოს ევრაზიული სპეციფიკის, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის თავისებურებების, ახლომდებარე სახელმწიფოების გეოსტრატეგიული ინტერესების, ქვეყნის ისტორიული გამოცდილების, ტრადიციული პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით.

## რამდენიმე სიტყვა ირაკლი ღარიბაშვილზე

ირაკლი ღარიბაშვილი 31 წლის ახალგაზრდა კაცია, რომლის ბიოგრაფიაც ელვის სისწრაფით განვითარდა პოლიციის კაპიტნიობიდან ქვეყნის პრემიერობამდე.

ირაკლი ღარიბაშვილმა, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენისთანავე საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ის ან არ ჰგავს ტიპურ ჩინოვნიკს, (ანდაც – ცდილობს არ ჰგავდეს) ეტყობა რომ მოუსვენარია, ხშირად უკიდურესობამდე ჯიუტი და ცოტა ცინიკოსიც. მისი ეშინიათ, პირდაპირობის გამო. ხშირად ახასიათებს მიდრეკილება, ჩაეძიოს დეტალებში, სისტემატურად ეძებოს და ებრძოლოს განხეთქილებას მაგრამ, ამავ დროს, არ ეშინია კონფრონტაციის, თამამად ილაშქრებს უსამართლობის წინააღმდეგ. სკეპტიკოსია, აქვს კრიტიკული აზროვნება. მგონია, მისი იუმორის გრძნობა და დიდსულოვნება მას წვრილმანებზე მაღლა აყენებს. არის ლოიალური, და პატიოსანი. შეგიძლია მას დაეყრდნო, სხვაზე უკეთ შეუძლია საიდუმლოს შენახვა. როგორც ეტყობა, არ უყვარს ბრიყვები, თაღლითები და პირფერების "აღსარება", როგორც ჭეშმარიტ კახელს. აქვს უბრალო მეტყველება, მაგრამ პირდაპირი, ზოგჯერ დაუმთავრებელ ფრაზებს ამბობს, მაგრამ აბსოლუტურად მისახვედრს. მისი ერთგულება უსაზღვროა, რაც თავგანწირვას უახლოვდება. ეტყობა, უსამართლობა მასში იწვევს პროტესტს, არის მორალისტი, და რაც პირადად ჩემთვის არის მთავარი, მემარცხენე აზროვნების. დიდსულოვანი და უანგაროა, მიუხედავად იმისა, რომ შეძლებულია, მასში უპირატესია ინტელექტუალური საწყისი, მას შეუძლია ხალხის მართვა. სიძნელეებთან ბრძოლა მისთვის ჰობივითაა, თავად ქმნის სიძნელეებს, თავისი მოუსვენრობით, და თავადვე ასწორებს!

მართალია ის პოლიტიკაში ძირითადად ბიძინა ივანიშვილის დამსახურებით არის მოსული ,მაგრამ უკვე გამოავლინა დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.

## გლობალიზაცია, იარაღი ქვეყნების ანექსიისთვის

გლობალიზაცია საფუძველში სხვა არაფერია, თუ არა ლამაზად შენიღბული იარაღი, რისი საშუალებითაც განვითარებული ქვეყნები (განვითარებული ოცეული) ახდენენ ე. წ. მესამე სამყაროს ქვეყნების ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდებას. გლობალისტები არწმუნებენ ხალხს ღარიბ ქვეყნებში, რომ მათი სიღარიბის მიზეზი კორუფცია, მაფია, არასწორი ტრადიციებია და მხოლოდ ღია ბაზარი, თავისუფალი ვაჭრობაა წარმატების და დოვლათის საფუძველი. არადა, წარმატებულმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა წარმატებას არა გლობალიზაციის რეცეპტით, არამედ ეკოპროტექციონალიზმის თეორიის გამოყენებით მიაღწიეს. მათ საკუთარი ბაზარი მაღალი საბაჟო ტარიფების და მრავალი სავაჭრო დაბრკოლებების შექმნით გააძლიერეს. ისინი წარმატების მისაღწევად ზუსტად იმის საწინააღმდეგოს აკეთებდნენ, რაც მათ გლობალიზაციის თეორიტიკოსთა აზრით უნდა გაეკეთებინათ. ხოლო იმათ, ვინც გლობალისტთა თეზისებით იხელმძღვანელა (თავისუფალი ვაჭრობა, კომუნალური საწარმოების გაყიდვა, კაპიტალის გადაადგილებაზე კონტროლის მოხსნა მეწარმეების პრივილეგიების გაუქმება). ყველამ კატასტროფული შედეგი მიიღო. **აშშ** 1981 წლიდან გლობალიზაციის დროშით ახორციელებს მიზანს, რომელიც განვითარებადი სამყაროს სუვერენიტეტის შესუსტებას იწვევს, რის შედეგადაც ძლიერდება მათი დამოკიდებულება ეკონომიურად ძლიერ ქვეყნებზე, რათა არ მოხდეს მათი კონსოლიდაცია და არ წამოაყენონ მდიდარ ქვეყნებთან თანასწორუფლებიანი სავაჭრო პირობების მოთხოვნის წამოყენება. ხოლო ამ მიმართულების გამოყენების მთავარი დასაყრდენი, რა თქმა უნდა, არის მათ მიერ შექმნილი მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია.

რა თქმა უნდა, მსოფლიო ბანკიც და საერთაშორისო სავალუტო ფონდიც **აშშ**-ს სახელმწიფო დეპარტამენტიდან კონტროლირება. ორივეს რეზიდენცია მდებარეობს ვაშინგტონში. ორივე ისეთ სისტემაზეა აწყობილი, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის თანხმობის გარეშე გადაწყვეტილებას ვერ იღებენ. ორივე ამ ორგანიზაციას მინიჭებული აქვს მსოფლიოს მესამე ქვეყნებთან ფინანსური პრობლემების, ძირითადად ვალების უზრუნველყოფა, საბოლოო მითითებით, რომ ეს ქვეყნები ისე უნდა ჩაეფლონ ვალებში, რომ ქვეყნების ძირითადი შემოსავალი ვალების მომსახურეობას მოხმარდეს და თან ისე, რომ თვითონ კეთილმსურველებად დარჩნენ. ამის შედეგად განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა (100მდე ქვეყანა) მოქცეულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ეკონომიურ კლანჭებში და საქართველოც, ამ მხრივ, არ არის გამონაკლისი.

ეს ქვეყნები თავიანთი ვალების მომსახურებისთვის ახალ კრედიტებს იმ შემთხვევაში იღებენ, თუ შეასრულებენ მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს, რომელიც ულტიმატუმებს უფრო ჰგავს, სადაც ითხოვენ, რომ მოხდეს ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ამას ემატება მოთხოვნა ხარჯების შემცირებაზე, ისეთ სახელმწიფო პროგრამებზე, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება სპორტი, სოციალური სფერო, რათა გამონთავისუფლებული ხარჯები უცხოური ბანკების ვალების მომსახურეობას მოხმარდეს. შემდეგ ითხოვენ სოფლის მეურნეობის სუფსიდირების შეწყვეტას, რათა შემდგომ მოხდეს განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოებული, ახალი ტექნოლოგიებით, ქიმიკატებით გაჯერებული, გენმოდიფიცირებული და ამით გაიაფებული სასოფლო სამეურნეო პროდუქტის გასაღება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ასევე ითხოვს გაუქმდეს კაპიტალზე კონტროლი მთელი ქვეყნის მაშტაბით, რათა უცხოელ ინვესტორებს, ძირითადად განვითარებული ქვეყნებიდან, უფლება მიეცეს შეისყიდონ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები და სტრატეგიული ობიექტები (ყველაფერი ეს უკვე საქართველოში უცხოელთა ხელშია).

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც შემდეგი მოთხოვნაა, რომელმაც მსოფლიო ბანკიდან კრედიტის აღების სანაცვლოდ საკუთარი ვალუტის კონვერტირულობა უნდა უზრუნველყოს, რომლის მერე სახელმწიფო იძულებულია გაცვლითი კურსის მიუხედავად საკუთარი ვალუტა უცხოურ საანგარიშსწორებო საშუალებებზე გაყიდოს, რაც მისი მომავალი ღირებულება სასპეკულაციო ოპერაციებზე დამოკიდებულს ხდის.

ასეთი პროგრამები "საიმედოდ" ფიტავენ ქვეყანას, ის მთლიანად ეკონომიური კრიზისების ფაზაში ხვდება და შემდეგ გარედან სამართავად ძალიან ადვილია.

ასე რომ, იარაღი, რომელიც დასავლეთმა შენიღბა მსოფლიო გლობალიზაციის იდეით, მუშაობს და მუშაობს საკმაოს ეფექტურადაც.

## მცოცავი თურქული ოკუპაცია

ბოლო დროს, ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, სირიასა და ერაყში განვითარებული აგრესიული ისლამის აღორძინების პროცესები არ შეიძლება არ აღელვებდეთ საქართველოს მოქალაქეებს, რადგან უკვე ნათელია, რომ თურქეთიდან აჭარაში შემოსული მტერმა ტაქტიკა შეცვალა. ჩვენს თვალწინ ხორციელდება მცოცავი ოკუპაცია, ინფორმაციის მასობრივი საშუალებების მეშვეობით საზოგადოების ზომბირება – დეგრადაცია, უცხო რელიგიურ შეხედულებათა მოხვევა და ა. შ. რა ხერხია ასეთი? თურქული სერიალები ქართულ სატელევიზიო სივრცეში – გახლავთ პასუხი. დიახ, სწორედ თურქულმა სერიალებმა შეავსო საქართველოს წამყვან სატელევიზიო არხებზე პროგრამული ბადის ლამის ყოველი საათი და წუთი.

დღეს როდესაც ჩვენი ქვეყანის ტერიტორიების ნაწილი დაკარგული გვაქვს, გვყავს უამრავი დევნილი, დღითიდღე იზრდება სამშობლოს დატოვების მსურველთა რაოდენობა, სიღარიბის ზღვარს ქვევით მოქალაქეთა რაოდენობამ მილიონს მიაღწია.

## და სხვა...

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სახელმწიფოთა ინტეგრაციის და განვითარების ორი ერთმანეთისგან განსხვავებული საერთაშორისო მოდელის დემონტაჟს ჩაეყარა საფუძველი. პოსტკომუნისტური და პოსტსაბჭოთა სივრცის იმ ქვეყნებმა, რომლებსაც კომუნისტური სოციალურ-პოლიტიკური მოდელის ფარგლებში უხდებოდათ არსებობა და ფუნქციონირება, მიზნად დაისახეს გამარჯვებული კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბანაკის, ანუ ევროატლანტიკური მიმართულებით ინტეგრირება. თუ პოსტკომუნისტური და ზოგიერთი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებმა მოახდინეს მასში ინტეგრირება, ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი რესპუბლიკისათვის ეს ამოცანა გადაულახავია.

რაოდენ პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, იმ ფონზე, როდესაც პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების მოსახლეობისთვის (უპირატესად ევროპული ნაწილის) ევროკავშირში ინტეგრირება აუხდენელ ოცნებას წარმოადგენს, ევროკავშირის წევრი ძველი ევროპის ქვეყნების მოსახლეობაში კი ევროსკეპტიციზმი დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტად მატულობს, რაზეც მოწმობს ბოლოს ჩატარებული ევროპარლამენტის არჩევნებიც, სადაც მემარჯვენე იდეოლოგიურ პლატფორმაზე მდგომი პარლამენტარების რაოდენობამ მკვეთრად იმატა საერთო ევროპულ საკანონმდებლო ორგანოში. მაგალითად, საფრანგეთში კი მკვეთრად მემარჯვენე პარტია „ნაციონალურმა ფრონტმა" არჩევნებში პირველი ადგილიც დაიკავა.

რას უნდა მივაწეროთ აღნიშნული ძველი ევროპის ქვეყნების მოსახლეობაში მზარდი ევროსკეპტიკური განწყობები? იქნებ ლიბერალურ-კაპიტალისტური სოციალური მოდელი განიცდის კრიზისს? რომელმაც თავის დროზე პირწმინდად დაამარცხა საზოგადოებრივი მოწყობის კომუნისტური მოდელი.

დღეს მიმდინარე პროცესი, ძველი ევროპის ქვეყნებში, დაახლოებით იმ პერიოდს გვაგონებს, რომელსაც ადგილი ქონდა ევროპაში მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც მზარდ გავლენას განიცდიდნენ მემარცხენე ტიპის პოლიტიკური პარტიები, მხოლოდ ერთი განსხვავებით, დღესდღეობით ადგილი აქვს ულტრამემარჯვენე პარტიების აღმასვლის პროცესს. თუ მაშინ, შეტევა ლიბერალიზმზე ხორციელდებოდა მარცხნიდან, ეხლა კი ადგილი აქვს ანალოგიურ პროცესს მარჯვნიდან.

ჩემი ღრმა რწმენით, ამის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს, თანამედროვე პოსტმოდერნულ ეპოქაში, ლიბერალიზმის უმთავრესი ელემენტის, ინდივიდის, ნებისმიერი კოლექტიური ერთობისგან სრული განთავისუფლების იდეის მხარდაჭერა, რაც ევროპულ ნაციებს, როგორც ტრადიციულ კოლექტიურ ერთობებს, დიდ საფრთხეს უქმნის კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში. სწორედ ეს მოვლენა შეიძლება მივიჩნიოთ, მთავარ მამოძრავებელ ძალად ლიბერალური საზოგადოებრივი მოდელის კრიზისის ჟამს, რომელიც თავის მხრივ აისახება ევროსკეპტიციზმში. თუ ნაციონალურ-სოციალური მოდელების, მხარდაჭერის მიმართულებით გადაიხრება დასავლეთ ევროპელი მოსახლეობის მსოფლხმედველობა, არ არის გამორიცხული, რომ ახლო მომავალში ევროკავშირის დაშლის მომსწრენიც აღმოვჩნდეთ.

როდესაც ახლო მომავალზე ვსაუბრობ, აქცენტს ვაკეთებ 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე საფრანგეთში, სადაც ყველაზე რეალურ კანდიდატად განიხილება მკვეთრად მემარჯვენე იდეოლოგიური პლატფორმის მქონე „ნაციონალური ფრონტის" ლიდერი მარინ ლეპენი. როგორც უკანასკნელი სატელევიზიო გამოკითხვებიდან ჩანს, საფრანგეთის აქტიური საარჩევნო უფლების მქონე ამომრჩევლების 51%-ზე მეტი, მზად არის ხმა მისცეს მარინ ლეპენს. ამ უკანასკნელის გამარჯვება კი, ევროკავშირის კრახს გამოიწვევს. როგორც ყველას მოეხსენება, მის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საფრანგეთის ევროკავშირიდან გამოსვლა, ხოლო საფრანგეთის მიერ ევროგაერთიანების დატოვება ამ გაერთიანების გარდაუვალ კრახს გამოიწვევს.

აქვე უპრიანი იქნებოდა ქალბატონი ლეპენის სიტყვების ანალიზით დაგვესრულებინა ჩემს მიერ განვითარებული აზრი: „თუ გერმანია ევროპის ეკონომიკურ გულს წარმოადგენს, საფრანგეთი ევროპის პოლიტიკური გულია."

გულის გაჩერების შემთხვევაში კი, როგორც ადამიანი შეწყვეტს ამ ქვეყნიურ არსებობას, ისე საფრანგეთში მემარჯვენე პოლიტიკოსის საპრეზიდენტო არჩევნებზე გამარჯვების შემთხვევაში, ევროგაერთიანება შეწყვეტს მის 22-წლიან არსებობას.

**ვიქტორ ცაავა**

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# შოთა არველაძე: თვალი კიდევ ერთ ახალგაზრდა ქართველს დავადგი



22 თებერვალს შოთა არველაძე 42 წლის გახდა. სიმბოლურია, რომ შოთას გაწვრთნილმა სტამბოლის "ქასიმფაშამ" სწორედ იმ დღეს უმასპინძლა "ტრაბზონსპორს" – კლუბს, სადაც შოთა და მისი ტყუპისცალი მთელმა თურქეთმა შეიყვარა.

გარდა ამისა, რამდენიმე დღის წინ "ქასიმფაშაში" წარმატებული დებიუტი ჰქონდა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრ ლაშა დვალს...

მოკლედ, შოთა არველაძესთან დარეკვის მიზეზი საკმარისად გვქონდა და ინტერვიუც, ტრადიციულად, საინტერესო გამოვიდა:

– შეიძლება, "ტრაბზონთან" მაინცდამაინც ჩემს დაბადების დღეზე შეხვედრას სიმბოლური დამთხვევაც ვუწოდოთ, მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც ერთი ჩვეულებრივი მატჩია, საკუთარ დაბადების დღეზე კი აქამდეც არაერთხელ მითამაშია...

უფრო მნიშვნელოვანია, რომ ზედიზედ სამი წაგების შემდეგ, წინა ტურში (ინტერვიუ ჩაწერილია 20 თებერვალს – ავტ.) სტუმრად ფრე ვითამაშეთ "ქარაბუქთან". რა სჭირს "ქასიმფაშას"? – რამდენიმე მოთამაშე მოვისაკლისეთ და არც იღბალი იყო ჩვენს მხარეს...

მაგალითად, "ფენერბაჰჩესთან" 0:3 წაგებული მატჩის სტატისტიკას თუ ნახავთ, დარწმუნდებით, რომ თანაბარი თამაში იყო. მერე 6 ბურთი გავუშვით "მერსინისგან" და ა.შ. ასეთი მატჩების შემდეგ კი ძნელია მობილიზება...

– სწორედ "ქარაბუქთან" მატჩში შედგა ლაშა დვალის დებიუტი...

– ლაშა უდავოდ ნიჭიერი და ჭკვიანი ფეხბურთელია. თურქეთის სუპერლიგა მეტად რთული ლიგაა და დიდ ფიზიკურ მომზადებასაც მოითხოვს, მაგრამ სადაც ფიზიკურად უჭირს, ლაშა დვალს იქ ორიენტაციის კარგი უნარი, საფეხბურთო ინტელექტი ეხმარება. იცის, რომ ხერხი სჯობია ღონესა! მისი გარჯით უკმაყოფილო რომ დავრჩენილიყავი, სადებიუტო შეხვედრაში შეუცვლელად ხომ არ ვათამაშებდი?! მჯერა, მომდევნო მატჩებში კიდევ უფრო მოუმატებს, რადგან ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ლაშა მაღალი დონის პროფესიონალია და კარგად იცის, რომ კონკურენციის დასაძლევად ბევრი შრომა მოუწევს.

– ქართველი ფეხბურთელებისგან უკვე ისე გადავეჩვიეთ ძლიერ ლიგაში გადასვლას, ლაშას ამბავმა ძალიან გაგვახარა...

– ვცდილობ, ჩემს გუნდში სულ იყოს ქართველი ფეხბურთელი. იმედი მაქვს, ლაშას და ოთო გოშაძის გარდა, "ქასიმფაშა" მალე დაიმატებს კიდევ ერთ ჩვენებურს. მით უმეტეს, თვალი კიდევ ერთ ახალგაზრდა ქართველს დავადგი...

– მის ვინაობას ჯერ ვერ გაგვიმხელ?

– 19 წლის არის და თბილისის "დინამოშია" – ამ ეტაპზე, მხოლოდ ამის თქმა შემიძლია!

– ტყუპისცალზე გკითხავ – ეთანხმები მათ, ვინც ამბობს, რომ აჩი არველაძე შოთაზე ნიჭიერი იყო და გაუთავებელი ტრავმები რომ არა, ბევრად მეტს მიაღწევდა?

– რა თქმა უნდა! აჩი 16 წლის იყო, პირველად რომ გაიკეთა ჯვარედინი იოგის ოპერაცია. მას შემდეგ კიდევ ცხრა ოპერაცია დასჭირდა და რაღა უნდა ეთამაშა?! არადა, ქინქლაძესავით ნიჭიერი იყო, ოღონდ – მემარჯვენე! პროფესიონალიზმით კი გიოს ბევრად სჯობდა. ქინქი ცოტათი ზარმაცი იყო...

– ცოტათი?!

– მართლა არ იყო ისეთი ზარმაცი, როგორც ჟურნალისტები ხატავენ. ამას წინათ ვნახე სტატისტიკა და გავვოცდი – გიორგი ქინქლაძეს 600-მდე ოფიციალური თამაში აქვს ნათამაშები! ზარმაცი და უქნარა რომ ყოფილიყო, ამდენს ვერ მოაგროვებდა! შესაძლოა, ბოლომდე არ დახარჯულიყო, კვირაში მხოლოდ ორი დღე ევარჯიშა (თუმცა, მაინც ყველაზე მაგრად თამაშობდა!), მაგრამ სტატისტიკა ნამდვილად არ დაეწუნება...

– ვინ იყო ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელი, ვის გვერდითაც გითამაშია?

– ყველაზე "გემრიელი" თამაში აჩისთან, გიოსა და ჯამარასთან ერთად გამომდიოდა! მე სხვანაირ ფეხბურთს ვთამაშობდი, ისინი კი საოცრად ტექნიკურები იყვნენ, მაგრამ მათი ყურებაც და პარტნიორობაც ერთი სიამოვნება იყო!

უცხოელებიდან, ალბათ, მაინც ლაუდრუპს და იბრაჰიმოვიჩს გამოვყოფდი! ისე, საქართველოში რომ მეუბნებოდნენ, თამაშის დროს ნუ ჯაჯღანებ, თორემ წახვალ უცხოურ კლუბში და ნახავ, ამის გამო თუ არ გამოგაგდონო, "აიაქსში" ჩემზე უარესი ჯაჯღანები დამხვდნენ (იცინის).

– ვინ იყო ყველაზე ჯაჯღანა?

– ძმები დე ბურები! თამაში იყო თუ ვარჯიში, სულ მათი ხმა ისმოდა – კაცი აიყვანე, უკან ჩამოდი და ა.შ. ნიჭზე რომ მკითხეთ – რაც პირადად მინახავს, ყველაზე მაგარ საჯარიმოებს რეზი ასრულებდა!

ერთხელ ჩეხეთში ვიყავით შეკრებაზე და ერთ მატჩში ოთხი ჯარიმა გაიტანა... ბევრმა არც იცის – 1993 წელს "ტრაბზონი" რეზის ეპატიჟებოდა და მასთან ერთად ან მე უნდა წავსულიყავი, ან აჩი. თუმცა რეზიმ უარი უთხრა – ტყუპი არ გაიყოფა, ან ორივეს წაიყვანთ, ან – არც ერთსო!

– თავად რატომ ვერ ითამაშა უმცროსი ძმების დონეზე?

– "კიოლნიდან" მისი წამოსვლა შეცდომა იყო. კი, მე და აჩიც წამოვედით "ტრაბზონიდან", მაგრამ თურქებს ჩვენ მიმართ სხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ და უკან დაბრუნება ნებისმიერ წუთს შეგვეძლო! რეზომ კი ბუნდესლიგის კლუბი მიატოვა და თბილისში წამოვიდა, რადგან დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად თბილისის "დინამოს" ევროთასებზე უნდა ეთამაშა! წამოვიდა და მას შემდეგ ველარც ააწყო კარიერა...

თავს ნამდვილად არავის ვაყვედრით, მაგრამ ცუდია, ყველას რომ დაავიწყდა – მშობლიური კლუბის დასახმარებლად სამივე ძმამ არა მხოლოდ მატერიალური მხარე გადავდეთ გვერდზე, კარიერაც რისკის ქვეშ დავაყენეთ...

– საქართველოს ნაკრებს უკვე ჰყავს ახალი მთავარი მწვრთნელი. რას ფიქრობ, რა შეიცვლება გუნდში კახა ცხადაძის მისვლის შემდეგ?

– არ მიყვარს "ახალ ეტაპებზე" და "ახალი ფურცლიდან დაწყებაზე" ლაპარაკი. საინტერესოა, აქამდე ფეხბურთელებს ვინმე ხელს უშლიდა კარგად თამაშში ან "ახალი ფურცლიდან" დაწყებაში?!

სამწუხაროდ, ნაკრებში ისე იყო ვითარება დაძაბული, რაც კარგი იყო, ისიც კი აღარ ჩანდა. კახას მისვლის შემდეგ კი ასე ნამდვილად აღარ იქნება. თემურს უკვე ამოწურული ჰქონდა შემტევი თამაშის ყველანაირი კრედიტი, შექმნილი ვითარების ერთგვარი მძევალი იყო; ახალი მწვრთნელი კი ამ მხრივ გაცილებით წინ არის.

– თუმცა მასაც იგივე კონტინგენტი დახვდება, რაც თემურს ჰყავდა...

– იმედია, ფეხბურთელებიც გაითავისებენ, რომ ყველა ჯერზე მწვრთნელს ველარ დააბრალებენ მარცხს! კი ბატონო, ახალგაზრდა ფეხბურთელი კარგად თამაშობს პოსტსაბჭოთა ქვეყნის რომელიმე კლუბში ან თუნდაც ბელგია-ჰოლანდიაში, ორი მეტოქე მოუტყუებია, გოლიც გაუტანია, მაგრამ თბილისის აეროპორტში დროშებით რომ დახვდები, რაც უნდა ბევრი ელაპარაკო დიდგორზე, თუ ბავშვობიდან არ ვასწავლეთ, გაუჭირდება გაგება, რა კავშირია დიდგორსა და მომავალ მატჩს შორის! მაგრამ ტრიბუნებზე მსხდომთ არა აქვთ ასეთი განცდა და 20 წლის ბიჭს საიდან ექნება?! პატარაობიდან უნდა ვასწავლოთ, რომ მისი წილი ომი იქ არის, სადაც მუშაობს ან თამაშობს!

სამწუხაროდ, მხოლოდ თამაშამდე ორი დღით ადრე გვახსენდება, რომ "ჩვენ უკან საქართველოა"...

– ერთხელ მითხარი, ქართველი ფეხბურთელები Facebook-ში რომ შედიან, იმდენჯერ მოედანზე რომ გადიოდნენ, რაღა გვიჭირდაო...

– ეს ვინმეს გასაღიზიანებლად ნამდვილად არ მითქვამს. თავად არა ვარ დარეგისტრირებული, მაგრამ სოციალური ქსელის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. წლების განმავლობაში ვიცხოვრე ამსტერდამში, ღამის კლუბიც ბევრი მინახავს და გასართობიც, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს! თუ შენი საქმე არ დააყენე პირველ ადგილზე, თუ ფეხბურთით არ იცხოვრე, რას მიაღწევ? მით უმეტეს, როცა ამბობ, ამ საქმეში ყველაზე მაგარი ვარო! თუ არადა, თქვი და ჩვენც გვეცოდინება, რომ მაგარი მოცეკვავე ხარ ან კარგ ფოტოებს იღებ...

– ერთ თვეში, პირველი შეხვედრიდან ზუსტად მეოცე წლისთავზე, საქართველოს ნაკრები ისევ გერმანიას ეთამაშება. როგორ გაიხსენებ 1995 წლის 29 მარტს?

– "დინამოზე" ამდენი ხალხი არასდროს მინახავს – კარს უკანაც კი მაყურებლები იდგნენ! მეტოქეზე კი ახალი რა უნდა ვთქვა? უძლიერესი გუნდი იყო. კლინსმანი ისე მაღლა ახტა, "აირზენას" თვითმფრინავი მეგონა (იცინის).

---


# გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II,III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.


## იუმორი

* * *

უფლის ხმა:

– გქონდეს უახლესი ავეჯითა და ტექნიკით გაწყობილი ათოთახიანი ბინა ქალაქის ცენტრში, გქონდეს თანამედროვე დიზაინის აგარაკი ქალაქგარეთ, გქონდეს ყოველთვიური შემოსავალი ორმოცდაათი ათასი ლარის ოდენობით, გყავდეს "როლს-როისის" მარკის ავტომანქანა, გემსახურებოდეს პირადი მძღოლი, პარიკმახერი, მზარეული, დამლაგებელი, ყოველ წელს ოჯახთან ერთად ისვენებდე ეგვიპტის საზღვაო აგარაკებზე, ზამთარში კი – ბაკურიანში ან გუდაურში!..

ასეთი კოშმარი დაესიზმრა ბიძინა ივანიშვილს.

* * *

– გუშინ პარაშუტით გადმოვხტი.
– მერე?
– გავიგე, საიდან გამოიყოფა ადრენალინი...

* * *

– ბაბუ, მართალია, ნადირობისას დათვმა უკბინაო?
– კი, მართალია.
– სად გიკბინა, ბაბუ?
– მაგი არაა მართალი!


## სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში



დომენტი ბაბნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის კოორდინატებია:* თელავი, სოფელი შალაური, ბაბნიძე ბიჭიკო (დომენტი). ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.



მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან



ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი. ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, დავით ქობალია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge